ქართული სიტყვა
№31 (295)
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
ფასი 1 ლარი
5 – 11 აგვისტო 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
გამოდის ოთხშაბათობით

# რატომ „აიწყვიტა“ პრეზიდენტმა



„როცა მარგველაშვილთან კონფლიქტი პირველად მოხდა, უსუფაშვილს დაავალეს, რომ იმპიჩმენტი აემოქმედებინათ, მაგრამ როგორც გავიგე, პარლამენტის თავმჯდომარე მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვა, რომ ეს პროცედურა არ დაწყებულიყო“.

**„მარგველაშვილი ეული პოლიტიკოსია!“**

„პრეზიდენტი ხელიდან ერთ შანსსაც არ უშვებს, რათა საზოგადოება დაარწმუნოს, რომ „ოცნებას“ არ წარმოადგენს. ხელისუფლების მომავალი სათუო გახდა, მარგველაშვილი კი, ახალგაზრდა კაცია, არ უნდა, უკან დასახევი გზა მოიჭრას და „ოცნებას“ „გადაყვეს“.

მე-8 გვ.

# სომეხი სასულიერო პირები ქართულ პოლიტიკაში ერევიან?!

## რუსეთი აჭარაში შესვლას გეგმავს? – პუტინის ახალი სამხედრო-საზღვაო დოქტრინა მე-2-3-4 გვ.

# როგორ აპროგრამებენ ადამიანებს

## სპეცსამსახურების საიდუმლო იარაღი – ნლპ



მე-14-15 გვ.

„ხელისუფლების პრობლემა სწორედ ისაა, რომ არ იცის, რა და როგორ ილაპარაკოს. შეიძლება, მრჩევლები ჰყავს, მაგრამ, სავარაუდოდ, საკმარისად კვალიფიციურნი არ არიან... სხვათა შორის, ასეთი მრჩეველი ყველა დიდ პოლიტიკოსს ჰყავდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ჰიტლერთან ძმები ლაუტენზაკები მუშაობდნენ, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მაგები იყვნენ და რომლებმაც ჰიტლერი ხელისუფლებაში მოიყვანეს. საერთოდ, ყველა მეთოდიკა, რომელიც მასებზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება, მანიპულაციაა.“

# „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ მობილობას აცხადებს

მე-13 გვ.

**100-ლარიანი სტიპენდია წარჩინებული სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის ყოველთვიური გადახდა**



მე-9 გვ.

# „ეს ანომალიაა და საქმე კარგად არ მიდის!“

**დემურ გიორხელიძე: „მცირე და საშუალო ბიზნესი სულს ღაფავს, პრობლემები ახალ ბიზნესსაც ექმნება“**

# 10 წლის გიორგი კახურაშვილს აზერბაიჯანული კომპანია სახლს ართმევს?! მე-10-11 გვ.

**არასრულწლოვანმა უცხოეთს შეიძლება, თავშესაფარი სთხოვოს – ინტერვიუ, რომელიც ბანკებში ყველა „გაშავებულმა“ უნდა წაიკითხოს!**

# თავისუფლება, როგორც არამზადების ხვედრი მე-16-17 გვ.

# გზა ჭაობისაკენ

№ 31 (295)
5 – 11 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

**სკანდალური ექსკლუზივი**

# სომეხი სასულიერო პირები ქართულ პოლიტიკაში ერევიან?!

**„...რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს, როკის გვირაბის სიახლოვეს განლაგდა... აფხაზები გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ — შეხვედრა 15 აგვისტოს, ბერლინში უნდა გამართულიყო. თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი, კოკოითი აცხადებს, რომ იგი „რუსეთის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას არ დაიწყებს“. სეპარატისტთა ე.წ. შს მინისტრი, მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ცხინვალი ცეცხლის გახსნისთვის მზადაა. საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ახმოვანებს: „საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ აპირებს’“‘ და ოსურ მხარეს კვლავ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. შეთავაზება კვლავ უპასუხოდ რჩება. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული ბატალიონი საგანგებო მდგომარეობაზე გადადის. კოკოითი აცხადებს, რომ საქართველოს გასანადგურებლად მზადაა... ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფლების დაცხრილვა განაახლეს. 5 აგვისტოს, დილით, აფხაზი სეპარატისტები მეორე ფრონტის გახსნაზე იწყებენ საუბარს. რუსეთის სამხრეთ ნაწილიდან ცხინვალისკენ მოხალისეთა ნაკადი მიედინება. სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები საქართველოსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდებენ. განცხადებას ავრცელებს ეუთო-ც, რომელიც ვითარების დაძაბვაში სეპარატისტებს ადანაშაულებს“, — ეს 2008 წლის აგვისტოს დასაწყისის ქრონიკაა... სისხლიანი 5-დღიანი ომიდან 7 წელი გავიდა... გვასწავლა თუ არა ოკუპაციამ ჭკუა? — ამ თემაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა თუკი თუნდაც ბოლო ორი-სამი კვირის „ნიუსებს“ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ. მაშ, ასე: როგორია ომისა და მშვიდობის 7 წელი? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკთან, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძესთან, რომელიც, ოპერატიულ წყაროებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ აგვისტოს ომის იფიციალურ დაწყებამდე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელზე, დიმიტრი სანაკოევზე განხორციელებულ თავდასხმაში ქართველი სპეცსამსახურელის ხელი ერია...**



## რუსეთი აჭარაში შესვლას გეგმავს? — პუტინის ახალი სამხედრო-საზღვაო დოქტრინა

**— ბატონო კოტე, აგვისტოს ომიდან 7 წელი გავიდა. 5-დღიანი ომის მთავარი, ასე ვთქვათ, შედეგი რა არის?**

— რა და, — ოკუპირებული ტერიტორიები, დევნილები, გარდაცვლილები, სამხედრო ინფრასტრუქტურის მოშლა, არმიის დემორალიზება, ასევე, პოლიტიკური და სამხედრო დანაშაულები. საერთოდ, ასეთი დანაშაულები ომს, გინდა თუ არა, ახლავს...

**— 2012 წელს „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან წასვლაც, გარკვეულწილად, აგვისტოს ომით ხომ არ აიხსნება?**

— რა თქმა უნდა. წაგებულ ომს ასეთი პოლიტიკური, როგორც იტყვიან, კატაკლიზმებიც ყოველთვის მოსდევს. მიხეილ სააკაშვილს, ადრე თუ გვიან, წასვლა მაინც მოუწევდა. აგვისტოს ომმა კი, ეს პროცესი, უბრალოდ, დააჩქარა — ის დასავლური პოლიტიკური წრეებისთვის მიუღებელი გახდა, ანუ ომმა სააკაშვილს წასვლა აიძულა.

**— შეიძლება, მაგრამ იმის ხელაღებით თქმა, რომ დასავლეთს მიშა აღარ მოწონს, გადაჭარბებულად არ გეჩვენებათ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ინტერპოლი მასზე ძებნის გამოცხადებაზე უარს ამბობს? სხვათა შორის, ქართული მხარე ამ უარს იმით ხსნის, რომ თურმე, ინტერპოლის წესები შეიცვალა...**

— არაერთხელ მითქვამს, რომ მაღალი დემოკრატიის მიუხედავად, ბიუროკრატიული აპარატით დასავლეთიც გამოირჩევა, ინტერპოლი კი, სწორედ ამ ბიუროკრატიული აპარატის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, უნდა იცოდე, დასავლურ ბიუროკრატიას რა და როგორ მიაწოდო.

ის, რომ ინტერპოლმა მიშაზე ძებნის გამოცხადებაზე უარი თქვა, პირველ როგში, პროკურატურის ბრალია.

**— მთავარ პროკურატურას მაინც, რაში ადანაშაულებთ?**

— რაში და, — არასრული და არადამაჯერებელი მტკიცებულებების გაგზავნაში. სააკაშვილთან დაკავშირებით პალტოებზე ლაპარაკი არასერიოზულია. საერთოდ, გამოძიება ყველაზე სერიოზული დანაშაულით იწყება ხოლმე, თორემ პალტოების მსგავსი დანაშაული მხოლოდ წინა კი არა, ახალი ხელისუფლების პირობებშიც მოიძებნება.

მოკლედ, მთავარმა პროკურატურამ ძირითადი დანაშაული ვერ გამოკვეთა, რომელიც აგვისტოს ომს და, ასევე, იარაღის უკანონო ბიზნესს უკავშირდება, რომელზეც მხოლოდ მე კი არა, აშშ-ის ფედერალური ბიუროც ლაპარაკობს. ბოლოს და ბოლოს, ამ თემას სააკაშვილის ყოფილი თანაშემწე ჯეფრი სილერმანიც სწავლობდა...

**— დასავლეთს აგვისტოს ომის გამოძიება რატომ არ აწყობს?**

— ვერ ვიტყვი, რომ დასავლეთს აგვისტოს ომის გამოძიება არ აწყობს. უბრალოდ, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

**— ანუ?**

— აგვისტოს ომამდე სააკაშვილს ისეთი პიარი გაუკეთეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიის შუქურად ითვლებოდა და მისი და მისი მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაულობები ცნობილი მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გახდა...

საერთოდ, დასავლურ დიპლომატიას არ სჩვევია, პირდაპირ გითხრას, რა უნდა გააკეთო. ისინი გზას გვიჩვენებენ და ტვინი უნდა გვეყოს, რომ სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

**— ამას რატომ ამბობთ?**






— რატომ და, — ვანო, თუ გახსოვთ, აგვისტოს ომის დაწყება და აშშ-ის საელჩოს მიერ თეთრ სახლში გაგზავნილი რაპორტებიც წუთობრივად განვიხილეთ. ამის გამო, აშშ-ს მადლობა უნდა ვუთხრათ და სწორედ ეს რაპორტები უნდა გამხდარიყო ახალი ხელისუფლების, ასე ვთქვათ, მამოძრავებელი ძალა...

სხვათა შორის, როცა თავდაცვის მინისტრი იყო, ირაკლი ალასანიას ჰქონდა მცდელობა, რომ შეექმნა დოკუმენტი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებს ასახავდა, მაგრამ ეს დოკუმენტი არ

გაგრძელება მე-3 გვ.

**„რუსეთის წინააღმდეგ ევროპულ სანქციებს როგორ უნდა მივუერთდეთ, როცა საქართველოში გვყავს „როსნეფტი“, „თელასი“, გენერალოვის „ინტერრაო“ და მთელი ენერგეტიკა, პრაქტიკულად, რუსული გავლენების ქვეშაა? როგორ დავუშლით, მაგალითად, „როსნეფტს“, რომ ყირიმიდან რამე არ შემოიტანოს? თუკი სანქციებს ვუერთდებით, მაშინ გარკვეული სანქციები საქართველოში მოღვაწე რუს ბიზნესმენებსაც უნდა დავუწესოთ და ეს, დაახლოებით, იგივე კონტექსტია, აშშ-მ რომ განაცხადა, „როსნეფტისა“ და „გაზპრომის“ წინააღმდეგ სანქციები შემომაქვსო. როცა შენი სტრატეგიული პარტნიორი ამას აკეთებს, შენც ადექვატური ნაბიჯები უნდა გადადგა, მაგრამ სანქციებს, ვთქვათ, „ბილაინს“ დაუწესებ? მოკლედ, სანქციებზე მიერთება სასაცილოა!“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

5 – 11 აგვისტო 2015 | № 31 (295)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“










## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

გვინახავს.

**— მაშასადამე, ალასანიას მცდელობა ვინმემ დაბლოკა?**

— ეს არ ვიცი, მაგრამ თავის დროზე ითქვა, რომ მოკვლევა დამთავრდა, საზოგადოებისთვის ამ მოკვლევის ნაწილი ცნობილი გახდებოდა და გავიგებდით, რეალურად რა მოხდა და ქართულმა მხარემ რა შეცდომები დაუშვა. ცალკე კითხვის ნიშანია, თუ რატომ არ გამოაქვს ეს დოკუმენტი საზოგადოების სამსჯავროზე თავდაცვის სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას.

ვიდრე საზოგადოება აგვისტოს ომზე სრულ სიმართლეს არ გაიგებს, იმაზე ლაპარაკი, რომ აი, მოკვლევა დავამთავრეთ და ყველაფერს საომარ დოქტრინაში გავითვალისწინებთო, ბელეტრისტიკაა და მეტი არაფერი! არადა, ნელ-ნელა ხდება ცნობილი, თუ რა უძღვოდა კონფლიქტის ესკალაციას.

ასე მაგალითად, ჩემთვის ცნობილი გახდა კონკრეტული პიროვნების ვინაობა, რომელიც სპეციალური მომზადების ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა და რომელიც სპეციალურ ქვედანაყოფებს, ძირითადად საინჟინრო-მესანგრეთა მიმართულებით ხელმძღვანელობდა...

**— ამ ადამიანმა რა დააშავა?**

— როგორც დაფარული ინფორმაციით ვიცი, მაღალჩინოსანთა დავალებით...

**— რომელი მაღალჩინოსნების?**

— ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს...

**— სამხედრო მაღალჩინოსნებზეა ლაპარაკი?**

— არა... მოკლედ, ამ პიროვნებამ შსს-ს მაშინდელი მაღალჩინოსნების დავალებით, დიმიტრი სანაკოევის აფეთქების ორგანიზება მოაწყო.

**— დიმიტრი სანაკოევი, თუ არ ვცდები, ომის დაწყებამდე ააფეთქეს, არა?**

— დიახ. ეს აფეთქება, მგონი, სამ თუ ოთხ აგვისტოს, თამარაშენიდან, ე.წ. შემოვლით გზაზე მოხდა.

**— აფეთქების მიზანი რა იყო?**

— კონფლიქტის ზონაში სიტუაციის ესკალაცია, ანუ ისე უნდა გამოსულიყო, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ოსები ან რუსები დაესხნენ...

**— ეს ადამიანი თავდაცვის უწყებაში დღესაც მუშაობს?**

— არ ვიცი, მაგრამ თავის დროზე, ამ „ტიპს“ იგორ გიორგაძის მიერ დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა...

**— ამ დეტალით რა დასკვნას აკეთებთ?**

— აფეთქებაში რუსული კვალი იკვეთება, ანუ რუსეთს აწყობდა. საერთოდ, ვანო, არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენს ძალოვან უწყებებში ორმაგი აგენტების მთელი დასტაა!

**— ესე იგი, სანაკოევზე აფეთქება რუსული სცენარით „გათამაშდა“?**

— ამას არ ვამბობ...

**— აბა, რას ამბობთ?**

— იმას, რომ ეს „ტიპი“, რომელმაც, ჩემს ხელთ არსებული პირველადი ინფორმაციით, აფეთქების ორგანიზება მოახდინა, მხოლოდ ქართულ კი არა, რუსულ სპეცსამსახურებთანაც ასოცირდება... ეს აფეთქება ომის დაწყებისთვის ძირითადი გზავნილი იყო!

**— აგვისტოს ომის გამოძიება ასეთი უცნობი ფაქტების გამოძიებით უნდა დაიწყოს?**

— დიახ...

**— 7 წლის წინანდელი ამბები რომელმა უწყებამ უნდა გამოიძიოს? თუ გახსოვთ, ომის დამთავრებისთანავე, პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნა...**

— აგვისტოს მოვლენები საგამოძიებო კომისიამ კი არა, სპეცსამსახურმა უნდა გამოიძიოს იმიტომ, რომ ამ საქმეში სპეციფიკური დეტალებია...

**— გამოძიებაზე გამახსენდა, რამდენიმე თვის წინ, საქართველოში, თუ არ ვცდები, ოთხი საერთაშორისო ექსპერტი ჩამოვიდა. მაშინ, კულუარებზე დაყრდნობით, თქვით, რომ უცხოელი ექსპერტები სწორედ იარაღის უკანონო ბიზნესს სწავლობდნენ, თუმცა ეს თემა მინავლდა. ხომ არ იცით, რატომ?**

— არა. ისე, ყველაფერი შეიძლება, იმით აიხსნას, რომ მთავარ პროკურატურაში გარკვეულ ცვლილებებს ელიან. არავინ იცის, მთავარი პროკურორი ვინ გახდება და, როგორც ჩანს, ზედმეტ თავის ტკივილსაც ამიტომ გაურბიან...

**— ომს, მით უმეტეს, წაგებულს, ჭკუა უნდა ესწავლებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნების კანონებს არ ვემორჩილებით და იცით, ამას რატომ ვამბობ? — ომიდან 7 წლის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე ისევ მოსკოვში მიდის და ოკუპანტ რუსეთთან „ძმობა-ერთობისკენ“ მოგვიწოდებს. სხვათა შორის, ახლახან, ცნობილი გახდა, რომ უკრაინამ ბურჯანაძეს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა...**

— ბურჯანაძის მიზანი გასაგებია: არჩევნები ახლოვდება და უნდა, თავის პოლიტიკურ პერსონას ხაზი გაუსვას, აი, პოლიტიკურ ველში საჭირო ვარო, ანუ მოსკოვში ჩასვლა მისი მხრიდან პიარი იყო და მეტი არაფერი.

რაც შეეხება ქვეყანაში არშეშვებას, უკრაინა რუსეთთან ომშია და ყველას, ვინც რუსეთში ჩადის და რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ხვდება, პერსონა ნონ-გრატად ამიტომ აცხადებენ.

საერთოდ, როცა შენი ქვეყნის პოლიტიკურ ფიგურას შენი მეგობარი ქვეყანა პერსონა ნონ-გრატად აცხადებს, სასიამოვნო არაა...

**— კოტე ბატონო, გავიწყდებათ, რომ ეს პოლიტიკური ფიგურა ოკუპანტს ემეგობრება?**

— ეს საუბრის სხვა თემაა...

**— რა პრობლემაა, ვისაუბროთ...**

— ბურჯანაძის აპოლოგეტი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები... როგორ შეიძლება, ადამიანი მოსკოვში ჩადიოდეს და იმ ადამიანს ხვდებოდეს და ხელს ართმევდეს, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ არაერთი აგრესია განახორციელა?! რუსეთის იმ პოლიტიკურ ლიდერებთან, რომელთაც იმპერიული ამბიციები აქვთ, რომ საბჭოთა კავშირი აღადგინონ და გეოპოლიტიკური ინტერესები უფრო შორს განავრცონ, მოლაპარაკებები შუამავლის გარეშე არ შეიძლება. როცა ოკუპანტ ქვეყანაში მარტო მიდიხარ, ეს, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ ფეხქვეშ ეგები დ ვასლობას სთავაზობ! თუკი ბურჯანაძეს იმის იმედი აქვს, რომ ხელისუფლებაში მოვა, ძალიან ცდება, რადგან რუსეთი ისეთ ფიგურას „შემოგვიგდებს“, რომელზეც წარმოდგენაც არ გვაქვს, რომ კრემლისგანაა მართული...

**— ბატონო კოტე, ომის თემა რომ ამოვწუროთ, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება, მსოფლიოს აგვისტოს ომის ოკუპაცია 7 წლის მერეც რომ შეახსენოს, მხოლოდ სამგლოვიარო ღონისძიებების გამართვით უნდა შემოიფარგლოს?**

— კარგი იქნება, თუკი აგვისტოს ომზე საერთაშორისო, თუნდაც დახურული კონფერენცია ჩატარდება და კიდევ ერთხელ გაანალიზდება, რა მოხდა და რა შეცდომები იქნა დაშვებული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის მაშინდელმა უმაღლესმა მთავარსარდალმა კონსტიტუცია დაარღვია და ჯარი პარლამენტის თანხმობის გარეშე გამოიყვანა...

**— ისე, ქართველები ერთობ უცნაური ხალხი ვართ: ომი წაგებული გვაქვს, ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია და ამ დროს, იმაზე ვკინკლაობთ, ქვეყანაში მთავარი ფიგურა პრეზიდენტია თუ პრემიერი... უფრო მეტიც, ოკუპირებულ ქვეყანას სამი კვირა შს მინისტრიც არ ჰყავდა...**

— ვანო, მართალი ხართ... მართალია, შს მინისტრის მოვალეობას პირველი მოადგილე ასრულებდა, მაგრამ სამკვირიანი, ასე ვთქვათ, პაუზა პოლიტიკური თვალსაზრისით არ არის გამართლებული.

ისე, პოლიტიკური კონსულტაციების შედეგად, ასეთი სურათი მივიღეთ: ერთი ძალოვანი უწყება „რესპუბლიკური პარტიის“ ხელშია.

**— თავდაცვის სამინისტრო, არა?**

— დიახ. შსს-ში პარტია „ქართული ოცნების“ კადრი მოვიდა, უშიშროების სამსახურში კი, — ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი წევრი, ანუ პოლიტიკური კონგლომერატი მოიხაზა.

გაგრძელება მე-4 გვ.

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

**– მომეჩვენა, თუ ყოფილი პრემიერი და პარტია „ქართული ოცნება“ ერთმანეთისგან გამიჯნეთ?**

– არ მოგჩვენებიათ. ივანიშვილს პარტიასთან საერთო არაფერი აქვს – ყოფილი პრემიერი დღეს სამოქალაქო სექტორში მოღვაწეობს.

**– ბატონო კონსტანტინე, სამი ძალოვანი უწყება დაასახელეთ, აქედან ყველაზე გავლენიანი რომელია?**

– რეალური გავლენა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს.

**– რატომ?**

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელი ექვსი წლითაა დანიშნული და მისი გადაყენება მხოლოდ იმპიჩმენტით შეიძლება, რაც ნაკლებსავარაუდოა. მეორეც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ოპერატიულად თავდაცვის სამინისტროს ემსახურება.

**– და შსს-საც?**

– შსს-ს გარკვეულ ქვედანაყოფებს, მაგალითად, საზღვრისა და სანაპირო დაცვის სამსახურს. ასევე, ყოფილ შინაგან ჯარებს, ანუ როგორც დღეს უწოდებენ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს.





მოკლედ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კონტროლის დიდი ბერკეტები უჭირავს.

**– „კონტროლში“ პიროვნებებზე ზეგავლენას გულისხმობთ?**

– არა, ამჯერად სისტემის კონტროლზე ვლაპარაკობ. მაგალითად, თუკი სტრუქტურებში კორუფციული გარიგებები დაიწყება, ამაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სწრაფი და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი რეაგირების საშუალება ექნება და საქმე შეიძლება, რომელიმე მინისტრის გადაყენებამდეც მივიდეს.

**– უსაფრთხოების სამსახურს რომელიმე მინისტრის დაჭერაც ხელეწიფება?**

– რა თქმა უნდა... ამ სამსახურის შექმნა, პრაქტიკულად, პრევენციაა, რომ ისეთი ტიპის დანაშაულობები აღარ მოხდეს, როგორიც სააკაშვილის დროს ხდებოდა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტი თავდაცვის სამინისტროს მაშინაც ემსახურებოდა, მაგრამ 2006 წელს, ირაკლი ოქრუაშვილმა ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც, კონტრდაზვერვის თანამშრომელთა სამხედრო ნაწილებში დაშვება იკრძალებოდა...

**– ერთი სიტყვით, დღეს ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი ფიგურა ვახტანგ გომელაურია?**

– ბერკეტებით, – კი...

**– გასაგებია... ბატონო კონსტანტინე, წელან უნდა მეკითხა და დამავიწყდა, საქართველო რუსეთის წინაღმდეგ ევროპულ სანქციებს შეუერთდა, რასაც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა...**

– სხვათა შორის, პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, მთავრობის სხდომაზე მსგავსი საკითხი არ განხილულაო. ასეა თუ ისე, სანქციებზე მიერთება სასაცილოა.

**– რატომ?**

– რუსეთის წინააღმდეგ ევროპულ სანქციებს როგორ უნდა მივუერთდეთ, როცა საქართველოში გვყავს „როსნეფტი“, „თელასი“, გენერალოვის „ინტერრაო“ და მთელი ენერგეტიკა, პრაქტიკულად, რუსული გავლენების ქვეშაა? როგორ დავუშლით, მაგალითად, „როსნეფტს“, რომ ყირიმიდან რამე არ შემოიტანოს? თუკი სანქციებს ვუერთდებით, მაშინ გარკვეული სანქციები საქართველოში მოღვაწე რუს ბიზნესმენებსაც უნდა დავუწესოთ და ეს, დაახლოებით, იგივე კონტექსტია, აშშ-მ რომ განაცხადა, „როსნეფტისა“ და „გაზპრომის“ წინააღმდეგ სანქციები შემომაქვსო. როცა შენი სტრატეგიული პარტნიორი ამას აკეთებს, შენც ადექვატური ნაბიჯები უნდა გადადგა, მაგრამ სანქციებს, ვთქვათ, „ბილაინს“ დაუწესებ? მოკლედ, სანქციებზე მიერთება სასაცილოა!

**– სანქციებზე მიერთება ჩვენი მხრიდან ევროპისადმი, მინიმუმ, კეთილი ჟესტია...**

– ასეთი ჟესტები საჭირო არაა, რადგან ევროპამ შენზე უკეთ იცის, შენს ტერიტორიაზე რა სიტუაციაცაა.

**– ესე იგი, სანქციებს რომ არ მივერთებოდით, ევროპა ჩვენზე არ გაბრაზდებოდა?**

– არა, რა სისულელეა! პოლიტიკაში არის საკითხები, რომლებიც უნდა გაატარო. საქართველოში 400-მდე რუსულ-ქართული კომპანიაა დარეგისტრირებული და რომელ სანქციებზეა ლაპარაკი?

**– ეს კომპანიები მიშას დროს დარეგისტრირდნენ...**

– კი ბატონო, მაგრამ ახლაც მომრავლდნენ... აქედან 85 კომპანიაში პირდაპირ რუსული კაპიტალი დევს. ლაპარაკია ენერგეტიკაში, სამთომოპოვებასა და ფარმაკოლოგიაში მომუშავე კომპანიებზე, ანუ დღეს ჩვენს მთელ სტრატეგიულ ობიექტებს, პრაქტიკულად, რუსეთი აკონტროლებს, ეს რეალობაა და ამის შესახებ ევროპამაც იცის!

ყველაფერ ამის ფონზე, რამდენიმე დღის წინ, პუტინმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

**– რომელი ნაბიჯი?**

– სამხედრო-საზღვაო ძალების დოქტრინა გამოაქვეყნა.

**– ეს მნიშვნელოვანი რატომაა?**

– ეს დოქტრინა შავ ზღვაზე რუსეთის გეოსტრატეგიულ და სამხედრო ინტერესს ნათლად გამოხატავს. ეს დოკუმენტი საგანგაშო მხოლოდ ჩვენთვის კი არა, უკრაინისა და ნატო-სთვისაცაა, რადგან რუსეთი ღიად აცხადებს, შავ ზღვაზე გაბატონებას ვიწყებო. საამისოდ, ყირიმის სახით, პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. აფხაზეთის სანაპირო დიდი ხანია, რუსეთისაა. დარჩენილია ოდესის ოლქი და მოლდოვა...

**– უხეშად რომ ვთქვათ, რუსის ჯარი შეიძლება, აჭარაში შევიდეს?**

– დიახ.

**– რა მოტივით?**

– იტყვის, ჩემი გეოსტრატეგიული ინტერესიაო და მორჩა.

**– ანუ, ომს დაიწყებს?**

– ომი აუცილებელი არაა, თან რუსეთი გაფართოებას ჯერ აჭარისკენ კი არა, უკრაინისკენ აპირებს... კრემლმა ყირიმის ოკუპაცია სწორედ ამ გეგმით განახორციელა... რუსეთის საზღვაო-სამხედრო დოქტრინა ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, რომელსაც თავდაცვის დოქტრინა უნდა დავუპირისპიროთ.

**– ასეთი დოქტრინა გვაქვს?**

– რა დოქტრინა, რის დოქტრინა, კარგი, რა?! რომელი დოქტრინა, როცა სამხედრო-საზღვაო ძალებიც არ გვყავს. ძალიან მაინტერესებს, საზღვაო-სამხედრო ძალები ჩვენთვის პრიორიტეტული რატომ არაა? თუკი საჰაერო თავდაცვის სისტემებზე ვლაპარაკობთ, იმაზე რატომ არაფერს ვამბობთ, რომ საზღვაო ძალებისთვის მცურავი საშუალებებია საჭირო? ეს თემა თავდაცვის სამინისტროსთვის პრიორიტეტული რატომ არაა?

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: სომეხი სასულიერო პირები ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ერევიან.

**– ამას რატომ ამბობთ?**

– როგორც ჩანს, აფხაზეთში, აფხაზებსა და სომხებს შორის გარკვეული ბზარი გაჩნდა და ამიტომ, სომხეთის სასულიერო პირებმა საჭიროდ ჩათვალეს, აფხაზეთში მცხოვრები სომხებისთვის მიემართათ, ერთად უნდა იყოთ და თუკი გაითიშებით, ამით წყალს საქართველოს წისქვილზე დაასხამთო. ეს საქართველოს პოლიტიკაში სომხეთის ეკლესიის პირდაპირი ჩარევა, სეპარატიზმის გაღვივება და საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის აღიარებაა.

ოფიციალურმა თბილისმა ასეთი მოწოდებები არ უნდა „გაატაროს“, რადგან ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. ამიტომ, ყველაფერ ამას დროული და ადექვატური რეაგირება სჭირდება და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შესაბამისი განცხადება საპატრიარქომაც უნდა გააკეთოს, მით უმეტეს, რომ რუსეთის ეკლესია აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის კანონიკას აღიარებს...

**რაკი ზემოთ საუბარი ოკუპაციას ეხებოდა, „ქართული სიტყვა“ აქვე გთავაზობთ ფოტოსურათებს, რომლებიც რამდენიმე დღის წინ, სოხუმშია გადაღებული და რომლებიც საინფორმაციო სააგენტო „თაიმერმა“ გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ფოტოები აფხაზმა გადაიღო, რომელიც 1993 წლის შემდეგ, სოხუმში პირველად, საქართველოდან, კერძოდ, რუხის ხიდის გავლით შევიდა... იმედია, ასეთი პროქართული განწყობის აფხაზი არაერთია და თუკი ასეა, მაშინ, იმედი არსებობს, რომ ქვეყანა ოდესმე გამთლიანდება!**

**ვანო პავლიაშვილი**

(თემის გაგრძელება იქნება)

**„მთავარმა პროკურატურამ ძირითადი დანაშაული ვერ გამოკვეთა, რომელიც აგვისტოს ომს და, ასევე, იარაღის უკანონო ბიზნესს უკავშირდება, რომელზეც მხოლოდ მე კი არა, აშშ-ის ფედერალური ბიუროც ლაპარაკობს. ბოლოს და ბოლოს, ამ თემას სააკაშვილის ყოფილი თანაშემწე ჯეფრი სილერმანიც სწავლობდა...“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
5 – 11 აგვისტო 2015
№ 31 (295)


„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოეზია

## ვაჟა ფშაველა

# გველისმჭამელი



IV

ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,
ლუდის სმა არი, ღრეობა.
დიდს მლოცავს მოიპატიჟებს
გუდანის ჯვარის დღეობა.
ხალხია დაჯარებული,
ბჭობენ უფროსნი მრავალსა:
ზოგნი ამბობენ სხვის ამბავს,
სხვანი — თავგადასავალსა!
ამბობენ ვაჟკაცობისას,
თოფისასა და ხმლისასა,
ჯაჭვის მჭრელს წელზე ვინ ირტყამს,
ყველა აქებდა იმასა.
უსმენენ მოწიწებითა,
თუ ვინ რას იტყვის ცდისასა.
თანაც გააბეს მსჯელობა
გველისმჭამელის ცოდნაზე,
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,
მათ ჩანადინარს ცოდვაზე.
ჩალხია ეტყვის კრებასა:
„მიკვირს ეგ თქვენი ფიქრია,
წინავაც ბევრჯელ გითხარით,
ეხლაც იმასვე ვიტყვია:
ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია?!
მე სამალავად არ ვამბობ,
თითონაც მისდის ყურშია;
თუ ამას მართალს არ ვამბობ,
იფიქროს თავის გულშია.
ვსთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი...
კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,
თუნდ მტერი იყოს, ყოველთი.
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ,
გეტყვით, მისმინეთ, მე რასა:
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც
კლვისას არ გვაძლევს ნებასა,
მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.
მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს
მტრისად შაქცევას ხელისას,
ეგრევე, ოღომც ვიცხოვროთ,
მოჭრას წიფლის და თელისას.“
— არ სტყუის, არა, ჩალხია,
მინდია ცრუობს სწორედა,
ათასნაირი ტყუილი
თვალწინ აგვიგო ყორედა, —
ამბობდენ ხალხში ზოგები
გაუბედავად, დონედა.
— მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,
როგორ-ღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდვებისა?!
თემთ რო გვარიგებს მაგაზე,
ძალიან ცუდად შვრებისა.
კარგთაგან იმედი გვაქვის
მუდამ შველის და რგებისა
და არა ჩვენის დაღუპვის,
ჩვენის ცხოვრების ვნებისა!..
— ეს იყო გამონასკული
აზრი ხევსურთა კრებისა...
მინდია იქავე იჯდა.
თვალთაგან ცრემლი სდიოდა.
არვინ იცოდა, თუ იმას
გული რისაგან სტკიოდა.
თვალნი მიეპყრნო ერთს მხარეს,
ხალხისა არა ესმოდა;
გამოერკვია ფიქრიდან,
როცა ბერდია ეტყოდა:
„რად არ ყურს გვიგდებ, მინდიავ,
ნეტავ რისათვის სტირია?
ეს არც კი მიკვირს შენგანა,
არც სხვისგან გასაკვირია —
ერთს წამში ცხრაჯერ შასცვალო
გლოვა-ტირილზე ლხინია“, —
და მთელმა ხევსურთა გუნდმა
მინდიასკე ქნა პირია...
„ჰოდა, სთქვი, — კვლავ სთხოვს ბერდია, —
გულზე რა ჭირი გჭირია?“
— აგერ, იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ, —
თითით უჩვენა ჩიტებზე,
ორნი ფრთებჩამოშვებულნი
იფნის ქვეშ ისხდენ სიპებზე.
— ერთი მეორეს უამბობს
სიკვდილის ამბავს შვილებზე;
მარცხნით მჯდომარე დედაა,
მარჯვნისკე — ამბის მთხრობელი,
თქვენს მტერს, რომ გულ-მოკლულადა
შვილებსა ტირის მშობელი.
ჩიტებს ეხლა-ღა შესცქერის
ხევსურთა კრება სრულია,
ჩიტთაგან ერთი იმ დროსა,
თითქო მოჰსვლოდეს რულია,
სიპიდან დაბლა დაეცა
და განუტევა სულია.
რომელი მოკვდა ორთაგან!
ამის გაგება — რჯულია!
ხევსურთ შაჰხედეს ერთმანეთს
გაოცებულის თვალითა;
ნუთუ ასეთი ცოდნაო
იქნება კაცის ძალითა?
დარწმუნდენ იმის ცოდნაში,
საქმე წინ ედვა ყველასა,
მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა.
ქათმის ხორცს რა შეაძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?!
ვინ ჩამოჯდება ღველფზედა,
თუ ზედ არ ჰხედვენ ძელასა?!.

V

ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა
ლეკ-სპარსებ, ქისტებ, თურქთანა,
გამარჯვებულნი მოდიან
ხევსურეთს ვაჟნი მუდამა.
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,
მტერს შაუკერეს სუდარა.
ერი თუ მტრის მძლეველია,
მის მეტი არა უნდა-რა.
მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ-რა,
ველარვინ ჰბედავს რჩოლასა,
მყუდროობაა ყველგანა...
ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

VI

ფრიალო კლდის თავს სახლი დგა,
ცას ებჯინება ბანითა,
ირგვლივ მთებია დიდრონი,
აყრილნი სრულის ტანითა,
გადალესილნი თოვლითა,
მოუღალავნი ჯანითა.
ერთხელ თუ ჰნახე ამგვარად,
სულ გინდა ჰსინჯო თვალითა.
იმაზე ლამაზებია,
როცა ჰღელავენ მწვანითა.
თუნდ მზე დაადგესთ გულ-მკერდზე,
ზვავი სდიოდესთ ჭექითა, —
ახველდებიან ხევები,
ვით ავადმყოფნი ჭლექითა,
მაინც სიტურფე იმათი
ნაკურთხი არის ზეცითა.
ბევრჯელ დაჰბრუნავს თავზედა
გრილი ნიავი კვნესითა.
ზაფხულში შავი ღრუბლები
სანთლებს უნთებენ კვნესითა.
იქ ხომ ხვნით არავინა ჰხნავს,
არც ვინ რას სთესავს თესითა,
მარტო ჯიხვები დადიან
კლდეებზე რქების ლესითა.
და სალნი კლდენი, პირ-ქუშნი,
უფსკრულს ჩასულნი ფესვითა,
არც რო სულზედა ფიქრობენ,
არც სუქდებიან ლეშითა,
უსალმო, უალერსონი,
გამომზირალნი ბრეშითა.
სახლზე კოშკია მიდგმული,
შემურვილია ბოლითა,
დღე-მუდამ შაძრწუნებული
ჩაზეირების სროლითა.
რა დაასვენებს საბრალოს,
მინამდე ირგვლივ მტრებია,
მინამდე შურის ძიება
კაცის ტომს გულში სდებია,
ნასროლი ტყვია მტრისაგან
მკერდზე მრავალი სცხებია!
სახლიდან ისმის ჯავრობა,
ხმა კამათობის, წყრომისა;
ბევრნიც არავინ არიან, —
საუბრის კილო ორისა.
ღველფზედა ცეცხლი ანთია,
გაჩაღებული შეშითა,
იქით მხარეზე დიაცი
მოჩანს ბალღების გვერდითა,
აქეთ მარტოკა ხევსური
ბევრს რასმე მოსთქვამს ხვნეშითა.

**ქ მ ა რ ი**

ის დღე გაშავდეს, რა დღესაც
შენ მე დაგისვი ცოლადა.
მინამდე კაცი არ მაჩნდა
მიწაზე თავის ტოლადა.
სრულ შენგან გავხდი, წყეულო,
უგერგილოდ და ყროლადა.
რა ვარ? განა-ღა კაცი ვარ,
ღირსი, ცის ქვეშე ვიდოდე?!
იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,
ნეტავ წამალი ვიცოდე!..
ფუჭია ჩემი სიცოცხლე,
დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შვილებიც ჭირად გამიხდა,
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღე და ღამ ვტირია.

**ც ო ლ ი**

მე რად მაბრალებ თავის ბრალს,
შინ როს მოგივედ ძალითა?
გზად არ მიტევდი მიმავალს,
მავსებდი ცოდვა-ბრალითა:
„მზიავ, ძალიან მიყვარხარ,“
ცრემლებს აბნევდი თვალითა
და ჩემს ძმათ ჩემის გულისად
შინ უხდებოდი ხმალითა.
წინაზე ტკბილი შაქარი
ეხლა გემწარე რისადა?
ან შვილთა ყოლას რად ჰგლოვობ,
მდურვას რად იტყვი ღვთისადა?!
თავისი ცოლი და შვილი
ვის გადაუგდავ სხვისადა?
ჩვენ რადა გვსახავ მიზეზად
შენის გუნების ცვლისადა?

**ქ მ ა რ ი**

იმიტომ, უჭკო დიაცო,
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი:
„სიცივე ბალღებს მილევსო“,
შვილ-მამკვდარივით ჰკიოდი:
„ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორს ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი“,
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.
გულზე მოსაყვანს ქართულსა
ჩემს გასაგონად ამბობდი,
გეწადა კაი ცხოვრება,
მოწამლულს ქადას აცხობდი.
და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა:
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!“
ხვალ ორი მოვჭერ, და ასე
გული ჩავიდევ ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.
შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია,
რამდენჯერ ჩემი გულ-მკერდი
ამ ჩივილს გაუსენია:
„ყმაწვილნ უხორცოდ დაზდილნი
რა ვაჟკაცობას იზამენ?
არსად არ გამიგონია
ასრე გაზდილი სხვისა მენ“.
ახ, რატომ ამის თქმამდინა
არ დაგეყარა მიწა შენ!..
მეც მივყევ — ვხოცე ნადირი,
გასუქ-გალაღეთ ლეშითა,
თავის ბალღებით ჰხარობდი,
მე დავრჩი თავის ტეხითა.
სჯობდა კი ასე გახდომას
გავთაულიყავ მეხითა;
დაკარგულს ველარ მოვხელავ
ვერა რომელის ხერხითა.

**ც ო ლ ი**

ან შენ რა გიჭირს ისეთი,
თავს რად იტკივებ ძალადა;
შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა
სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?

**ქ მ ა რ ი**

არ იცი, არა, ჭკვა-თხელო,
ყბედო, ზეზერე მგრძნობარევ,
თავისა სასიამოვნოდ
წუთისოფლისა მცნობარევ!
არა ღირს იმად — ვიგლოვო
თვისი ცოდნა და ძალია,
რომ ჩემთან ერთიც მათგანი,
ბრიყვო, აღარსად არია?!
არ უღირს, მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი, — მკვდარია,
იგლოვოს თავისი თავი,
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,
მიპოვნე შესადარია!
ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.
რითი-ღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა:
ყვავილნი არას მეტყვიან,
აღარც ცნობა მაქვს იმათი;
განა მეტი-ღა იქნება
კაცმა თავს უგდოს ხიფათი?
აღარა მესმის ფრინველთი,
აღარა მესმის ყანისა,
აღარ მსმენია მას შემდეგ
ტკბილი სალამი მწვანისა.
ეს არაფერი, სხვაფრივაც
აღარ ვვარგივარ არადა;
გინდა აქ ვეგდო მთაშია,
გინდა ჩავიდე ბარადა,
ჩემ ფერას უკეთურებსა
არვინ იყიდის ჩალადა.
ველარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მამგერებელს ჯარშია,
მიტომ, რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია.
რატომ მალედვე არ გაქრა
ჩემი ვარსკვლავი ცაშია!
დღესნამდე მტრები შინაით
ვერა ძვრებოდენ კარშია
შიშით, და ეს რომ გაიგონ,
მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ,
ჩვენ სახლებს, ციხე კოშკებსა
ნაოხრად გადააქცევენ.
ცოცხალი ამას ვერ ვნახავ,
თქვენი დღეც გათაულია,
თქვენგან დავკარგე გონება,
წმინდა გავყიდე რჯულია...
ახლა ქვეყანაც დავღუპო,
თქვენ პირში გედგასთ სულია!..
ან მე რად მინდა სიცოცხლე,
ან თქვენ გაცოცხლოთ რაღადა,
თუ მთელი ჩემი არსება
აღარ იქნება საღადა?!..
ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ —
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.
რისთვის-ღა მინდა აბჯარი,
რისათვის მინდა ხმალია,
თუკი ჩემს მტრისად დაკრულსა
აღარ ექნება ძალია?!
ამ მიწის ამონაცენი
ჩემი სესხი და ვალია,
როგორ-ღა ან პური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია?!
ადგა და გულხელდაკრეფით
გამოეფარა კარზედა.
მთათ რომ შეჰხედა მაღლათა,
დაიქვითინა მწარედა.

№ 31 (295)
5 – 11 ამვისტო 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

პროზა

ორი ქართული ხალხური ზღაპარი





# მუჭანახევარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდაო, ვიტყვით, თორემ იმათ ყოფას რა ცხოვრება ეთქმოდა, საჭმელი იმათ არ გააჩნდათ და სასმელი, ერთი სიტყვით, სულს იქით არაფერი აბადიაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთები იყვნენ.

ერთ დღეს მიკრიფ-მოკრიფეს და, როგორც იქნა, ერთი მოხარშვა ლობიო მოაგროვეს. ლობიო კი შემოდგეს ცეცხლზე, მაგრამ მარილი ერთი მწიკვიც აღარ აღმოაჩნდათ, რომ შეჭამანდისათვის ექნათ. ცოლმა უთხრა ქმარს:

წადი ქალაქში, წაიღე თუ რამე გროშები გაქვს და იქნებ, ერთი მუჭანახევარი მარილი მაინც იყიდოო.

წასვლით კი წავალ, _ უთხრა ქმარმა თავის ქექვით, _ მაგრამ რამდენი ვიყიდო დამავიწყდება, ამოდენა გზაზე როგორ დავიხსომოო.

გზაზე სულ მუჭანახევარი, მუჭანახევარი იძახე, აღარ დაგავიწყდებაო, _ ურჩია ცოლმა.

წავიდა კაცი. მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის, _ მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!

გზის პირას ერთი კაცი ყანას თესავდა და თესლის ყოველ გადაბნევაზე ერთი ასად, ერთი ასადო! _ ამბობდა. გაიგონა მთესველმა ამ ღარიბი კაცის ყვირილი და ცეცხლი მოეკიდა _ მე იმას ვითხოვ, რომ ერთი ასად მომივიდეს, ეს ბრიყვი კი მუჭანახევარს გაიძახისო. დადო ხორბლიანი ხურჯინი და ერთი მაგრამ მიბეგვა.

_ რა დაგიშავე, რაზე მცემო? _ ჰკითხა კაცმა.

_ იმიტომ გცემ, რომ ღირსი ხარო, _ უთხრა გლეხმა, _ მე ღმერთს ერთი ასად ვთხოვე, შენ კი მუჭანახევარს გაიძახიო.

_ მაშ, როგორ უნდა მეთქვაო?

_ უნდა გეთქვა, ერთი ათასად, ერთი ათასად! და მადლობასაც გეტყოდიო, _ უთხრა ყანის მთესველმა.

_ კარგი, ამის შემდეგ ასე ვიტყვიო, _ უთხრა კაცმა და წავიდა.

მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის, _ ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გზაზე მკვდარს მოასვენებდნენ. გაიგონეს კაცის მახილი ჭირისუფლებმა, მისდგნენ და ერთი კარგა მიბერტყეს, _ შე ოხერო და მუდრეგო, ეს ერთი მკვდარი არ გვყოფნის, რომ ახლა ათასადაც არ გაგვიხდესო?

_ მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? _ ჰკითხა კაცმა.

როგორ და, _ ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა აცხონოსო! _ და ჩვენც პატივით გაგისტუმრებდითო.

_ კარგით, აწი სულ ასე ვიტყვიო, _ უთხრა კაცმა და წავიდა.

მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის: ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა აცხონოსო!

გზაზე მაყრიონი შემოხვდა, მოჰყავთ პატარძალი და მოიმღერიან. გაიგონეს ამ კაცის მახილი მთვრალმა მაყრებმა და მათრახებით სულ თავ-პირი ჩამოალეწეს,

_ შე მამაოხრიშვილო, პატარძალი მიგვყავს, ბედნიერებასა და სიცოცხლეზე ვმღერით და საცხონებელს აქ რასა ხედავო?

_ მაშ რა უნდა ვთქვაო? _ ჰკითხა კაცმა, _ მე როგორც მასწავლეს, ისე ვამბობო.

_ ვინც ეგ გასწავლა, ისიც შენნაირი მუდრეგი იქნებაო, _ უთხრეს მაყრებმა, - ცხონება კი არ უნდა გეთქვა, უნდა მისულიყავი ახლოს, მოგეხადა ქუდი და ხმამაღლა გეყვირა, _ გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

_ კარგი, აწი ასე ვიზამო, _ თქვა კაცმა და გაუდგა გზას ქალაქისაკენ, მიდის და რაც მალი და ღონე აქვს გაჰყვირის: გაუმარჯოს, გაუმარჯოსო!

გზაზე ერთი მონადირე ირემს ეპარებოდა. ის იყო თოფი უნდა ესროლა, რომ ირემმა გაიგონა კაცის ყვირილი და დამფრთხალი ტყეში შევარდა. მოტრიალდა გაცეცხლებული მონადირე და ურტყა და ურტყა თოფის კონდახი ბეჭებში – შე სულმაღლიშვილო, რა ჭირი გაღრიალებს, ნასთვლევი ხარირემი რატომ გამიფრთხეო.

_ მაშ რა უნდა მეთქვაო? _ ჰკითხა კაცმა.

_ არაფერიც არ უნდა გეთქვა, _ უთხრა მონადირემ, _ დაღუნულიყავი და ჩუმად გაგევლო. ახლა ირემი მოკლული მეყოლებოდა და კაი მწვადებსაც გაჭმევდიო.

_ კარგი, ამის შემდეგ ხმას აღარ ამოვიღებ და სულ მოღუნული ვივლიო, _ თქვა კაცმა და წავიდა. მიდის ქალაქისკენ წელში მოღუნული და თან ღობე-ყორეს ეფარება.

ერთ კაცს ფულიანი ქისა დაჰკარგვოდა და დაეძებდა. დაინახა მოღუნული კაცი, დაიჭირა და უთაქა და უთაქა: თუ ჩემი ფულიანი ქისა შენ არ იპოვე, მაშ ღობე-ყორეს რას ეფარებიო?

კაცმა დაიფიცა, არ მიპოვიაო და ფულის პატრონმაც დაანება თავი.

_ აბა, რა ვქნა, როგორ ვიარო, ან რა ვთქვაო? – ჰკითხა კაცმა. ქისის პატრონს თავისი ფულები აწუხებდა და კაცის დარდი სულაც არ ჰქონდა.

_ ჯანდაბამდისაც გივლია და ის გითქვამს, რაც ჯერ არავის უთქვამსო, _ მიაძახა და ქისის საძებნელად წავიდა.

დარჩა ადგილზე კაცი და აღარ იცის, როგორ მოიქცეს. ამდენ ხათაბალაში ცოლის დანაბარებიც დაავიწყდა და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. გაბრაზდა ცოლი, რატომ მარილი არ მოიტანეო და რაც ხალხმა დააკლო, თვითონ დაუმატა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.



# გვრიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი, ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე, იდგამდა ბუდეს, ჩეკდა ბარტყებს და მზრუნველადაც უვლიდა, _ ადრე დილიდან მზის ჩასვლამდე ფრთებჩაუკრეფლად დაფრინავდა და შვილებს საზრდოს უზიდავდა. საღამოობით დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ბედნიერი, ჩამოჯდებოდა ბუდის გვერდით და მიდამოს ნელი გვრინით ატკბობდა.

ერთხელაც, ბარტყებისათვის საჭმლის საშოვნელად შორს მოუხდა გაფრენა და ბუდეს დიდი ხნით მოშორდა. ერთმა გლეხმა ამით ისარგებლა, ამოსხა ბუდიდან გვრიტის პაწაწინა ბარტყები და შინ წაიყვანა.

დაბრუნდა გვრიტი შორეული მოგზაურობიდან და საზრდოც - ჭიაღუა და მსუქანი მატლები _ ბლომად მოიტანა, მაგრამ სადღა არიან ბარტყები? ბუდე ცარიელი დახვდა. დაღონდა გვრიტი, ბუდის გვერდით ფრთებჩამოყრილი ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.

ტირილით რომ გული მოიოხა, ადგა და შვილების საძებნელად წავიდა. ცოტა გზა რომ გაიარა, წინ მამალი შემოხვდა და ჰკითხა:

_ გვრიტო, გვრიტო, სად მიდიხარო?

_ შვილების საძებნელადო.

_ მოდი, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

_ მალიან კარგიო, _ უთხრა გვრიტმა, _ მშველელი და ამხანაგი კაცს სწორედ გაჭირვების ჟამს უნდაო, _ და გაიყოლა.

წავიდნენ ორნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი. იარეს, იარეს და წინ მახათი შემოეყარათ.

_ გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? _ ჰკითხა მახათმა.

_ შვილების საძებნელადო.

_ ეგ მამალი რაღად მოგდევსო?

_ ჩემ საშველად მოდისო.

_ მაშ, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

_ მალიან კარგიო, _ მიუგო გვრიტმა.

შეუერთდა მახათიც და გაუდგნენ გზას სამნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მახათი და მამალი მისდევენ, იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შემოხვდათ.

_ გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? _ ჰკითხა ფილთაქვამ.

_ შვილების საძებნელადო.

_ ეგ მახათი და მამალი რაღად მოგდევენო?

_ ჩემ საშველად მოდიანო.

_ მაშ, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

_ მალიან კარგიო.

შეუერთდა ფილთაქვაც და წავიდნენ ოთხნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი, მახათი და ფილთაქვა მისდევენ. იარეს, იარეს და ახლა ვირი შემოხვდათ.

_ გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიაო? _ ჰკითხა ვირმა.

_ შვილების საძებნელადო.

_ ეგ მამალი, მახათი და ფილთაქვა რაღად მოგდევენო?

_ ჩემ საშველად მოდიანო.

_ მაშ, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

_ მალიან კარგიო.

შეუერთდა ვირიც და წავიდნენ ხუთნი. შუაღამისას ერთ სოფელში შევიდნენ, დაუგდეს ყური და ერთი სახლიდან პატარა გვრიტების ღუღუნი გაიგონეს. მივიდნენ სახლთან, შევიდნენ ეზოში და საომრად მოემზადნენ: ვირი სახლის კარებთან აიტუზა, მახათი ჭუჭრუტანიდან შემძვრა და ბუხრის პირას დაერჭო, გვრიტი, მამალი და ფილთაქვა ერდოდან ჩავიდნენ. მამალი ბუხრის თავზე შემოჯდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო, ხოლო გვრიტი გალიასთან მიფრინდა და ბარტყების გამოხსნას შეუდგა.

დედის დანახვაზე ბარტყებმა ერთი ჭყიპინი და კრუშ-კრუში ატეხეს. ხმაურზე კაცს გამოეღვიძა, წამოვარდა ლოგინიდან და, რომ გაეგო, სიბნელეში რა ხდებოდა, ბუხართან ცეცხლის ასანთებად მივიდა. გაჩხრიკა თუ არა ნაღვერდალი, ფილთაქვა გასკდა და ნაცარი თვალებში შეეყარა. კაცი შეშინდა, უკან დაიწია და ბარმაყში ახლა მახათი შეერჭო. ამ დროს მაღლიდან მამალმაც დაჰყივლა. კაცს შეეშინდა და გულგახეთქილი გარეთ გავარდა. კარებთან ვირი დახვდა და გვერდებში ისეთი წიხლები უტყუპა, რომ სამი ყირა გადაატარა.

ამასობაში გვრიტმა გალია გახსნა, გამოიყვანა თავისი ბარტყები, შეისხა ფრთებზე და გახარებულმა ბუდისაკენ გააფრინა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

5 – 11 აგვისტო 2015 | № 31 (295)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



## გახსენება



### შენ მთხოვდი...

შენ მთხოვდი ერთად,
შენ მთხოვდი ერთად —
მეც ჩემმა ბედმა არ გამაწბილა;
მაგრამ მე შენთვის,
მაგრამ მე შენთან
მომქონდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილად.
შენ მხოლოდ ერთად,
შენ მხოლოდ ერთად —
არ გწამდა ჩემგან ნაწილ-ნაწილი...
მაცოცხლე შენთვის,
მამყოფე შენთან,
მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი.

### მცხეთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?
მე დაგანახვებ არმაზის მხარეს —
კედლებს, ნანგრევებს, მკვდარ ნაქალაქევს,
სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს
სძინავთ — ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.
და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ მოსვლა,
აღსდგნენ არმაზის სარკოფაგები.
ჩვენ აღტაცებით დავცქეროდით განძებს,
აკლდამის ქვებში მარჯვედ ჩასმულებს:
საოცარ თვლებით მოჭედილ თასებს,
საოცარ თვლებით ნაჭედ სასმურებს,
სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,
კვლავ ცოცხლობს რაღაც უცნობ წამალით...
(თუმცა ამაოდ ვეძებდით ჩონჩხებს —
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც)
და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს,
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,
რომ არც სიზმარი არის ყოველი.
რომ იქნებ მათაც,
მიწიდან ახლა
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.
ჩვენ კი დღეს სწორედ,
ჩვენ კი დღეს სწორედ,
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს,
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს, მათგან მოწოდებულებს.
არა, არ წაგყვეს,
არ წაგყვეს ჯავრი, —
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ, დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!

# ირაკლი აბაშიძე

### ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ – ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან – ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის
იბერის ენავ,
ენავ თამარის
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

### 25 თებერვალი

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი —
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს —
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, -
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

### ფიქრი კრწანისზე და მანანა ორბელიანზე

განა არ ვიცი, განა არ ვხედავ,
რომ სხვა დროების ჩამოდგა ჯერი?!
მაგრამ რად მტანჯავს ეს ფიქრი ნეტავ,
და, რაც არ მოხდა, ის რატომ მჯერა?
როცა ბრძოლების დაჰქროდა ქარი,
როცა კოშკიდან კრთოდა მანდილი —
მაშინ დაშნების რეკავდა ზარი,
და სულ სხვა იყო გულის წადილი!..
კრწანისის ახლოს ჰყიოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს...
სხვა რა მოხდება იმაზე მეტი —
რაც დღემდე გულის ფიცარს მილეწავს?
მაშინ ეგ სახე მენახა ნეტავ,
ნეტავ შენი ხმა მე მომესმინა,
როცა ტიროდა ქართველი დედა
იქ, სადაც სამას არაგველს სძინავს!
ო, მაგ უნაზეს მკლავების სითბო
და მარგალიტისფერი სხეული
წარსულზე ფიქრით ოცნებას მიტკბობს —
გულში რომ არის ჩამონთხეული.
ოღონდაც ერთხელ მაინც მენახა
შენი მანდილის მაღლიდან რხევა,
გამევლო ღამით ჩუმი ვენახი
და კოშკის კარი გაეღო მხევალს...
დღეს, როცა მინებს წვიმა ასკდება
და ტვინს მიბურღავს მწუხარე ფიქრი, —
ჩემი ოცნებაც გედივით კვდება
და იფარება სათუთი ფიფქით.
კრწანისის ახლოს ყიოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს...
სხვა რა მოხდება იმაზე მეტი,
რაც დღემდე გულის ფიცარს მილეწავს?!

# კოლაუ ნადირაძე



### წინამძღვრიდან საგურამომდე

*პავლე ინგოროყვას*

წინამძღვრიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წინამძღვრიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წინამძღვრიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა.
ისევ დუდუნი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,
ღამით ამოსულს და აყვავებულს ნიავს არაგვი დილამდე ელის.
ჰეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰეი, არაგვო, მიამბე მაინც შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი,
როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი!
ჰოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სევდას მოაქუხებდი!
არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს, არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი: — დამარცხებული ბაგრატიონი!..
გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ!
საით ისწრაფვი მაინც, არაგვო, და მიაშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი დაუდაფნიათ!
მცხეთის კარამდე გაისმის ძვლების და მუზარადის მსხვრევის ხმაური!
მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევ ამტყდარა აურზაური,
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე დაჯახებული ხმალი ფშავური!
წინამძღვრიდან გულის კარამდე ერთი გზა მოდის — გზა სისხლიანი!
ისევ ჰყივიან ცაში არწივნი და შრიალებენ მთანი ტყიანი;
მთებში ირმების ისმის ყვირილი გულის მზარავი და სევდიანი.
ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა?
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა?
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიქრი გაუზიარა?
ჰოი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი?
ეგების შესწყდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაეფარა მიწას წყვდიადი,
და დამწუხრებულს, კაეშნით მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?
შთაგონებული სიმღერა მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას.
ალბათ, მისთვის ხარ გულჩათხრობილი და აღარ ცხრება ტალღების კვნესა!
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსა!..
წინამძღვრიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წინამძღვრიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წინამძღვრიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა.

№ 31 (295)
5 – 11 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ექსპერტი

# რატომ „აიწყვიტა“ პრეზიდენტმა

**„მე ვარ საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელმაც ფიცი დადო არა „ქართული ოცნების“, არამედ, — სახელმწიფოს წინაშე!“ — ამ განცხადებით გიორგი მარგველაშვილისა და მმართველი გუნდის დაპირისპირება, როგორც იტყვიან, ახალ ფაზაში გადავიდა. რატომ გაიყო პრეზიდენტისა და „ქართული ოცნების“ გზები? — ამ თემაზე „ქართული სიტყვა“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა:**

— ივანიშვილსა და მარგველაშვილს პრეზიდენტის ინსტიტუტსა და უფლება-მოვალეობებზე განსხვავებული წარმოდგენები აქვთ. სხვათა შორის, ყოფილმა პრემიერმა ყველაფერს ფარდა ახადა, როცა თქვა, რომ მარგველაშვილში შეცდა. ესე იგი, პრეზიდენტის არჩევა დემოკრატიული პროცესი არ იყო და გამოდის, რომ ეს უკანასკნელი მისივე ხელდასმულია.

**— ანუ, მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად მყარი შეთანხმების გარეშე წარადგინეს?**

— ლიდერსა და მის გარშემო მყოფთა შორის შეთანხმება და გარიგება არ ხდება. ჩვენ საქმე თანასწორ პარტნიორობასთან არ გვაქვს, „ოცნების“ წევრები ივანიშვილზე არიან დამოკიდებულნი. არავინ იცის, რომ ექს-პრემიერი ძიძიგურს, ბესელიას, ჟორჟოლიანს და სხვა დანარჩენებს რამეზე შეუთანხმდა. ეს ადამიანები, უბრალოდ, გამტარების როლს ასრულებენ. „ოცნების“ წევრები მარგინალიზაციის გზაზე მდგომნი იყვნენ და ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკოსებად აქცია... როცა ალასანიას პარტია „ოცნებას“ განუდგა, წულუკიანმა თავისი პოსტი არ დატოვა... ამ ადამიანებს ის სიკეთეები უნდათ, რასაც ხელისუფლებაში ყოფნისას იღებენ. რა შეთანხმებაზეა ლაპარაკი, როცა ამ ხალხს ბიძინა მამა-მარჩენალად მოევლინა, თავისი ჯიბიდან კვებავდა... ეს მორჩილების რეჟიმი მარგველაშვილს, როგორც ჩანს, არ მოეწონა, იფიქრა, მიშას ნახევარი მაინც ვიქნებიო, მაგრამ „ოცნებას“ სურს, ის მიშას ჩრდილიც არ იყოს.

**— „ოცნებამ“ საზოგადოება მარგველაშვილის წინააღმდეგ რატომ ვერ განაწყო?**

— ქვეყანაში ძალიან დიდი იმედგაცრუებაა, რაც, რა თქმა უნდა, „ოცნების“ იმიჯსა და რეიტინგზეც აისახა. საპროტესტო მუხტი ძლიერდება, თანაც ქართველი ამომრჩეველი დასავლურ ელექტორატთან ახლოსაც ვერ მივა. ჩვენ კლასიკური აფრო-აზიური ელექტორატი გვყავს. 15-20 წელია, ხელისუფლებებს 80-90 %-ით ვირჩევთ და სალაპარაკო რაღაა?! „ოცნების“ სანდოობა ისეთ დაბალ ნიშნულამდე დავიდა, რომ ამომრჩეველს ვინმეს, ან რამის წინააღმდეგ წასვლა აღარ შეუძლია.

ვეტოს, როგორც ჩვენთან, ასევე, დასავლურ ქვეყნებშიც იყენებენ, მაგრამ აშშ-ში ამ პროცესს ძალიან ერიდებიან. მაგალითად, ობამამ მიმართა კონგრესს, რომ ირანის ხელშეკრულების შეცვლა ან გაუქმება შეეძლოს, მაგრამ მისთვის მიუღებელ რეზოლუციას ვეტოს აუცილებლად დაადებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის უმრავლესობა „რესპუბლიკელია“, ყველა შეეცადა, პრეზიდენტის ვეტოს მორიდებოდა. ასე იმიტომ ხდება, რომ ვეტო, როგორც ფაქტი, ქვეყნისთვის კარგის მომტანი არაა. ჩვენთან კი, ვეტოთი ერთობიან და თამაშობენ. ჩვენი პარლამენტარებისთვის ვეტო არაფერს ნიშნავს, რაც დიდი შეცდომაა. ესე იგი, მათ პასუხისმგებლობა არ აქვთ. ვეტოს დაძლევას 15-წუთიანი პროცედურა სჭირდება, მაგრამ ყველაფერი ეს ევროპაში ავტორიტეტს გვილახავს.

**— ესე იგი, ვეტოს მარტივად დაძლევა პრეზიდენტის, როგორც ინსტიტუტის ავტორიტეტს აკნინებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მარგველაშვილი კანონპროექტის ამოქმედების შემაკავებელ ბერკეტს ხშირად იყენებს...**

— პრეზიდენტი ხელიდან ვეტოს დადების ერთ შანსსაც არ უშვებს, რათა საზოგადოება დაარწმუნოს, რომ „ოცნებას“ არ წარმოადგენს. ხელისუფლების მომავალი სათუო გახდა, მარგველაშვილი კი, ახალგაზრდა კაცია, არ უნდა, უკან დასახევი გზა მოიჭრას და „ოცნებას“ „გადაყვეს“.

**— პრემიერმა განაცხადა, ჩვენ ჭეშმარიტად „ნაციონალი“ პრეზიდენტი გვყავსო. ბატონო სოსო, მარგველაშვილსა და „ნაციონალებს“ შორის კავშირს თქვენც გრძნობთ?**

— ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, გამორიცხვა არაფრის შეიძლება. მარგველაშვილი ეული პოლიტიკოსია, მას სოციალური დასაყრდენი არ აქვს და მხოლოდ ის, რომ ივანიშვილს „აუხტა“, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ქულებს ვერ შესძენს. მას სტრუქტურული აპარატი სჭირდება და არ გამოვრიცხავ, რომ დასაყრდენი „ნაციონალებში“ ნახოს. ყოფილმა პრემიერმა პრევენციული ღონისძიებები უკვე დაიწყო და ცდილობს, მთავრობა „რესპუბლიკელებს“ გადაუნაწილოს. ეს საკმაოდ სწორი ნაბიჯია — ამ ქმედებით ხელი ალასანიასა და „რესპუბლიკელების“ ალიანსის ჩამოყალიბებას შეუშალა. „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობაზე უპრეცედენტო რამ მოხდა: მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით უსუფაშვილმა ალასანიას „დემოკრატებს“ თანამოაზრენი უწოდა. ეს სიტყვა შემთხვევითი არ გახლდათ...

**— ბატონო სოსო, თუკი მთავრობის დიდ ნაწილს „რესპუბლიკელები“ დააკომპლექტებენ, გარკვეულწილად ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი ხომ არ დადგება?**

— მიუხედავად იმისა, რომ „რესპუბლიკური პარტია“ ლიდერებითა და ინტელექტუალებითაა სავსე, საქართველოს რეალობით არასოდეს ცხოვრობს და ელექტორატს ყოველთვის უსწრებს. დიახ, ნამდვილად შეიქმნება ლეგიტიმურობის პრობლემა იმიტომ, რომ „რესპუბლიკელთა“ რეიტინგი 5%-ზე ქვემოთაა... ასეთი პარტია დასავლეთ ევროპის პატარა ქვეყანას მოუხდებოდა, მაგრამ არ მგონია, საქართველოს მოერგოს.

**— რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტმა „ნაციონალ“ კაკო ბობოხიძის ძმა შეიწყალა, რასაც ხელისუფლების წარმომადგენელთა გაღიზიანება მოჰყვა... ზოგმა ისიც თქვა, ეს რეაქცია მოწმობს, რომ „ნაცმოძრაობის“ წევრთა დაკავება, მართლაც, პოლიტიკურად მოტივირებულიაო...**

— რასაკვირველია, ასეა. დაჭერებზე აშშ-ის მაგალითს მოვიყვან: როგორც ცნობილია, აშშ-ში საკმოდ მძლავრი მაფია იყო, ყველამ იცოდა, რომ ლუჩიანო და კაპონე მკვლელები იყვნენ, მაგრამ სამხილების არარსებობის გამო, პოლიცია ვერ იჭერდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთში მართლმსაჯულების უზენაესობაა, უდანაშაულობის პრეზუმპცია არ ირღვევა და ნებისმიერ არაკანონიერ ქმედებას დამტკიცება სჭირდება. ლუჩიანოს 114 კაცი ჰყავდა მოკლული და ბოლოს, გადასახადების დამალვისთვის გაასამართლეს, კასტელომ კი, აშშ-ში პირველმა ქილერმა, ვიღაც „პროსტიტუტკას“ ხელი გაარტყა და მხოლოდ ამის გამო დააკავეს. ეს შეიძლება, ვიღაცას სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ისე მოქცევა, როგორც უგულავას შემთხვევაში მოხდა, არ შეიძლება. უგულავა არასდროს მომწონდა იმიტომ, რომ ის უფრო პოლიტიკოსი იყო, ვიდრე — მერი, მაგრამ კაცი 6 თვე წინასწარ პატიმრობაში ჰყავდათ და ბრალს ვერ უმტკიცებდნენ. ასეთი ფაქტები დასავლეთისთვის მიუღებელია და ბევრ ეჭვს ბადებს.

რაც შეეხება მარგველაშვილს, საკმაოდ ჭკვიანი ბიჭია და ასეთი ქმედებებით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ „ოცნების“ „კაცი“ არ არის და ვა ბანკზე მიდის. არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა, თუკი ხელისუფლებაში ისევ „ოცნება“ მოვა, მარგველაშვილს პოლიტიკური მომავალი აღარ ექნება — როგორც კი ვადა ამოეწურება, მხოლოდ მოხსნას არ აკმარებენ.

**— რას გულისხმობთ?**

— მარგინალად აქცევენ, მით უმეტეს, გიორგი არასოდეს ყოფილა გახსნილი და საჯარო პიროვნება. უბრალოდ, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, აქუბარდიას ეთერის გმირი გახდა, თუმცა აქაც კითხვის ნიშნებია.

**— რატომ?**

— 2012 წლის არჩევნებამდე, მიშას ინსტიტუტის, GIPA-ს რექტორი გახლდათ და ამავე დროს, სააკაშვილს მკვდარსა და ცოცხალს არ უტოვებდა. გიორგი ამერიკელების „კაცი“ იყო და მიშამ ხელი ამიტომაც ვერ ახლო, თორემ კარგად ვიცით, რაც დაემართებოდა. რამდენიმე წლის წინ, უშიშროების ერთმა წარმომადგენელმა დაწერა, რომ ერთხელ, ამერიკელებთან შეხვედრაზე, მარგველაშვილი თარჯიმნად დახვდა და ამით მიანიშნა, რომ ამერიკელებთან დაახლოებული ფიგურაა. მარგველაშვილმა ივანიშვილისგან რაღაც გარანტიები მიიღო. ახლა კი, აიწყვიტა და აიწყვიტა. ჩემი აზრით, პრეზიდენტთან სხვა „ანგარიშიც“ აქვთ, რომელიც ჩვენთვის უცნობია. მოკლედ, პრეზიდენტის მომავალი 2016 წლის არჩევნებზეა დამოკიდებული.

**— მარგველაშვილი ამბობს, რომ მხოლოდ „ოცნების“ კი არა, მთელი ქვეყნის პრეზიდენტია...**

— მარგველაშვილი საკუთარი თავის პრეზიდენტია. მიშას ძალაუფლება ჰქონდა და ამიტომ, ყველა ადმინისტრაციულ რესურსს თავის პარტიას ახმარდა. გიორგის კი, მგონი, მხოლოდ თავისი მრჩევლების მოხსნა-დანიშვნის უფლებაღა აქვს. პარლამენტში პრეზიდენტის მოხსენებაზე მინისტრებიც არ მიდიან და ამით ყველაფერი ნათქვამია.

**— კულუარებში პრეზიდენტის იმპიჩმენტით გადაყენების საკითხი მუსირებს. ამ საკონსტიტუციო ბერკეტის ამოქმედება მოსალოდნელია?**

— გამორიცხულია. სხვათა შორის, როცა მარგველაშვილთან კონფლიქტი პირველად მოხდა, უსუფაშვილს დაავალეს, რომ იმპიჩმენტი აემოქმედებინათ, მაგრამ როგორც გავიგე, პარლამენტის თავმჯდომარე მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვა, რომ ეს პროცედურა არ დაწყებულიყო. ან, იმპიჩმენტის პროცედურა რა მიზეზით უნდა დაწყებულიყო?

**— ბატონო სოსო, საუბარი 2016 წლის არჩევნების შედეგების პროგნოზით დავასრულოთ...**

— ყველაფერი საარჩევნო კანონზეა დამოკიდებული, თუ ეს კანონი ხელუხლებლად დარჩა, მაშინ ხელისუფლებაში შეიძლება, ისევ „ოცნება“ ვიხილოთ. ისე, გაუჭირდება და ხმების მოსაპოვებლად შეიძლება, ფქვილისა და ზეთის დარიგებაც მოუწიოს.

ესაუბრა დავით გალაშვილი




**„2012 წლის არჩევნებამდე, მიშას ინსტიტუტის, I -ს რექტორი გახლდათ და ამავე დროს, სააკაშვილს მკვდარსა და ცოცხალს არ უტოვებდა. გიორგი ამერიკელების „კაცი“ იყო და მიშამ ხელი ამიტომაც ვერ ახლო, თორემ კარგად ვიცით, რაც დაემართებოდა. რამდენიმე წლის წინ, უშიშროების ერთმა წარმომადგენელმა დაწერა, რომ ერთხელ, ამერიკელებთან შეხვედრაზე, მარგველაშვილი თარჯიმნად დახვდა და ამით მიანიშნა, რომ ამერიკელებთან დაახლოებული ფიგურაა. მარგველაშვილმა ივანიშვილისგან რაღაც გარანტიები მიიღო. ახლა კი, აიწყვიტა და აიწყვიტა. ჩემი აზრით, პრეზიდენტთან სხვა „ანგარიშიც“ აქვთ, რომელიც ჩვენთვის უცნობია. მოკლედ, პრეზიდენტის მომავალი 2016 წლის არჩევნებზეა დამოკიდებული“.**

**„ვეტოს, როგორც ჩვენთან, ასევე, დასავლურ ქვეყნებშიც იყენებენ, მაგრამ აშშ-ში ამ პროცესს ძალიან ერიდებიან. მაგალითად, ობამამ მიმართა კონგრესს, რომ ირანის ხელშეკრულების შეცვლა ან გაუქმება შეეძლოს, მაგრამ მისთვის მიუღებელ რეზოლუციას ვეტოს აუცილებლად დაადებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის უმრავლესობა „რესპუბლიკელია“, ყველა შეეცადა, პრეზიდენტის ვეტოს მორიდებოდა. ასე იმიტომ ხდება, რომ ვეტო, როგორც ფაქტი, ქვეყნისთვის კარგის მომტანი არაა. ჩვენთან კი, ვეტოთი ერთობიან და თამაშობენ. ჩვენი პარლამენტარებისთვის ვეტო არაფერს ნიშნავს, რაც დიდი შეცდომაა. ესე იგი, მათ პასუხისმგებლობა არ აქვთ. ვეტოს დაძლევას 15-წუთიანი პროცედურა სჭირდება, მაგრამ ყველაფერი ეს ევროპაში ავტორიტეტს გვილახავს“.**

პოლიტეკონომია

# „ეს ანომალიაა და საქმე კარგად არ მიდის!“

## დემურ გიორხელიძე: „მცირე და საშუალო ბიზნესი სულს ღაფავს, პრობლემები ახალ ბიზნესსაც ექმნება“

**საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ და მის თანამდევ კანონპროექტებს ვეტო დაადო: „გადავწყვიტე ამ კანონპროექტს დავადო ვეტო. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციით, ევროკავშირთან კონსულტაციის პროცესში, ჩვენ, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული, შევიმუშავეთ მოტივირებული შენიშვნები და შესაბამისი კანონპროექტი.**
**ჩვენი ვერსიის შედეგად, ძლიერდება ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და მისი საზედამხედველო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების მექანიზმიც“. პრეზიდენტმა, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ ვეტო პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფრონტაციის ინსტიტუტი არაა, მაგრამ მის ამ გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგენი მაშინვე გამოუჩნდნენ. ასე მაგალითად, პრემიერმა განაცხადა, ამ ვეტოსაც, სხვა ვეტოების მსგავსად, უპრობლემოდ დავძლევთო. მანანა კობახიძის თქმით კი, პრეზიდენტისა და „ნაცმოძრაობის“ პოზიციები საეჭვოდ დაემთხვა. პრეზიდენტის ვეტოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი თამაზ მეჭიაურიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტისგან ვეტოს დადების სასარგებლოდ ერთი მყარი არგუმენტიც ვერ მოისმინა. მეჭიაურიც, კობახიძის მსგავსად, მარგველაშვილს „ნაცმოძრაობის“ დაკვეთის შესრულებაში ადანაშაულებს. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების განცხადებით, სექტემბერში, საქართველოში სავალუტო ფონდის მისია ჩამოვა, რომელსაც მთავრობა კონკრეტულ გეგმას შესთავაზებს, თუ რა ცვლილებები შევა მოქმედ კანონში. პარლამენტი კი, ვეტოს დაძლევის საკითხს სექტემბერში, საშემოდგომო სესიაზე განიხილავს... „ქართული სიტყვა“ ეკონომიკის ექსპერტ დემურ გიორხელიძეს ესაუბრა:**



– საქართველოს პრეზიდენტი თავის გამოსვლაში არადამაჯერებელი იყო – ვეტოს გამართლების მიზნით, არაერთი უაზრო, უკბილო და თემიდან აცილებული არგუმენტი მოიტანა... სამწუხაროა, არ ეყო სოლიდურობა და მოვლენებში წვდომის უნარი და ასე არადამაჯერებლად, ყალბად და ხელოვნურადაც ამიტომ გამოიყურებოდა და საქართველოს პრეზიდენტს კი არა, დროში აცდენილი ერთი პოლიტიკური ძალის ერთ საშუალო პროპაგანდისტს ჰგავდა!..

**– ბატონო დემურ, კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლებამ საბანკო სექტორში განხეთქილებას მიაღწია, ანუ „საბანკო ასოციაცია“ გადაიბირა და ბანკებს დაუპირისპირა.**

– არ ვიცი, რა გადაბირებაზეა ლაპარაკი...

**– იმასაც ამბობენ, რომ „თი ბი სი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ საბანკო ასოციაციის დატოვებას აპირებენ.**

– ბანკი კერძო სუბიექტია, „საბანკო ასოციაცია“ ბანკების ნებაყოფლობითი, თავისუფალი გაერთიანებაა და ბანკების ინტერესებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იცავს, მაგრამ თუ ზემოხსენებული ბანკები ასოციაციის რიგებს დატოვებენ, ცუდად მოიქცევიან და მათი საქციელი არასწორი იქნება.

**– ეროვნული ვალუტა ისევ გაუფასურების გზას ადგას. ეროვნული ბანკი და მთავრობა კი, ერთმანეთზე გადაბრალების პოლიტიკით არიან დაკავებულნი...**

– ეროვნული ვალუტის გაუფასურება ბანკების და მთავრობის სუსტი პოლიტიკის შედეგია, რასაც ქვეყნის შიდა და გარე ფაქტორებიც დაერთო და მძიმე შედეგიც მოჰყვა. ლარის კურსის დაცემა იმის გამო გაღრმავდა, რომ თავის დროზე მოვლენას სათანადო შეფასება არ მიეცა და სირთულეების დასაძლევად არც რამე გაკეთებულა. ქვეყანა მუდმივად იმპორტზეა ჩამოკიდებული, ფული არ მოძრაობს, ამას ემატება ბანკების მხრიდან გარკვეული სპეკულაციური მოქმედებები. ამაში გასაოცარი არაფერია. სამთავრობო და სახელისუფლო ინსტიტუტები სპეკულანტებს კი არ უნდა ებრძოდნენ, არამედ, ვალუტის მეტნაკლებ სტაბილურობას უნდა მიაღწიონ.

**– რა გზით?**

– შიდა წარმოების ზრდითა და დასაქმებით, რაც მაღალ ეკონომიურ მაჩვენებელს მოგვცემს. რაც შეეხება კერძო სუბიექტებს, ისინი ყოველთვის ბანკისა და მთავრობის სისუსტეზე ითამაშებენ, რაც ამ ორი წლის განმავლობაში ხდება კიდეც.

ლარი თითქმის 35% გაუფასურდა და ფაქტორი, რაც დაასტაბილურებს, ჯერ არ ჩანს. ამისთვის მაღალი ეკონომიკური ზრდა და სავალუტო შემოდინებებია საჭირო, რომლის მთავარი წყაროც ექსპორტია. საქართველოში ექსპორტის მოცულობა კი, ძალიან სუსტია. ჩვენ სხვა წყაროებზე ვართ დამოკიდებულნი – ტურისტებსა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხებზე, რაც საკმაოდ არასტაბილური მდგენელია. რუსეთში, უკრაინაში, საბერძნეთში და, საერთოდ, ევროპაში ცუდმა ეკონომიკურმა სიტუაციამ კერძოდ, გართულებულმა ეკონომიურმა სიტუაციამ ჩვენს მოქალაქეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ცხადია, გადმორიცხვებმა მოიკლო და ფულის ნაკლებობამ საქართველოში სავალუტო კრიზისი გამოიწვია.

**– ქვეყანა ამ თემებზე რამდენ ხანს შეიძლება იყოს ჩამოკიდებული?**

– ჩვენი ქვეყანა ამ თემებზე ოცდახუთი წელია, ჩამოკიდებულია და თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ამდენი წელი ტურისტებსა და ემიგრანტებზე ვიქნებით დამოკიდებულნი, თუმცა მიმაჩნია, რომ მთლად უიმედო მდგომარეობა არაა.

**– რა რეზერვი გვაქვს?**

– თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საქმეში საბანკო სექტორი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ბანკები მოსახლეობის დანაზოგის აკუმულაციას და ეკონომიკაში ტრანსფორმირებას ახდენენ – ასეთია ტრადიციული საბანკო საქმიანობა, რომელსაც კანონმდებლობა არეგულირებს, ანუ ანხორციელებს საბანკო ზედამხედველობას და, კონკურენტუნარიანობის პირობებში, თამაშის წესებს ადგენს. საქართველოში კი, სწორედ ამ ტრადიციული საბანკო საქმიანობის პრობლემაა. 90-იან წლებში, როცა საბანკო სექტორის ფორმირება დაიწყო, აქცენტები უნივერსალურ საბანკო სისტემაზე გაკეთდა, რაც არასწორი იყო.

**– რა მივიღეთ?**

– ხელისუფლების ხელშეწყობით, მახინჯი კანონმდებლობა იქნა მიღებული და მივიღეთ მონსტრი წამონაქმნები, რომლებიც კლასიკური საბანკო საქმიანობის გარდა, ყველაფერს აკეთებენ: დღეს ბანკები სხვადასხვა ბიზნესის მფლობელები არიან – სადაზღვევო კომპანიები, საავადმყოფოები, რესტორნები, სამშენებლო ბიზნესი, სასწავლებლები, ანუ ბანკი, პრაქტიკულად, ტრანსფორმატორის ფუნქციას არ ასრულებს და მოსახლეობასა და კერძო სექტორიდან ფულს ეკონომიკაში „ქაჩავს“.

**– ანუ, ბანკი მწარმოებელიც გამოდის?**

– დიახ და ამით კონკურენტიან გარემოს არღვევს – თავისი ფირმებისთვის სხვა განაკვეთი აქვს. მოკლედ, ყველაფერმა ამან ფულის ნაკლებობა გააჩინა, თან ბოლო ათი წელია, ეროვნული ბანკისა და ხელისუფლების პოლიტიკა იქითაა მიმართული, რომ ფული მიმოქცევიდან ხელოვნურად იქნას ამოღებული. საკმარისი, გნებავთ, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფული მსოფლიოს ერთ ქვეყანაშიც არაა, მათ შორის, არც – კონკურენციის საფუძველზე. საქართველოში ფული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე – მისი უბადრუკი და სუსტი ეკონომიკა საჭიროებს. ის, რაც საბანკო სექტორში ხდება, ბანკების კი არა, ხელისუფლების ბრალია, რომელიც წლების განმავლობაში არასწორ პოლიტიკას ატარებს.

არ მგონია, რომ ეს მდგომარეობა ხელისუფლებას აწყობდეს, მაგრამ „წყობა-არწყობაზე“ კი არა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, ხელისუფლებას რა მიზანი აქვს. თუ მისი მთავარი პრიორიტეტი სწრაფი ეკონომიკური ზრდა და დასაქმებაა, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს, მაშინ რეგულაციის საუკეთესო საშუალებებს მოძებნიდა და კომერციული ბანკების კერძო ინიციატივებსაც განავითარებდა. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი სულს ღაფავს, პრობლემები ექმნება ახალ ბიზნესსაც. ამის გამო სამუშაო ადგილები არ იქმნება. საერთოდ, მსოფლიო სტატისტიკით, ყოველი ათი სამუშაო ადგილიდან რვა მცირე და საშუალო ბიზნესში ფიქსირდება. ის, რაც საქართველოში ხდება, ასეთი ფაქტების მიმართ უყურადღებობამ გამოიწვია. ამასთან, საბანკო ბიზნესი ხელისუფლებასთან ასოცირდება და საბაზრო ეკონომიკაზე საუბარიც ხელოვნურია.

**– რას აკეთებს ამ დროს საბანკო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც, წესით, საბანკო საქმიანობას უნდა არეგულირებდეს?**

– ეს სამსახური ეროვნულ ბანკში არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, თავის ფუნქციას სათანადოდ არ ასრულებს რეგულირებას ისე ვერ ახდენს, როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია. ამიტომაცაა ატეხილი ეს „იწილო-ბიწილო“ ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკიდან გამოყოფის თაობაზე. დავა უსაგნოა. თუ პოლიტიკური ნება არსებობს, საბანკო ზედამხედველობა შესანიშნავად მუშაობს, როგორც ეროვნული ბანკის შემადგენლობაში, ისე მის გარეთაც, მაგრამ ახლა „ნაცმოძრაობის“ მომხრეები გიორგი ქადაგიძეს იცავენ, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას არაფერი ემუქრება, თუნდაც საბანკო ზედამხედველობის გარეთ გამოტანითო. ახლანდელი ხელისუფლების მომხრეებს კი, რაკი ქადაგიძეს ვერ ვნებენ, ზედამხედველობის გარეთ გამოტანა უნდათ. არადა, ის განუკითხაობა, რაც კერძო საბანკო სექტორში ხდება, ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკის შედეგია.

**– განუკითხაობას რას ეძახით?**

– განუკითხაობაში იმას ვგულისხმობ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2-3%-ით, კომერციული ბანკების მოგება კი, ერთი წლის განმავლობაში, 150%-ით იზრდება. მიმაჩნია, რომ ეს ანომალიაა და საქმე კარგად არ მიდის.

**– ქადაგიძის პერსონის ეროვნული ბანკიდან გამოსვლით, სტრუქტურის დეპოლიტიზირება მოხდება?**

– ეს მაშინ მოხდება, როცა ამის პოლიტიკური ნება იარსებებს.

**– საბანკო თემა ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ მძლავრი იარაღია, არა, ბატონო დემურ?**

– მოდით, ასე ნუ ვიტყვით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე გარკვეული პოლიტიზირებულ ჯგუფის წარმომადგენელია და იმას აკეთებს, რასაც ამ პოლიტიკური ძალის ლიდერები დაავალებენ. ის, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სუბიექტია, ასეთი ტიპის მმართველს არ აწუხებს.

**– ესეც ანომალიაა?**

– თავისთავად ანომალიაა, სხვა შემთხვევაში, ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. ხელისუფლება ვერ ალაგებს ინსტიტუტებს შორის ურთიერთობებს და ამით ხაზს თავის სისუსტეს უსვამს.

**– ანომალიური, როგორც თქვენ უწოდებთ, საბანკო სისტემა შესაძლოა, სოციალური აფეთქების ერთ-ერთი მიზეზი გახდეს?**
**– მაღალი საბანკო საპროცენტო განაკვეთები მოსახლეობის სამართლიან პროტესტს იწვევს.**

– არასწორი რეგულაცია, ბანკების არასწორი განვითარება, ბანკების მიმართ ხელისუფლების ინტერესი და მფარველობა იმ სიმახინჯეს ქმნის, რაც საქართველოში მივიღეთ. საპროცენტო განაკვეთები, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ცხადია, უსაშველოდ მაღალია, ამის ახსნა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კლასიკური მექანიზმებითა და მოსაზრებებით შეუძლებელია. საპროცენტო განაკვეთების სიდიდეს სწორედ მახინჯი სისტემა განსაზღვრავს და არა – საბაზრო მექანიზმი.

**– ბანკები ლარის კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით ხალხს შეღავათებს ჰპირდებოდნენ...**

– კერძო სექტორს შეღავათებს ვერავინ მოსთხოვს.

**– 2015 წელი ფასების ზრდის წლად დასახელდა.**

– არ მგონია, ამ მხრივ წელს რაიმე განსაკუთრებული ხდებოდეს. საქართველოში ფასები ყოველთვის მაღალი იყო... საერთოდ, მსგავს არასტაბილურ სიტუაციაში ფასები მაღალია.

**– ქართულ საბანკო სისტემას 90-იან წლებში დაბრუნება ხომ არ ემუქრება?**

– არა, მაგრამ თუ ბანკებს კონკურენტული გარემო ექნებათ და მათზე წესიერი, ანუ ისეთი ზედამხედველობა განხორციელდება, როგორიც დასავლეთის ქვეყნებშია, მაშინ პრივილეგირებულ ბანკებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. მთავრობა წელს ეკონომიკის ზრდის ხუთ პროცენტს გვპირდებოდა, მაგრამ ეს ციფრი ორს ვერ ასცდება, რაც საქართველოსნაირი ეკონომიკისთვის ძალიან ცოტაა. ოცდახუთი წელია, ასე ვცხოვრობთ და სწორედ ამან განაპირობა უდიდესი სიღარიბე და დაუსაქმებლობა...

**– რა ამის პასუხია, ბატონო დემურ და, ჩვენი მდგომარეობა რალაცნაირად საბერძნეთისას ხომ არ ჰგავს?**

– საბერძნეთში 30 წლის განმავლობაში ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემის ლპობა მიმდინარეობდა, რეფორმები გვერდზე იქნა გადადებული, რეალური ეკონომიკური პროცესები დამახინჯდა, პოლიტიკოსების მიერ ევროკავშირიდან აღებულმა სესხებმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. დემოკრატიული ქვეყნებისთვის პოლიტიკური კონკურენცია მნიშვნელოვანია, ამიტომ არ შეიძლება „შუა გაკრეფა“ და წინ ორი ხელოვნური პოლიტიკური ჯგუფის წამოწევა, რომელთაგან ხელისუფლებაში ხან ერთი მოვა, ხან – მეორე, სხვებისთვის კი, სისტემა ჩაკეტილი იქნება. ის, რაც საბერძნეთში მოხდა, პოლიტიკოსების დამსახურებაა.

**– ეს საფრთხე ჩვენც ხომ არ გვემუქრება?**

– თუ ხელისუფლებაში, მონაცვლეობით, ორი პოლიტიკური ძალა იქნება, ჩვენც საბერძნეთის გზით წავალთ.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

№ 31 (295)
5 – 11 აგვისტო 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

დავა

# 10 წლის გიორგი კახურაშვილს აზერბაიჯანული კომპანია სახლს ართმევს?!

## არასრულწლოვანმა უცხოეთს შეიძლება, თავშესაფარი სთხოვოს — ინტერვიუ, რომელიც ბანკებში ყველა „გაშავებულმა“ უნდა წაიკითხოს!

**5 წელია, არასრულწლოვან გიორგი კახურაშვილისთვის ერთადერთი საცხოვრებელი სახლის წართმევას ცდილობენ. ამ ხნის განმავლობაში, საქმეს წარმოებაში სხვადასხვა მოსამართლე იღებს და გიორგის სასარგებლოდ მინისტრებისგან, მინისტრის მოადგილეებისგან თუ ბავშვთა უფლებების დამცველებისგან, მათ შორის, შვედეთის ბავშვთა ომბუდსმენისგან უამრავი რეკომენდაცია გაიცა, მაგრამ იმ მატერიალურ, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ გაჭირვებას, რომელშიც წლებია, კახურაშვილების ოჯახი ცხოვრობს, ბოლო ისევ არ უჩანს... ერთი წლის წინ, ოჯახი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სადამფუძნებლო საბჭოს წევრს, ადვოკატ მარიკა არევაძეს დაუკავშირდა და მას შემდეგ სამართლიანობის აღდგენას ერთად ცდილობენ, მაგრამ... დიდი მაგიდის ირგვლივ ვსხედვართ — მე, ადვოკატი მარიკა არევაძე, გიორგი და გიორგის მშობლები. საუბარს ადვოკატი მარიკა არევაძე იწყებს:**



— დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და იპოთეკის ხელშეკრულებები, რომელიც არასრულწლოვანის მშობლებსა და მიკროსაფინასო ორგანიზაციას შორისაა გაფორმებული და რომლითაც არასრულწლოვანის სახელზე არსებული ქონება იპოტეკით არის დატვირთული, ბათილად სცნო, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ საპროცესო უფლებამოსილება გამოიყენა და გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით, მეორე ინსტანციის სამსართლოში გაასაჩივრა. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო უფლებამოსილება გაქვს, არსებობს კიდევ ერთი გარემოება — საქმის განსაკუთრებულობა, ანუ მორალური მხარე და არასრულწლოვანის სტატუსი. ამიტომ ეს საპროცესო უფლებამოსილება, შეიძლება, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, არ გამოიყენო, თუმცა ჩვენდა გასაკვირად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან კაპიტალი“ ასე არ მოიქცა, თან საჩივარი ბოლო დღეს შეიტანა. ამჟამად საქმე წარმოებაში არაა მიღებული და ისევ სასამართლოს განხილვას ველოდებით. სააპელაციო საჩივრის შემტან მხარეს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის აღმოფხვრის შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, მოსამართლე საქმეს წარმოებაში მიიღებს და სხდომასაც ჩაინიშნავს.

**— ეს ამჟამინდელი სიტუაციაა. ყველაფერი როგორ დაიწყო და რა ხელშეკრულება დაიდო გიორგის მშობლებსა და „ჯორჯიან კაპიტალს“ შორის?**

— 2009 წელს, გიორგის მშობლებსა და „ჯორჯიან კაპიტალს“ შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც ოჯახმა სესხი სამეურნეო მიზნებისათვის გამოიტანა...

**ნანა, გიორგის დედა:** — კრედიტი ნულიდან გამოვიტანეთ, რადგან არ ვაწარმოებდით ბიზნესს. ზოგმა სესხზე უარი გვითხრა, უძრავი ქონება კი არა, წლიური ბრუნვა გვაინტერესებსო. მერე, ეს აზერბაიჯანული მიკროსაფინანსო „ჯორჯიან კაპიტალი“ ვიპოვეთ. ვუთხარით, ქონება ბავშვის სახელზე გვაქვსო, დოკუმენტი მივუტანეთ და გაეცნენ. გვითხრეს, რომ მშობლებს ჰქონდათ უფლება, ეს გადაწყვეტილება მიეღოთ და მზად იყვნენ, სესხი მოეცათ. ნოტარიუსი ნარგიზი მინდიაშვილი იყო, რომელიც დღეს ნოტარიუსთა ბაზიდან ამორიცხულია. ბანკ „ქართუს“ სკანდალური საქმეც ამ ქალის გაკეთებულია... ერთი სიტყვით, ორი კრედიტი მოგვცეს — 2009 და 2010 წლებში. ხელზე 6 750 დოლარი ავიღეთ, რადგან 7 000-დან დანარჩენი თანხა საკომისიომ წაიღო. მართალია, 8 400 დოლარამდე გადავიხადეთ, მაგრამ ხელშეკრულება დაირღვა, რადგან ბიზნესმა არ გაამართლა და თანხა დაგვიანებით შეგვქონდა, თან 60%-იანი სესხი მოგვცეს. ვადაგადაცილების გამო ჯარიმები და პირგასამტეხლო იყო დარჩენილი... იმ წელს საქართველოში ბევრ ფერმერს უამრავი ღორი დაეღუპა...

**— სესხს რამდენი ხნის განმავლობაში იხდიდით?**

— გადახდისუნარიანები 2011 წლის მაისამდე ვიყავით.

**— როცა სესხს ბიზნესისთვის გამოიტან და ბიზნესი არ გაამართლებს, არც სხვა შემოსავალი გაქვს და, შესაბამისად, ფულს ვერ იხდი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ან ბანკმა ეს არ უნდა გაითვალისწინოს?**

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — შეიძლება, გაითვალისწინონ, შეიძლება — არა. ვალის რესტრუქტურიზაცია, ან გადავადება შეუძლიათ. შეთანხმებულიყვნენ, რომ ჯარიმები არ დარიცხულიყო და შემოსავლების მიხედვით, თანხის ეტაპობრივად გადახდის საშუალება მოეცათ. ეს ორმხრივი შეთანხმების საგანია.

**— მათ შორის ასეთი თუნდაც სიტყვიერი შეთანხმება არ დადებულა?**

— არა და რადგან უძრავი ქონება ჰქონდათ ჩატვირთული, პირდაპირ აღსრულების წესით წავიდნენ, თუმცა პრობლემაც სწორედ აქ გაჩნდა: ჩატვირთული ქონება არასრულწლოვანის სახელზეა. მაშინ გიორგი 5 წლის იყო და ჩვენი კანონმდებლობით, ქმედუუნაროდ ითვლებოდა. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ამბობს, რომ მართალია, მშობელი უფლებამოსილია, საკუთარი შვილის ქონება მართოს, მაგრამ უფლებამოსილი მხოლოდ მართვისა და გამოყენების ნაწილშია და არა — განკარგვის. განკარგვა კი, თავისთავად, როგორც გაყიდვასა და გაჩუქებას, ასევე, ქონების უფლებრივ, მათ შორის, იპოთეკით დატვირთვას გულისხმობს. ჩვენც დავა სწორედ ამ კუთხით დავიწყეთ, რადგან ოჯახმა გვიან აღმოაჩინა, რომ შეიძლება, ამის უფლება არ ჰქონოდა.

**ნანა, გიორგის დედა:** — იცით, საიდან მივხვდით? — 2009 წელს, ჩემი მეუღლე გარემოს დაცვის სამინისტროში მუშაობდა — სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ხელმძღვანელი იყო და ავტოსაგზაო შემთხვევა მოუხდა. ერთი შეხედვით, ისე გამოდიოდა, რომ ჩემი მეუღლის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ექსპერტიზა ჩვენი ხარჯებით ჩავატარებინეთ და ჩემი მეუღლე გამართლდა. ამიტომ მშვიდად ვიყავით, თუმცა ჩემს მეუღლეს ზიანის ანაზღაურება მაინც დააკისრეს. ამას ისიც დაერთო, რომ ბიზნესმა არ გაამართლა და ოჯახში დაძაბული ფონი შეიქმნა, რაც გიორგიზე ძალიან უარყოფითად აისახა. ამასობაში, ჩვენს წინააღმდეგ სარჩელი მიკროსაფინანსომაც შეიტანა. მაშინდელმა ადვოკატმა გვითხრა, მიკროსაფინანსოს მოურიგდით, თორემ თანხას ერთიანად მოგთხოვთო. ძალიან გამოუცდელები ვიყავით და ადვოკატს ვენდეთ, მაინც, ყოფილი მოსამართლე იყო.

**— მაშინ თქვენი ადვოკატი ვინ იყო?**

— კუკური კოჟორიძე, კახა კოჟორიძის მამა... ამ კაცმა გვითხრა, მორიგდითო. მორიგების აქტში კი, წერია, რომ თუ მამა, იმედა კახურაშვილი სესხს არ გადაიხდის, მაშინ მოვალედ მცირეწლოვან ბავშვს აღიარებენ და მისი ქონებით გადაიხდიან.

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ეს დავა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ იმიტომაა პრეცედენტული, რომ სასამართლომ იპოთეკის ხელშეკრულებები ბათილად ცნო, რადგან მიიჩნია, მშობლებს არ აქვთ უფლება, არასრულწლოვანის ქონება იპოთეკით დატვირთონ, მით უმეტეს, თუ ეს ფული უშუალოდ ბავშვის ინტერესებს — განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. არ ხმარდება.

ჩვენ, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ საქმეზე 2 მიმართულებით ვმუშაობთ: სასამართლო ეტაპების წარმატებით გავლა, რომლითაც საბოლოოდ, არასრულწლოვანს ქონება დაუბრუნდება და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა. მშობლების შემთხვევაშიც კი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი წერილობითი თანხმობა სავალდებულო უნდა იყოს.

**— 60%-იანი სესხი რატომ მოგცეს, უფრო დაბალი პროცენტით არ გასცემდნენ?**

**ნანა, გიორგის დედა:** — მეორე სესხი 48%-ში მოგვცეს. ბოლოს, აღსრულება ჩიხში შევიდა — გამოსახლების ფურცელი გიორგის სახელზე იყო და როცა ფურცელი მოდიოდა, ფოსტა ვერ აბარებდა, რადგან არასრულწლოვანია — ხელს მოკიდებენ და გარეთ გაიყვანენ? ეს ბავშვზე ძალადობაა, რაც დაუშვებელია. 2011 წლის 21 აპრილს, როცა მორიგების ხელშეკრულება გავაფორმეთ...

**— უკაცრავად, მორიგების აქტი რას გულისხმობდა?**

— რას და, — იმედა კახურაშვილს ყოველი თვე 450 დოლარის გადახდა დაეკისრა, თუმცა... ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, ჩემს მეუღლეს ყველაფერი, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებაც გარემოს დაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაუყადაღეს — ავარიაში სამინისტროს მანქანით მოჰყვა. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახლისა და სამსახურის მანქანის საქმეც ერთ აღმასრულებელს ეწერა, რომელიც ამბობდა, სახლიც უნდა დავაყადაღოო. მოვიდნენ, მოძრავი ქონება აღწერეს... უსახლკაროდ რომ ვრჩებოდით, ძალიან კომპეტენტურ ნოტარიუსთან მივედით და ვთხოვეთ, თუ შეიძლებოდა, ასეთი რამ გაგვეკეთებინა: გაგვეყიდა ქონება, გვეყიდა სხვა და სესხი გადაგვეხადა. ამის მოსმენის შემდეგ, ნოტარიუსმა გვითხრა, გადით ჩემი კაბინეტიდან, მოგაგზავნეს. ეს ბავშვის ქონებაა — ბაბუამ თქვენს მეუღლეს კი არა, მას აჩუქა და როცა 18 წლის გახდება, თავად გადაწყვეტს, როგორ მოიქცესო.

ერთი სიტყვით, გამოსახლება 3-ჯერ ჩაინიშნა და სამივეჯერ ეკა ბესელიას კომიტეტმა სერიოზული რეკომენდაცია გასცა, ასევე, სახალხო დამცველმაც. გამოსახლებამდე დღეები იყო დარჩენილი, როცა პრემიერის სახელზე გაგზავნილი წერილები პრემიერმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაუგზავნა. ეს 30 თუ 31 ივნისს მოხდა. პირველ ივლისს კი, კრედიტორმა მოთხოვნა უკან გაიტანა. ბავშვიც მიხვდებოდა, რომ რაღაც მოხდა, თან კრედიტორმა საქმე კი არ შეწყვიტა, არამედ, შეაჩერა — როცა მოუნდებოდა, მოთხოვნას ისევ შეიტანდა, რომ ჩვენთვის ზიანი მოეყენებინა.

ვიდრე მინისტრები და მინისტრის მოადგილეები, ანუ მაღალი თანამდებობის პირები არ ჩაერივნენ, ვერაფერს გავხდით. გაზიფიცირება არ გვქონდა და მათი გვერდში დგომის შემდეგ, გამონაკლისი დაუშვეს, რომ თამარ დვალიშვილის სახლში აბონენტი იმედა კახურაშვილი ყოფილიყო. ხაშურში, „სოკარის“ ხელმძღვანელი გვეუბნ-

გაგრძელება მე- 11 გვ.

**„აღსრულების პოლიციიდან სახლშიც მოვიდნენ, გიორგის ელაპარაკნენ, ხელი მხარზე დაადეს, ძია, არ შეგეშინდეს, კი არ გეტკინება, ისე გაგიყვანთ გარეთო... გიორგი ბოძს შემოეხვია... ვუთხარი, აქედან წადით-მეთქი... უმძიმესი სიტუაცია იყო... მოსამართლე ზაზა მარტიაშვილს საქმე თავის დროზე რომ მიეღო, პოლიციელებიც აღარ მოვიდოდნენ... უბნის ინსპექტორმა ამ პოლიციელებს ხელწერილი დააწერინა, რომ გიორგი კახურაშვილის მიმართ აღნიშნულ ქმედებას აღარ გაიმეორებდნენ. იმის მერე აღარ მოსულან. თუ ნახვა უნდათ, სახლის გარეთ გვხვდებიან, ბავშვმა არ დაგვინახოსო. მე რომ მაგრად არ დავმდგარიყავი, იმ დღეს გაგვასახლებდნენ“.**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

5 – 11 აგვისტო 2015 № 31 (295)



## დავა

მე-10 გვერდიდან

ებოდა, სახლში, პრაქტიკულად, ბომბი შემაქვს და ღმერთმა ნუ ქნას, რამე მოხდეს და სახლი დაინგრეს, თამარ დვალიშვილს რა პასუხი გავცეო, მაგრამ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და ენერგეტიკის სამინისტრომ გამონაკლისი დაუშვეს. ხვდებით, ბავშვის უფლება რა დონეზე დაიცვეს, რომ ზამთარში არ გაყინულიყო?! ეტყობა, იქაც ჩახედეს საქმეს და მიხვდნენ, რომ ეს სახლი, ადრე თუ გვიან, ისევ ბავშვს დაუბრუნდება. გვერდში დგომა საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც ვიგრძენით — ევროსაბჭოს მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს სახალხო დამცველისა და პრემიერის აპარატში დაურეკავთ და უკითხავთ, ასეთი რამ ხდება და რეალობაო? — არ დაიჯერეს, როგორ შეიძლებოდა, რომ მოვალე ბავშვი ყოფილიყო...

**— გიორგი ახლა ვისთან ცხოვრობს?**

— ჩვენთან, ანუ ჯერჯერობით ვერ გამოგვასახლეს.

**— სახლი, რომელზეც დავა მიმდინარეობს, ხაშურშია?**

— დიახ... ერთი სიტყვით, ამ საქმეს დიდი რეზონანსი აქვს, მაგრამ მაინც ვერ მოგვარდა.

**— ესე იგი, სასამართლოს გარდა, ყველა გეხმარებათ. გამოდის, სასამართლო ყველაზე ნაკლებად ღელავს, რომ გიორგი არასრულწლოვანია... თქვენი აზრით, სასამართლო საქმეს რატომ წელავს?**

**იმედა კახურაშვილი, გიორგის მამა:** — არ ვიცი... მკითხეს, ვინმეს შენი ჯიბრი ხომ არ აქვსო...

**— ეს ეჭვი მეც გამიჩნდა: ვინმესთან პირადი დაპირისპირება ხომ არ გაქვთ?**

— არა, რას ამბობთ, არანაირი...

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — საქმის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, ჩვენმა ორგანიზაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საქმის კურსში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჩაეყენებინა, ვინაიდან თუ სასამართლოს პირველ ინსტანციაზე ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ, საქმე, საბოლოოდ, ქვეყნის ფარგლებს გასცდებოდა. ჩვენი დიდი სურვილია, რომ საქართველომ თავის არასრულწლოვან ბავშვს თავად მიხედოს და ნორმალური პირობები შეუქმნას.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ოჯახს უარი 7-ჯერ ეთქვა. ბოლოს, საქმე წარმოებაში მიიღეს, მაგრამ პირველი მოსამზადებელი სხდომა რომ ჩაინიშნა, სხდომა, მართლაც, 2 წუთში დამთავრდა და მოსამართლემ მთავარი სხდომა 2 თვით გადადო.

**ნანა, გიორგის დედა:** — მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო უკვე საქმის კურსში იყო და მეორე სხდომას, ბავშვიც დაესწრო და ფსიქოლოგიც, რომლის რეკომენდაციითაც, პროცესი, მგონი, 4-ჯერ შეჩერდა — 5-10 წუთიანი შესვენებები გამოცხადდა... მეორე პროცესზე თავი ნორვეგიაში მეგონა. მოსამართლე იმ დონეზე იყო მობილიზებული, რომ ბავშვის თითოეულ მიმოხვრაზე რეაქცია ჰქონდა, ხომ არ დაიღალაო. თუ ბავშვის დაღლა ასე არ უნდოდა, საქმე წარმოებაში 2 წლის წინ მიეღო...

**— ორი წლის წინაც იგივე მოსამართლე იყო?**

— დაიხ, მაშინაც ზაზა მარტიაშვილი იყო. ჩვენი ყოფა, რახანია, წამებას უტოლდება — კანონის ფარგლებში გვაწამებენ. სხვა მოსამართლემ, ქეთევან მესხიშვილმა, იმ ვადას, რომელშიც უნდა ეთქვა, იღებდა თუ არა საქმეს, 3 დღე გადააჭარბა. ვადის ამოწურვიდან 3 დღის შემდეგ კი თქვა, ხარვეზები იყოო...

**— გადაჭარბება მოსამართლის მიერ კანონის დარღვევაა?**

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — დიახ. თუმცა დღეს ვადები სასამართლოს ზოგად და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.



**ნანა, გიორგის დედა:** — სწორედ ამიტომ მივიღეთ ქვეყნიდან წასვლის გადაწყვეტილება. სხვა აღარაფერი დაგვრჩენია — აღსრულება კიდევ რომ მედავოს და მყიდველმა მოთხოვნა გამოსახლებაზე შეიტანოს, ვეღარ გავუძლებთ... იქნებ, მოვასწრო და ბავშვი სხვა ქვეყანაში გავიყვანო, თუმცა აღსრულებაში ჟურნალისტებისთვის უთქვამთ, რასაც სასამართლო იტყვის, იმას გავაკეთებთ და ამ ეტაპზე არ გავასახლებთო.

მიმდინარე წლის 30 ივლისს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს უკვე ოჯახმა მივწერეთ. ამ საქმეში ნეიროფსიქოლოგიური დასკვნა დევს და მოსამართლეებს უფლება არ აქვთ, ეს არ გაითვალისწინონ! ასევე, არ აქვთ უფლება, არ გაითვალისწინონ ბავშვთა დაცვის კონვენცია!

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — საბოლოოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო მოწოდების სიმაღლეზე დადგა და სარჩელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ნაწილში დააკმაყოფილა. კერძოდ, იპოთეკის ორივე ხელშეკრულება ბათილად სცნო. ახლა, ჩვენთვის მთავარია, რომ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში დროულად შევიდეს და გასაჩივრების ყველა ეტაპი გაიაროს. ვიმედოვნებთ, რომ სასამართლო მეორე დონეზეც თავის სიმაღლეზე დადგება და ბავშვის უფლებებს დაიცავს, ანუ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას კანონიერ ძალაში დატოვებს.

**— ამჟამად სახლი ვის სახელზეა?**

**ნანა, გიორგის დედა:** — ქონება ვინმე თამარ დვალიშვილზეა გაყიდული, რომელმაც სახლი ელექტრონული აუქციონით შეიძინა, ანუ ბავშვს სახლი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დვალიშვილმა მოთხოვნა 3-ჯერ შეიტანა, გამოსახლება მაინც ვერ მოახერხა. ადრე გვირეკავდა, მაგრამ ბოლო დროს აღარც შეგვხმიანებია. ისიც შემოგვთავაზა, 6 თვის ქირას გადაგიხდით და მშვიდობით გადადითო... ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურ წნეხს ყოველ წუთს ზრდის... მართალია, გამოსახლება შეჩერებულია, მაგრამ კრედიტორმა გამოსახლების მოთხოვნა შეიძლება, ნებისმიერ დროს თავიდან შეიტანოს და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყოს...

**იმედა კახურაშვილი, გიორგის მამა:** — საბოლოოდ, სახლი, რომელიც 54 000 ლარად შეფასდა, აუქციონზე 11 300 ლარად გაიყიდა, ანუ ზუსტად იმდენად, რასაც ითხოვდნენ...

**ნანა, გიორგის დედა:** — ნეიროფსიქოლოგიური დასკვნები ძალიან მნიშვნელოვანია... აღსრულების პოლიციიდან სახლშიც მოვიდნენ, გიორგის ელაპარაკნენ, ხელი მხარზე დაადეს, ძია, არ შეგეშინდეს, კი არ გეტკინება, ისე გაგიყვანთ გარეთო...

გიორგი ბოძს შემოეხვია... ვუთხარი, აქედან წადით-მეთქი... უმძიმესი სიტუაცია იყო... მოსამართლე ზაზა მარტიაშვილს საქმე თავის დროზე რომ მიეღო, პოლიციელებიც აღარ მოვიდოდნენ... უბნის ინსპექტორმა ამ პოლიციელებს ხელწერილი დააწერინა, რომ გიორგი კახურაშვილის მიმართ აღნიშნულ ქმედებას აღარ გაიმეორებდნენ. იმის მერე აღარ მოსულან. თუ ნახვა უნდათ, სახლის გარეთ გვხვდებიან, ბავშვმა არ დაგვინახოსო. მე რომ მაგრად არ დავმდგარიყავი, იმ დღეს გაგვასახლებდნენ.

**— პროცესი კიდევ რომ გაიწელოს, რას აპირებთ?**

**მარიკა არევაძე, ადვოკატი:** — მაქსიმალურად შევეცდებით, რომ სასამართლოს არაერთხელ მივმართოთ, არ დაარღვიოს საპროცესო ვადები, ბავშვის ინტერესები მაქსიმალურად გაითვალისწინოს და გადაწყვეტილებები დროის მოკლე მონაკვეთში გამოიტანოს, რადგან პირადად ჩემთვის და, ალბათ, მთლიანად საქართველოსთვის, მნიშვნელოვანი ბავშვის უფლებების დაცვაა.

**ნანა, გიორგის დედა:** — წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ თავშესაფარი ბავშვმა სხვა ქვეყანაში მოითხოვოს.. დამიჯერებთ? — კვირაში ერთი დღე გვაქვს საჭმელი... ყოველ თვე, გადაუხდელობის გამო, ან გაზს გვითიშავენ, ან დენს... მეტი განადგურება რაღაა? იციან, რომ სასამართლოში სიარულს ხარჯები უნდა... კი ბატონო, მარიკა უანგაროდ გვეხმარება, მაგრამ... 5 წელია, ვიბრძვით და „ჯორჯიან კაპიტალს“, ანუ ისეთ ორგანიზაციას ვეომებით, რომელსაც ფინანსური შესაძლებლობები ნამდვილად არ აკლია.

**— ისე, ქალბატონო მარიკა, რაკი ამ საკითხისგან შორს არაა, ბარემ, ხანდაზმულ სესხებზეც გკითხავთ...**

— ეს ხელშეკრულება ხანდაზულობის ვადაში არ ჯდება, მაგრამ თუ ზოგადად მეკითხებით, სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ხანდაზმულობის ვადა 3 წელია. ხანდაზმულობა იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს ეკარგება უფლება, მოვალისგან ვალდებულების შესრულება მოითხოვოს, ანუ სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს, როცა ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა ამოიწურა და მევალემ შემდგომი 3 წლის განმავლობაში ვალი არ გადაიხადა, კრედიტორს მოთხოვნის უფლება ეკარგება. სასამართლოსაც რომ მიმართოს, მოვალე მხარეს შეუძლია, თქვას, სესხი ხანდაზმულია და შესრულებაზე უარს ვაცხადებო. ოღონდ, ეს ვადა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ვრცელდება, ანუ როცა საქმეში არაა უძრავი ქონება. უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობის სხვა ვადებია.

**— ასეთ შემთხვევებში, ბანკის მხრიდან თუ არსებობს ზეწოლის მექანიზმი, რომ მევალეს თანხა გადაახდევინოს?**

— საქართველოში ასეთი პრაქტიკაა: როცა საქმე პრობლემურ სესხს ეხება, მას პრობლემური აქტივების სხვადასხვა კომპანიას გადასცემენ და თანხასაც ეს კომპანიები იღებენ.

**— ანუ, ხალხს ამ კომპანიის წარმომადგენლები ურეკავენ და დაჭერით, ან ქონების გაყიდვით ემუქრებიან, არა?**

— ხანდახან არასწორ ინფორმაციას აწვდიან და ეუბნებიან, ფინანსური პოლიციიდან გირეკავთ, მოვალთ, სახლს აღვწერთ და საქმეს პროკურატურას გადავცემთო. ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, არასწორია და ფსიქოლოგიურ დაშინებას ემსახურება.

რაც შეეხება ხანდაზმულობას, 3 წელი სრულად უნდა გავიდეს, რომ სესხი ხანდაზმულად ჩაითვალოს, მაგრამ ამ 3 წლის მერე, სასესხო ვალდებულების ანგარიშზე 1 ლარიც რომ გადაირიცხოს, სესხი ახლდება და ამოქმედებას იწყებს. პრობლემური აქტივების კომპანიები მევალეებს ამიტომ სთავაზობენ, ვთქვათ, 10 ლარი შემოიტანე და მერე გადავანაწილოთო. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა განახლებას იწყებს და კრედიტორს უფლება უჩნდება, რომ სასამართლოს მიმართოს.

ისიც ხშირი პრობლემაა, როცა პრობლემური აქტივების კომპანიები კლიენტებს ზეპირი ფორმით ურიგდებიან. ვთქვათ, 700 ლარის ოდენობით გქონდა სესხი და გეუბნებიან, ამ 700 ლარზე სულ 2 000 ლარი გაქვს შემოსატანი, თავისი პირგასამტეხლოსაა და ჯარიმით. მოდი, ნელ-ნელა შემოიტანე და 700 ლარი რომ შესრულდება, დანარჩენს აღარ მოგთხოვთო. იცოდეთ, თუ წერილობითი შეთანხმება არაა გაფორმებული, ზეპირ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ აქვს! მოქალაქე იმ 700 ლარს შეიტანს და შემდეგ ეუბნებიან, კი შემოიტანე, მაგრამ დანარჩენი გაქვს გადასახდელიო. ამიტომ, კარგი იქნება, მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ თუ შეთანხმებას გააფორმებენ, ეს აუცილებლად წერილობითი ფორმით იყოს, რათა დამცავი მექანიზმი ჰქონდეთ! მადანაშაულებენ, თქვენნაირები ხალხს ასწავლიან, როგორ არ გადაიხადონ ვალიო. ვალდებულება და ვალი იმას ნიშნავს, რომ თუკი იკისრე, უნდა შეასრულო, მაგრამ მოქალაქეებმა სესხის აღების დროს კარგად უნდა იცოდნენ პირობები და მოსალოდნელი შედეგები, რათა უკეთ გადაწყვიტონ, სესხის აღება ულირთ თუ არა.

**მოსამართლეებო, ხელისუფალნო, „ჯორჯიან კაპიტალის“ მესვეურებო თუ უბრალო თანამშრომლებო, ხელი შეუწყვეთ გიორგის, რომელმაც თავის ასაკთან შედარებით ათჯერ მეტი ტკივილი გადაიტანა... თუ ხელს არ შეუწყობთ, არ შეუშალოთ მაინც... მიეცით ოჯახს უფლება, მშვიდად დარჩეს საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ სახლში... თქვენ გიოს არ იცნობთ... გიო მაგარი ბიჭია!**

**ბექა ლიბრაძე**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

# კაჭრეთში ილიას სახელობის ხელოვნების სასახლე გაიხსნება

**წელიწადი მეორის მეხუთე ტურს კაჭრეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა „აისმა“ უმასპინძლა, სადაც ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ხელოვნების სასახლე შენდება, რომელიც თითქმის დასრულებულია და რომელიც პროექტის მონაწილეებმა მოინახულეს. აღნიშნული სასახლის მშენებლობას ხელი შეუწყო და მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და დამაჩქარებელი „წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – „ივერიაა“, თუმცა, ყველაფერს საფუძვლად კოლეჯ „აისის“ დირექტორის დიდი ძალისხმევა და შრომა უდევს.**

პროექტის ფარგლებში პოეტებმა გოგლა ლეონიძის სახლმუზეუმი, ნინოწმინდის მონასტერი მოილოცეს და ბოლოს, მანავის საერისთავო ციხესიმაგრე მოინახულეს.

„ილიას ხელოვნების სასახლე საქართველოში პირველი იქნება, რომელიც ყველა ხელოვანს უმასპინძლებს, ვისაც საკუთარი შემოქმედებითი ღონისძიების გამართვის სურვილი ექნება. ამავე დროს ეს სასახლე დიდ და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული კულტურისა და სულიერების განვითარებაში, მით უმეტეს, რომ ილია მართლის სახელს ატარებს. ქალბატონი ნათელა პაპუნაშვილის შრომას დიდად ვაფასებთ და გვწამს, რომ მას მიმდევრები გამოუჩნდებიან, მალე ბევრი მსგავსი სასახლე აშენდება. საქართველოს სრულად მოვივლით და მწერლობას და ხალხს გავაერთიანებთ. ამ პროექტმა ბევრი რამ იტვირთა და დრო და დრო რეალიზებაშიც მოჰყავს“, – განაცხადა პრემიისა და პროექტის დამფუძნებელმა **ნუგზარ ჭიაბერაშვილმა**.

კაჭრეთის საკრებულოს დეპუტატმა, **ემზარ ჯიქურაშვილმა** სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „კაჭრეთი მალე კულტურული და სულიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდება კოლეჯ „აისის“ ხელშეწყობით და ეს ძალიან დიდ როლს ითამაშებს ჩვენი ახალგაზრდობის განვითარებაში. რაც მთავარია, ეს სასახლე, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევითაა აგებული. ყველა მონაწილეს წარმატებას გისურვებთ!“

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტში უკვე მეოთხედ ვარ სტუმრის სტატუსით, ეს ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სულიერად ვიკვებები, ვამაყობ ქართველ მწერლებსა და ხელოვანებთან ურთიერთობა-მეგობრობით. ჩემთვის ეს პროექტი აღმოჩენა გახდა ქართული საქმისა და ერთიანობისა. თბილისის მერია მიესალმება და მხარს დაუჭერს ნებისმიერ ქართულ საქმეს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. და ბოლოს, წარმატება მინდა გისურვოთ შემოქმედებაში“, – განაცხადა **ნოდარ სირბილაშვილმა**, თბილისის მერიის ქალაქგაფორმების სამსახურის უფროსმა.

„ჩვენი კოლეჯი ერთადერთია, რომელიც სახელოვნებო დარგებისთვის მსგავს სასახლეს აშენებს. ეს იქნება თანამედროვე და ამავე დროს ძველი ქართული სტილის სასახლე. აქ საოცარი გარემოა – ქართული ქვევრებისა და თიხის ჭურჭლით გარშემორტყმული. ჩვენ პრემია „ივერიით“ და ილიას ხელოვნების სასახლის საშუალებით ბევრ ადამიანს გავუნათებთ გზას და შევაძლებინებთ საქმის კეთებას, რომელიც ჩვენ ქვეყანას გამოადგება. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევის შესრულების თანამონაწილე ვარ და ეს კი ილია მართალს უკავშირდება, რადგან ილია საქართველოა! დღეს კაჭრეთში ნაღები საზოგადოებაა სტუმრად და ამას პრემია „ივერია“ ახერხებს, რომელიც შემოქმედების, ხელოვნების პოპულარიზაციას ახდენს უზარმაზარ ურთიერთობებს და ისტორიას ქმნის“, – აღნიშნა საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ დირექტორმა, **ნათელა პაპუნაშვილმა.**

„პროექტს გასული წლიდან შევუერთდი და არასოდეს გამოვეთიშები, რადგან მასში მხოლოდ ეროვნული, სულიერი ერთიანობის და კეთილშობილების მუხტია და ეს არაა გასაკვირი, რადგან მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევითაა და ილია მართლის სახელს ატარებს“, – განაცხადა პროექტის ერთ-ერთმა პარტნიორმა, „გორმედის“ ხელმძღვანელმა **გიორგი კაკუშაძემ**.

ღონისძიების ბოლოს, საზოგადოებას სიტყვით კოლეჯ „აისში“ არსებული ტაძრის წინამძღვარმა, **დეკანოზმა გრიგოლ მთვარელიშვილმა** მიმართა: „ბედნიერია ერი, რომელსაც მისი უწმინდესობა, ილია მეორე ჰყავს სულიერ წინამძღვრად. უბედნიერესია ხალხი, ვისაც ილია მართალი ჰყავს ღვთისა და ერის წინაშე შემწედ. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით განსახორციელებელი წმინდა ილიას ხელოვნების სასახლე მე ვაკურთხე და ეს ჩემთვის ძალზედ დიდი ბედნიერებაა. გაოცებული და ამაყი ვარ ამდენი ნიჭიერი ადამიანის ხილვით, ამდენი საოცარი ღრმა შემოქმედების მოსმენით სავსე მივდივარ და დიდხანს გამყვება დაუვიწყარ წუთებად. წარმატება მოგცეთ ღმერთმა ყოველ თქვენგანს, ერისა და ღმერთის სამსახურში. ილია მართლის პრემია „ივერია“ ყოვლისმომცველი და საოცრად დიდი პროექტია და ამის გამო მასპინძლებსაც დიდ მადლობას ვუხდი და პროექტის ავტორსაც, რადგან ჩვენი კუთხე და კოლეჯი განებივრებულია დიდებული მწერლებითა და შემოქმედებით“.



## „წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – „ივერია“ კახეთს ესტუმრა





**„ქართული სიტყვა“ აქვე გთავაზობთ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ დირექტორის, ნათელა პაპუნაშვილის ჩანახატს.**

### „ჯერ არშემდგარი ბებიის წერილი“

ზამთრის მომქანცველმა ღამეებმა და უფერულმა დღეებმა სული დამიღალეს. საქმე იმდენია, იმდენი, რომ ასეთი ფიქრებისთვის თითქოს არ უნდა მეცალოს, მაგრამ, ჩემო სიცოცხლე, სიბერე უკვე მოვიდა. მალე სამოცი წლის გავხდები. ჰოდა, ამიტომ ხშირად მეძალება ფიქრი დაღლილობასა და დასვენებაზე. გარეგნულად კი თავი მხნედ მიჭირავს. ისე, რომ ხშირად ჩემს ენერგიას ახალგაზრდებიც შემონატრიან, მაგრამ იმდენად დიდია სურვილი თავი ბებიად ვიგრძნო, იმდენად მენატრები, მოხუცებულობაც კი საოცნებო გამიხდა. ბებო, რა კარგი იქნებოდა, აგუზგუზებულ ბუხართან მიმჯდარი შენ რომ ჩემს მუხლებზე იჯდე და საყვარელ ზღაპრებს გიყვებოდე, თმებს გივარცხნიდე. ლამაზ-ლამაზ ბაბთებს გიკეთებდე, ჩემს დადუმებულ სახლში შენი კისკისი ისმოდეს (დედაშენმაც საოცრად კარგი სიცილი იცის). ეტყობა, ჩემი წერილებით დედაშენის მონატრების სურვილს ვიკლავ, თორემ შენ ჯერ არსად ჩანხარ. ვინ იცის, დაიბადები კი? არ იდარდო, ესეც არაფერი. ცოტას წავიწუწუნებ და როგორც ყოველთვის, გაზაფხულისა და მერცხლის მოფრენის მოლოდინით გავიხალისებ სიცოცხლეს.

ბებო, კინაღამ დამავიწყდა შენთვის მომეწერა, რომ ამ საახალწლოდ შენს დედიკოს ვეწვიე პარიზში. ჩავუტანე ჩვენებური ტკბილეული: გოზინაყი, ჩურჩხელები. ამით ჩემს შვილს და მის მეგობრებს ოდნავ მაინც დავუამე სამშობლოს მონატრების ტკივილი და მეც კმაყოფილება მივიღე.

მართალია, უახლესმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შეამცირა სიშორის შეგრძნება. ბევრ რამეს, რაც ჩვენთან ხდება, ისინი უფრო მალე იგებენ, მაგრამ მე მაინც მტანჯავს იმის შეგრძნება, რომ შენი დედიკო თავის საუკეთესო წლებს უცხო ქვეყანაში ატარებს. დაღონებული და გულნატკენი ვუყურებდი მათ, ჩემი გულისთვის რომ საუბრობდნენ ქართულად, თორემ ვგონებ, უკვე ფრანგულად აზროვნებენ და მეტყველებაც იმ ენაზე ურჩევნიათ.

როცა საკუთარ თავთან ვრჩები, ხშირად ვტირი და უზომოდ განვიცდი, რომ ერთადერთი შვილი ჩემი ხელშეწყობით გაუუცხოვდა თავის ქვეყანას. არადა, შესაძლოა, აქ უფრო კარგად მოეხერხებინა თავისი ნიჭის და შესაძლებლობების რეალიზება. მაგრამ რაღა დროს! ალბათ შეგუება მომიწევს იმ აზრთანაც, რომ შენც სხვაგან დაიბადები. ამ წერილების აზრი იმაშია, ჩემო სიხარულო, იმ დიდი სიყვარულის სანაცვლოდ, რომელსაც გულში ვატარებ ჩემი სამშობლოს მიმართ, იმ დიდი სინანულის გამო, რომელსაც ასე მტკივნეულად განვიცდი, აუცილებლად უნდა ატარო ჩემი პრეისტორიული ერის გენეტიკური კოდის ყველაზე ძვირფასი თვისება – სიყვარული. იცხოვრე იმდენი სიყვარულით და ისე ლამაზად, რომ დასვენების სურვილი ჩემსავით სამოცი წლის ასაკში არ მოგესურვოს. გთხოვ, ძალიან გთხოვ, ჩემი წერილები აუცილებლად წაიკითხე, ნახვამდის!

**ნათელა პაპუნაშვილი**

## საინფორმაციო მხარდაჭერა

| N | საგანმანათლებლო პროგრამა დასახელება | სტატუსი | ვაკანტური ადგილები | საგანმანათლ. პროგრამის მისანიჭ. კვალიფიკაცია | პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბაკალავრო პროგრამები:** | | | | | | |
| 1 | ინგლისური ფილოლოგია | აკრედ. | 10 | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 2 | ბიზნესის ადმინისტრირება | აკრედ. | 75 | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ.(თბილისი)<br><br>სწავლის წლიური საფასური 1500 ლ. სიღნაღის რ–ნი სოფ.საქობო, (უნივესიტეტის ქ. N32).<br>– II და III კურსი<br>**35 ადგილი** |
| 3 | სამართალმცოდნეობა | აკრედ. | 40 | სამართლის ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 4 | ტურიზმი | აკრედ. | 25 | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ.(თბილისი)<br><br>სწავლის წლიური საფასური 1500 ლ. სიღნაღის რ–ნი სოფ.საქობო, (უნივესიტეტის ქ. N32).<br>II და III კურსი<br>**15 ადგილი** |
| 5 | სასურსათო ტექნოლოგია | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 6 | ჟურნალისტიკა | აკრედ. | 15 | ჟურნალისტიკის ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 7 | აგროინჟინერია | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 8 | საერთაშორისო ურთიერთობები | აკრედ. | 10 | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი | | I და II კურსი სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 9 | საჯარო მმართველობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |







| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამაგისტრო პროგრამები:** | | | | | | |
| 10 | ფინანსები | აკრედ. | 15 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 11 | მენეჯმენტი | აკრედ. | 10 | ბიზნესის ადმტრირების მაგისტრი მენეჯმენტში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 12 | სურსათის უვნებლობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 13 | მეცხოვ. პროდუქტების და ნედლეულის საქონელმცოდნეობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 14 | სადაზღვევო საქმე | არა აკრედ. | 5 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სადაზღვევო საქმეში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 15 | ტურიზმი | აკრედ. | 10 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 16 | სამართალი | აკრედ. | 35 | სამართლის მაგისტრი | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |

## „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ მობილობას აცხადებს

### 100-ლარიანი სტიპენდია წარჩინებული სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის ყოველთვიური გადახდა

„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს 2015-2016 სასწავლო წლების შემოდგომის სემესტრის მობილობას.

უნივერსიტეტის რექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სოლომონ პავლიაშვილის თქმით, ყველა წარჩინებული სტუდენტი მიიღებს ყოველთვიურ 100-ლარიან სტიპენდიას.

ამასთან, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში“ სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია არა მხოლოდ ოთხ ნაწილად, არამედ, ყოველთვიურადაც!

შემოდგომის სემესტრის მობილობა გამოცხადებულია შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

№ 31 (295)
5 – 11 ამვისტო 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

# როგორ აპროგრამებენ ადამიანებს – ნლპ, როგორც სპეცსამსახურების საიდუმლო იარაღი

**ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, შეიძლება, ჩათვალოთ, რომ სამყაროს გასაღები აღმოაჩინეთ. პრინციპში, ასეცაა, რამეთუ ნანა ჩარკვიანი „ცხოვრების ყურებით დაჭერის“ საიდუმლოს გაგანდობთ. იკითხავთ, ნანა ჩარკვიანი ვინააო? ვინაა და, – ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე სპეციალისტი. ახლა, ის გაინტერესებთ, ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება რაღაა? ამასაც გეტყვით: ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება, ანუ ნლპ ტვინის ნეირონებზე სიტყვიერი ზემოქმედებაა, ანუ უფრო მარტივად აგიხსნით: წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ტვინი კომპიუტერია, სადაც სასურველ პროგრამას „აინსტალირებთ“. ერთი სიტყვით, ნლპ სიტყვების მაგიაა და თუკი ამ მაგიას ეკოლოგიურად გამოიყენებთ, მაშინ ჩათვალეთ, რომ შეუძლებელს შეძლებთ. ჰო, კიდევ ერთი: ნანა ამბობს, რომ თავისუფალი, ლაღი და წარმატებული ადამიანები ხისტები და აგრესიულები არასოდეს არიან. ასე რომ, იყავით ლაღები, სიტყვები სწორად შეარჩიეთ და წარმატებასაც მიაღწევთ!**



**ნანა ჩარკვიანი: „მე სიტყვების სწორად გამოყენებას გასწავლით...“**

**ნანა ჩარკვიანი, ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების სპეციალისტი:** – ნლპ დასავლეთში იშვა და მისი მამამთავრები მათემატიკოსი რიჩარდ ბენდლერი და ლინგვისტი ჯონ გრინდერი არიან. ისინი ერთმანეთის სტუდენტობისას შეხვდნენ და გადაწყვიტეს, თავიანთი ცოდნით ისეთი სისტემა შეექმნათ, რომლითაც, უხეშად რომ ვთქვა, ადამიანებით მანიპულირებას შეძლებდნენ, თუმცა ნლპ ვიწრო „სპეციალობის“ მანიპულაცია არაა, რადგან სპეცსამსახურები მხოლოდ ადამიანების გადაბირების დროს კი არ იყენებენ, არამედ, ფსიქოთერაპიასა და ურთიერთობის ხელოვნებაშიც გამოიყენება და სპორტშიც.

**– სპორტს ხაზს რატომ უსვამ?**

– მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა ნლპ იქმნებოდა, იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს სიტყვა ტვინზე, ერთ-ერთი ექსპერიმენტი კალათბურთელებზე ჩაატარეს: ისინი ორ ჯგუფად გაყვეს. ერთ ჯგუფი ფიზიკურად, მოედანზე ვარჯიშობდა. მეორე კი, – ოთახში, წარმოსახვით. რეალური თამაშისას, მეორე ჯგუფმა, ანუ იმან, რომელიც წარმოსახვით ვარჯიშობდა, 3-ჯერ უკეთესი შედეგი აჩვენა. მოკლედ, მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი ქმედებას ფიზიკურად ანხორციელებს თუ წარმოსახვით. ვანო, არ გქონია მომენტი, დილით რომ ილვიძებ, ადგომა გეზარება და ფიქრობ, უნდა ავდგე, პირი დავიბანო. ტვინი ფიქრს ისე აღიქვამს, როგორც ქმედებას. ამიტომ, ვიდრე რეალურად ადგები და პირს დაიბან, უკვე დაღლილი ხარ...

**„მშობლების უმეტესობა ვერ ხვდება, რომ შვილზე ძალადობს. მაგალითად, ბავშვს შეიძლება, წითელი წინდის ჩაცმა უნდა, დედა კი აიძულებს, რომ მწვანე ჩაიცვას და ეს უკვე ძალადობაა. სხვათა შორის, იაპონიაში ხუთ წლამდე ბავშვს ყველაფრის უფლებას აძლევენ – შეუძლია, კედლები მოხატოს, ან შიშველმა ირბინოს. ხუთი წლის შემდეგ კი, მისთვის გარკვეული ფორმულირებების მიცემა, ანუ ეტიკეტის სწავლა იწყება. იაპონიაში ბავშვს ასე სჯიან: ეუბნებიან, რომ ოჯახურ სადილს ვერ დაესწრება. ჩვენთან კი, უმეტესად, თვლიან, რომ რახან მისი შვილია, ესე იგი, მისი საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე მოექცევა. ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა“.**

**– ნლპ-ს მხოლოდ დასავლური სპეცსამსახურები იყენებენ თუ საბჭოური „კა-გე-ბე“-ს მემკვიდრეებიც?**

– ვფიქრობ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც იყენებენ...

მას შემდეგ, რაც ბენდლერი და გრინდერი გაიყვნენ, ნლპ-ს რამდენიმე სკოლა ჩამოყალიბდა. სხვათა შორის, ბენდლერი „ცე-რე-უ“-მ წაიყვანა. ისე, გრინდერი უპირატესობას უფრო კეთილშობილურ საქმიანობას ანიჭებს.

**– მაშასადამე, ნლპ შეიძლება, არაკეთილშობილური მიზნისთვის გამოიყენო და ადამიანი დააზიანო?**

– დიახ და სწორედ ამიტომ ნეირო-ლინგვისტურ პროგრამირებაში ეკოლოგიის ცნება არსებობს – ტრენინგების დროს, პირველ რიგში, სურვილების და ტექნიკის ეკოლოგიას ასწავლიან...

**– ნანა, დღეს ყველაფრის ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვა ერთობ მოდურია. ბოლო დროს ქვეყანა სექსუალურმა ძალადობამ წალეკა – კვირა არ გავა, მოზარდი არ გააუპატიურონ. ამ უბედურებაზე, როგორც ნლპ-ს სპეციალისტი, რას ფიქრობ?**

– თუკი მოძალადეს, შესაბამისი შეკითხვებით, სიღრმეებში ჩავყვებით, მის ბავშვობამდე მივალთ, ანუ ძალადობის პირველი მიზეზი ბავშვობაშია. ეს ვინმეს შეიძლება, ფროიდისტულად მოეჩვენოს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ყველა მოძალადე ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო.

**– ანუ, ადამიანები, რომლებიც 5-6 წლის ბავშვებს აუპატიურებენ, ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ?**

– აუცილებელი არაა, რომ გაეუპატიურებინათ, მაგრამ მათ ცხოვრებაში ძალადობას ადგილი უდავოდ ჰქონდა.

**– ფიზიკურ ძალადობას გულისხმობ?**

– არა, ფსიქოლოგიურსაც. საერთოდ, მშობლების უმეტესობა ვერ ხვდება, რომ შვილზე ძალადობს. მაგალითად, ბავშვს შეიძლება, წითელი წინდის ჩაცმა უნდა, დედა კი აიძულებს, რომ მწვანე ჩაიცვას და ეს უკვე ძალადობაა.

სხვათა შორის, იაპონიაში 5 წლამდე ბავშვს ყველაფრის უფლებას აძლევენ – შეუძლია, კედლები მოხატოს, ან შიშველმა ირბინოს. ხუთი წლის შემდეგ კი, მისთვის გარკვეული ფორმულირებების მიცემა, ანუ ეტიკეტის სწავლა იწყება. ვანო, არ გაინტერესებს, იაპონიაში ბავშვს როგორ სჯიან?

**– როგორ?**

– ეუბნებიან, რომ ოჯახურ სადილს ვერ დაესწრება. ჩვენთან კი, უმეტესად, თვლიან, რომ რახან მისი შვილია, ესე იგი, მისი საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე მოექცევა. ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი საფუძველი დადებითი ინტენცია და მოტივაციაა.

**– იმის თქმა გინდა, რომ მოძალადე დადებითი მოტივაციით ძალადობს?**

– დიახ.

**– კარგი, რა, ნანა! ზრდასრული მამაკაცი 5 წლის გოგონას ან ბიჭს რომ აუპატიურებს, აქ რა დადებით მოტივაციაზეა ლაპარაკი?**

– ამ შემთხვევაში, მოძალადის დადებითი ინტენციის საფუძველი ბავშვობაშია საძებნი.

**– ანუ?**

– მოძალადეს ბავშვობაში სიყვარული აკლდა – სიყვარულის ნაცვლად, ძალადობა მისცეს და ამიტომ, ემპათია, თანაგრძნობა და იმის გაგება სჭირდება, ასე რატომ იქცევა.

**– საზოგადოებამ უნდა გაუგოს?**

– მოძალადე ასე გაუცნობიერებლად იქცევა და იმ მექანიზმებს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში მართავენ, არ იცნობს. მან, უბრალოდ, იცის, რომ გაუპატიურებით სიამოვნება მიიღო, თუმცა სინამდვილეში, ყველაფერი ემპათიის მიღებას ემსახურება და ბავშვებსაც სწორედ ამიტომ აუპატიურებენ – ბავშვი ყველაზე ემპათიურია. ვანო, ვთქვათ, ავად ხარ, ამას ყველაზე კარგად, ერთი გამოთქმისა არ იყოს, ბავშვი და ცხოველი გრძნობს... მოძალადეს ბავშვობაში შეიძლება, მშობელმა ისეთი რამ უთხრა, რაც ვერც ერთმა დაიმახსოვრა და ვერც – მეორემ.

**– მშობელმა შვილს მაინც, „ისეთი რა“ უნდა უთხრას, რაც მომავალში ძალადობის საბაბი გახდება?**

– მაგალითად, როგორი ბინძური ხარ, შენ არავინ შეგიყვარებს და შენ აუცილებლად ციხეში მოხვდებიო. ეს უკვე პროგრამაა – თუკი ადამიანმა ბავშვობიდან იცის, რომ ბინძურია, არასოდეს არავინ შეიყვარებს და აუცილებლად ციხეში მოხვდება, გაუცნობიერებლად, ამ პროგრამას მიჰყვება.

**– ესე იგი, ყველა კრიმინალის ბედი ბავშვობაში „დაინსტალირებული პროგრამის“, ასე ვთქვათ, შედეგია?**

– დიახ, ასეა... ამ პროგრამების გარდა, სიყვარულის ნაკლებობაც „მუშაობს“. დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანს უნდა, რომ უყვარდეთ, პატივს სცემდნენ და მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

**– სიყვარულის დეფიციტი აშკარაა, მაგრამ ამის გამო, არ მესმის, ნარკომანი, ან „წამლის ბარიგა“ რატომ უნდა გავხდე?**

– ნარკომანობა რეალობისგან გაქცევის გზაა. „ბარიგა“ კი, ფულს სხვის უბედურებაზე აკეთებს – ბავშვობაში, შეიძლება, სიდუხჭირეში ცხოვრობდა და გადაწყვიტა, რომ ფული უნდა იშოვოს. საერთოდ, ადამიანი ისე იქცევა, როგორი ღირებულებების სისტემაც აქვს. თუ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პატიოსნებაა, მაშინ ყველა არჩევანს პატიოსნების კონტექსტში გააკეთებს...

**– საქართველოში ოჯახური ძალადობაც გახშირებულია – გასულ წელს, თუ არ ვცდები, 20-მდე ქალი ქმრის ანაწერა გახდა. ნლპ ამას როგორ ხსნის? ისე, ჩვენთან დედის კულტია – ქართლის დედა თბილისის და, საერთოდ, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა!**

– ოჯახში ქალებზე ძალადობა, უმეტესად, დედაზე შურისძიებაა, ანუ აქაც პრობლემა ბავშვობაში უნდა ვეძებოთ – მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს ერთად უნდა ეძინოთ, ბიჭი ძალიან ბრაზდება, როცა დედის გვერდით ადგილს მამა, ესე იგი, სხვა მამაკაცი იკავებს.

**– ეს გაბრაზება გაცნობიერებულია?**

– არა, გაუცნობიერებელი. ამ დროს ბავშვი ავად ხდება, დედის მთელი მზრუნველობა მასზეა გადართული და მამა მარტო რჩება. ყველაფერი ეს იქამდე გრძელდება, ვიდრე ბავშვი დედასთან ჭიპლარითაა დაკავშირებული.

**– ჭიპლარით გადაბმულ დედა-შვილს ხომ ჯერ კიდევ სამშობიაროში „ანცალკავებენ“?**

– ვანო, უხილავ ჭიპლარზე ვლაპარაკობ...

**– დედა-შვილის უხილავი ჭიპლარით განცალკევება როდის ხდება?**

– საქართველოში, მგონი, არასოდეს!

**– ამ შემთხვევაში, ქვეყანას რა მნიშვნელობა აქვს?**

– აღზრდის მეთოდი და ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულება ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. რამდენი გვინახავს 40 წლის მამაკაცი, რომელიც ისევ დედას გაიძახის? ისეთი ფაქტებიც ვიცი, როცა მამაკაცი საცოლედ ისეთ ქალს ეძებს, რომელიც დედამისს თუნდაც ბლინების გამოცხობაში ემსგავსება.

**– უხილავი ჭიპლარის გადაჭრა როგორ შეიძლება?**

გაგრძელება მე-15 გვ.

## სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

მე-15 გვერდიდან

– ვანო, ისეთი შეკითხვა დამისვი, რომელზეც ყველაზე ჭკვიანი ადამიანები მუშაობენ...

**– ნანა, შენს ვაჟთან უხილავი ჭიპლარი გადაჭრილი გაქვს?**

– დიახ.

**– როგორ გადაჭერი?**

– ბიჭი რომ მეყოლა, 34 წლის, ანუ იმ ასაკში ვიყავი, როცა დედობრივი ინსტინქტი, შეცდომებიდან გამომდინარე, მკაფიოდ მქონდა ჩამოყალიბებული. საერთოდ, არ ვთვლი, რომ ადამიანმა შეცდომა არ უნდა დაუშვას. თუ შეცდომას არ დაუშვებ, ვერ ისწავლი. მოკლედ, ვიცოდი, ბიჭთან მიმართებაში რა შეცდომა არ უნდა დამეშვა და მინდოდა, თავისუფალ და ლაღ ადამიანად გამეზარდა, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს. ამიტომ, მისი მეგობარი გავხდი და შევეცადე, მისთვის ქალის ხატება არ გავმხდარიყავი. მაშინაც კი, ვიდრე საუბარს დაიწყებდა, ვეუბნებოდი, რომ ყველაზე ჭკვიანია და ყველაფერს მიაღწევს, რომ ის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ადამიანია და არჩევანიც თვითონ უნდა გააკეთოს.

**– ესე იგი, აპროგრამებდი?**

– ასე გამოდის და ამას მაშინ ვაკეთებდი, როცა ჩემი ვაჟი სამი წლის იყო. ნიკოლოზს შეუძლია, თავისი პრობლემა გამიზიაროს, მაგრამ ამ პრობლემას მე კი არ გადავჭრი, არამედ, პრობლემის მოგვარების გზის მოძებნაში დავეხმარები. სხვათა შორის, სიტყვა „პრობლემა“-ს კი არა, „ამოცანა“-ს ვიყენებ, რადგან თუკი რაღაცას პრობლემას დაარქმევ, ის აუცილებლად პრობლემად იქცევა. ამოცანას კი, უბრალოდ, უნდა ამოხსნა, თან პრობლემას, თუ მისგან დისტანცირებას არ მოახდენ, რასაც ნლპ-ში დისლოცირება ჰქვია, ვერასოდეს მოაგვარებ. ქართული გამონათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენიაო და ასეცაა.

**– სიტყვამ მოიტანა და, ქართული ანდაზები თუ ზღაპრები, მგონი, ნლპ-ს კლასიკური ნიმუშებია. ავიღოთ, მაგალითად, „რწყილი და ჭიანჭველა“ – ბავშვობიდან კორუფციაზე გვაპროგრამებენ...**

– თუ ასე გავყვებით, მაშინ ყველა ნაწარმოებში რაღაც პროგრამა დევს...

**– ერთი სიტყვით, თუკი დავიჯერებთ, რომ ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება მუშაობს, შეგვიძლია, ყველა მოვლენა ამ ჭრილში განვიხილოთ, არა?**

– ნლპ-ს თავი რომ დავანებოთ, ყველაფერი მანიპულაციის საშუალებაა.

**– პოლიტიკოსები ნლპ-ს მასების სამართავად იყენებენ?**

– დიახ, იყენებენ, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ყველა პოლიტიკოსმა ნლპ კარგად იცის. ზოგი სპეციალისტებს ქირაობს... ისე, რასაც გარედან ვხედავ, ამჟამინდელი ხელისუფლების პრობლემა სწორედ ისაა, რომ არ იცის, რა და როგორ ილაპარაკოს. შეიძლება, მრჩევლები ჰყავს, მაგრამ, სავარაუდოდ, საკმარისად კვალიფიციურნი არ არიან... სხვათა შორის, ასეთი მრჩეველი ყველა დიდ პოლიტიკოსს ჰყავდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ჰიტლერთან ძმები ლაუტენზაკები მუშაობდნენ, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მაგები იყვნენ დ რომლებმაც ჰიტლერი ხელისუფლებაში მოიყვანეს. საერთოდ, ყველა მეთოდიკა, რომელიც მასებზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება, მანიპულაციაა.

**– ესე იგი, ნლპ სიტყვების მაგიაა?**

– დიახ, ასეა... ნლპ-ს ყველა სფეროში გამოყენება წარმატებით შეიძლება.

**– ოდესმე ხელისუფლებისთვის გიმუშავია?**

– არა...

**– ვთქვათ, სამსახური სპეცსამსახურებმა შემოგთავაზეს, დასთანხმდები?**

– სიამოვნებით, რატომაც არა?!

**– ერთი სიტყვით, ნანა, შეგიძლია, ხალხს ამოცანები ამოუხსნა?**

– დიახ, შემიძლია, თუმცა უფრო ზუსტი ფორმულირებით: შემიძლია ვასწავლო, როგორ ისწავლოს ამოცანის ამოხსნა. ზოგიერთი ამოცანა ისეთია, რომლის ამოხსნაც ჩემზე ძლიერ სპეციალისტებსაც უჭირთ და ამისთვის სპეციალისტების ერთობლიობაა საჭირო.

**– შეიძლება, ითქვას, რომ ყველაფერი დადებითი და უარყოფითი, რაც მსოფლიომ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან გადაიტანა და დღესაც გადააქვს, ნლპ-ს „დამსახურებაა“?**

– გამორიცხული არაფერია...

**– მოდი, ახლა, ნლპ-ს ჭრილში პოლიტიკური ლოზუნგები განვიხილოთ...**

– ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება მხოლოდ პოლიტიკურ ლოზუნგებში კი არა, რეკლამებშიც გამოიყენება.

**– ეს ხომ ზომბირებაა?**

– დიახ... ვანო, ნლპ, იცი, როგორაა? – ადამიანს მიზიდულობის კანონის შეიძლება, არ სჯეროდეს, ან მის შესახებ გაგონილიც არ ჰქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუკი მეხუთე სართულიდან გადმოხტება, მიწაზე არ დაეხეთქება.

**– წეღან თქვი, რომ ნლპ მედიცინაშიც გამოიყენება...**

– რა თქმა უნდა...

**– ადამიანის რომელი დაავადებისგან განკურნება შეგიძლია?**

– მაგალითად, ფობიისგან...

**– ნლპ სიმსივნეს ვერ კურნავს?**

– სიმსივნე, უხეშად რომ ვთქვათ, ორგანული დარღვევაა და წმინდა სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. თუ ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების სპეციალისტი იტყვის, რომ სიმსივნეს კურნავს, ესე იგი, შარლატანია! როცა განკურნებაზეა ლაპარაკი, ნლპ-ს სპეციალისტები, პირველ რიგში, იმას ადგენენ, დაავადება ორგანულია თუ არაორგანული. ადამიანს შეიძლება, ეჩვენებოდეს, რომ გული აწუხებს, მაგრამ ეს, სინამდვილეში, ნევროზია, რომლისგან განკურნებაც, ცხადია, შემიძლია...

**– დეპრესიასაც შველი?**

– აქაც საკითხავია, სახეზე დეპრესიაა, როგორც დაავადება თუ, უბრალოდ, ცუდი გუნება-განწყობა, რომელიც დიდხანს გრძელდება. დეპრესიისგან განკურნება მხოლოდ ნლპ-ს სპეციალისტს კი არა, ფსიქიატრს, ფსიქოთერაპევტს, ფსიქოანალიტიკოსსა და გეშტალტ-თერაპიასაც შეუძლია.

**– ერთი სიტყვით, სიტყვა ყველაფრის სალბუნია, არა?**

– ბიბლიაც ასე იწყება: პირველად იყო სიტყვა...

**– მთავარია, სიტყვა სწორად შევარჩიოთ...**

– აუცილებლად... მთავარია, ამოცანას იცნობდე, რომ შესაბამისი სიტყვები შეარჩიო...

**– ადამიანებს, ვინც შენ მოგმართავენ, პაციენტებს ეძახი?**

– არა, რადგან იარლიყის მიწებებას ვერიდები. ვთქვათ, ადამიანი ამბობს, უბედური ვარო, ამით იარლიყს იწებებს...

**– თან, „უბედურების პროგრამას“ რთავს...**

– რა თქმა უნდა...

**– ნეირო-ლინგვისტური პროგრამირებით განკურნება რამდენ ხანშია შესაძლებელი?**

– მაგალითად, ფობიისგან განკურნება 20 წუთში შეიძლება...

**– ნლპ ძვირი სიამოვნებაა?**

– საზღვარგარეთ ძვირია, ჩვენთან კი, ჯერ პოპულარული არაა და თრენინგები, როგორც წესი, დროის მენეჯმენტზე ტარდება. ასევე, პოპულარულია თრენინგი „როგორ გავხდეთ მომხიბვლელი“, ან „როგორ დავიკლოთ წონაში“... ისე, მე თუ მკითხავთ, ნლპ-ს თრენინგები, პირველ რიგში, 112-ის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ, რადგან ისინი ძალიან დიდ დატვირთვას იღებენ. ამიტომ, აბსოლუტურად ჯანსაღნი უნდა იყვნენ, რათა სხვების დახმარება შეძლონ, ანუ მეტაფორულად რომ ვთქვა, თუ ავად ვარ, სხვას გამოჯანმრთელებაში ვერ დავეხმარები...

წეღან ვთქვი, ფობიის მოხსნისთვის 20 წუთი საკმარისია-მეთქი, თუმცა ეს არაცნობიერ დონეზე. გაცნობიერებას კი, გარკვეული დრო სჭირდება, თან იმასაც გააჩნია, ადამიანში „დაინსტალირებული“ პროგრამა რამდენად სწრაფად ამუშავდება, პროგრამის ამუშავებას, საშუალოდ, სამი კვირა სჭირდება.

**– არსებობს შანსი, რომ „პროგრამამ“ „გაჭედოს“?**

– თუ პროგრამა სწორადაა „დაინსტალირებული“ და სპეციალისტიც მაღალი დონისაა, „გაჭედვა“ გამორიცხულია! საერთოდ, ყველაფერი კონკრეტული ადამიანის სააზროვნო სტრატეგიაზეა დამოკიდებული. ყველა ადამიანი ყველაფერს, რასაც აღიქვამს, გარკვეულ ფილტრებში ატარებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, სადილი სადილია და არა – მენიუ. არსებობს ქალაქი და არსებობს ამ ქალაქის რუკა, მაგრამ ქალაქი და რუკა ერთი და გივე არაა. ყველა ადამიანს სამყაროს თავისებური რუკა აქვს, რომელიც იმას არ ნიშნავს, რომ სამყაროა, ანუ ყველას სამყაროზე თავისი წარმოდგენა აქვს, თუმცა სამყარო ერთია...

> „ნებისმიერი ადამიანის ქმედების ნებისმიერი საფუძველი დადებითი ინტენცია, ანუ გაუცნობიერებელი მისწრაფებაა, სიტყვა-სიტყვით: „ის, რასაც შიგნიდან მივყავარ იქით, სადაც მსურს“... მოძალადის დადებითი ინტენცია ბავშვობაშია, ანუ ბავშვობაში სიყვარული აკლდა – სიყვარულის ნაცვლად, ძალადობა მისცეს და ამიტომ, ემპათია, თანაგრძნობა და იმის გაგება სჭირდება, ასე რატომ იქცევა. მოძალადე იმ მექანიზმებს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში მართავენ, არ იცნობს. მან, უბრალოდ, იცის, რომ გაუპატიურებით სიამოვნება მიიღო, თუმცა სინამდვილეში, ყველაფერი ემპათიის (სხვა ადამიანის ემოციური მდგომარეობის გაცნობიერებული თანაგანცდა, თანაგრძნობა) მიღებას ემსახურება და ბავშვებსაც სწორედ ამიტომ აუპატიურებენ – ბავშვი ყველაზე ემპათიურია“.



**– ნანა, სასიყვარულო, ან კონფლიქტური ურთიერთობების მოგვარება შეგიძლია?**

– კი, შესაძლებელია. საამისოდ „აქტიური მოსმენის ტექნიკა“ არსებობს. საერთოდ, შემიძლია, ადამიანი ამოცანის ამოხსნამდე მივიყვანო, თორემ სხვის ნაცვლად ამოცანას ვერ ამოვხსნი, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს არაეკოლოგიურია. მეორეც, უმთავრესია „არ ავნო“ და, მესამეც, ადამიანმა თავის სურვილებსა და შედეგზე პასუხისმგებლობა თვითონ უნდა აიღოს. შესაბამისად, მე ადამიანს ვასწავლი, როგორ ისწავლოს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა.

**– შენთვის გადაუჭრელი საკითხები არსებობს?**

– რა თქმა უნდა. მე ადამიანი ვარ!

**– კი ბატონო, მაგრამ ხომ იცი, ტვინი როგორ უნდა დაიმორჩილო?**

– არავის მოვატყუებ, რომ უგუნებოდ არასოდეს ვყოფილვარ. ყველა ფსიქოლოგი ფსიქოლოგთან დადის და იმიტომ კი არა, რომ ვთქვათ, უგუნებობისგან თავის დაღწევის მექანიზმები არ იცის. სწორედ იმიტომ, რომ იცის, რა როგორ მუშაობს, რაღაც სხვა სჭირდება. მაგალითად, სიამოვნებით ვივლიდი გეშტალტ-ფსიქოლოგთან, რადგან მგონია, რომ იმ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც მინდა, გეშტალტ-თერაპია უკეთესად შეძლებს – მე კინესტეტიკი ვარ, ანუ სამყაროს გრძნობებით აღვიქვამ...

საერთოდ არ შეიძლება, ადამიანმა ასე იმეტყველოს: „წავეთრევი“, „მოვეთრევი“... თუ გინდა, რომ კარგად იყო, საკუთარ თავს ძალიან ეკოლოგიურად უნდა ელაპარაკო. ვანო, იცი, ბავშვს, ვთქვათ, ჭიქა რატომ უტყდება? – იმიტომ, რომ დედა სიტყვას ადევნებს, ეგ ჭიქა არ გატეხოო. არაცნობიერს „არ“, ანუ უარყოფითი ნაწილაკი არ ესმის და... ბავშვმაც ჭიქა გატეხა. დედას რომ ეთქვა, ჭიქა ფრთხილად წაიღეო, ეს სწორი ფორმულირება იქნებოდა.

**– მოკლედ, ჩვენი ბედნიერების გასაღები სწორ მეტყველებაშია?**

– დიახ და ისიც უნდა ვიცოდეთ, კონკრეტული სიტყვა ადამიანის ტვინზე როგორ მოქმედებს. სხვათა შორის, ადამიანით მანიპულირების საუკეთესო საშუალება დანაშაულის შეგრძნების გაჩენაა. დანაშაულის შეგრძნება, როგორც წესი, ბავშვობიდან ჩნდება.

**– ეს გასაგებია, მაგრამ, მაგალითად, დანაშაულის შეგრძნება როგორ უნდა გააჩინო?**

– ვთქვათ, რაღაც რომ მთხოვო და ვერ გაგიკეთო, დანაშაულის შეგრძნება მექნება და თუკი მეორედ რამეს ისევ მთხოვ, აუცილებლად გაგიკეთებ. ამ მეთოდის გამოყენება იმ შემთხვევაშიც შეიძლება, როცა ადამიანს ხელფასის გაზრდა უნდა.

**– ეს როგორ?**

– იმ მომენტს არჩევ, როცა უფროსი კარგ გუნებაზეა და ეუბნები, რომ ძალიან ბევრ საქმეს წარმატებით აკეთებ. უფროსი გეთანხმება. ამის შემდეგ, ხელფასის მომატებას იმაზე მეტი თანხით სთხოვ, ვიდრე გინდა და უარს რომ მიიღებ, ეტყვი, კარგი, მაშინ ხელფასი ორი-მესამედით გამიზარდეო. უფროსი შვებით ამოისუნთქებს და ჯამაგირს გაგიზრდის.

რაც შეეხება ლოზუნგებს, რაზეც წეღან ვლაპარაკობდით, ნებისმიერი პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ნომინალიზაცია, ანუ უძრავი, ჰაერში გაშეშებული სიტყვაა. კომუნისტებს ჰქონდათ ასეთი ლოზუნგი: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“ ასეთ სტატიკურ სიტყვებში ადამიანი თავის გამოცდილებას დებს – ძმობა ყველასთვის სხვადახვა რამეა. თავისუფლებაც ასეა და ერთობაც. ნებისმიერი ასეთი ლოზუნგი ადამიანებზე ამიტომაც მოქმედებს. ავიღოთ, თუნდაც გამოთქმა: „ყველაფერი კარგად იქნება!“ ეს ბუნდოვანი და, ამავდროულად, კონკრეტული დაპირებაცაა.

**– რატომ?**

– როცა პენსიონერს ესმის, ყველაფერი კარგად იქნებაო, ფიქრობს, პენსია მომემატება და კომუნალური გადასახადები შემიმცირდებაო. ბიზნესმენი კი თვლის, ჩემს ბიზნესს აღარაფერი დაემუქრება და უფრო ბევრ ფულს ვიშოვიო. როცა ავადმყოფს ეუბნებიან, ყველაფერი კარგად იქნებაო, ის ამ ფრაზას თავის აღქმის ფილტრში ატარებს და ფიქრობს, რომ მალე გამოჯანმრთელდება...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

№ 31 (295)
5 – 11 ამვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გზა ჭაობისაკენ

# ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

ისა ამინი

(გაგრძელება. დას.: იხ. „ქართული სიტყვა“ №30)



### თავისუფლება, როგორც არამზადების ხვედრი

მუსიკის შესწავლა უმცირესობაში მოხვდა. სხვა საქმეა სიმღერა – ის ლამის სავალდებულოა მთელი სკოლისთვის, რაიონისთვის, ქალაქისთვის და მთელი ქვეყნისთვის. სხვა ვინ უმღეროს აყვავებულ მთა-ბარს, მშენებლობებს, ხარაჩოებს, ელსადგურებს, ბაღჩა-ბაღებს, ღორების ფერმასა და შრომის აღმაფრენას...

ლანა მასწავლებელი სპარსული მინიატურიდან გადმოსული ხანუმია – წვრილი, საგულდაგულოდ ამოქნილი, გრძელი წარბები, მარაოსავით ფახულა წამწამები, ნუშისებრი თვალები, ვნებიანი ტუჩები, ვიწრო მხრები, განიერი თეძოები. კი არ დადის, კაკაბივით დაგოგმანობს... საკლასო ოთახში მოთენთილი სახით შემოდის, შემოდის და მთელი მსოფლიოს მუსიკალური საგანძურის კეთილსურნელება შემოაქვს. ლანა მასწავლებელს წვრილმანებზე ყურადღების გადატანა არ უყვარს – ამისთვის სად სცალია, არ გაბედოთ იმის თქმა, რომ თავი გტკივათ, კბილი გაწუხებთ, ან ყელი გაქვთ გაციებული. სიმღერაა მთელი ჩვენი ცხოვრება. იმღერეთ და თავის ტკივილი გაგივლით, კბილი დაგიცხრებათ, ყელი აყელყელავდება. სხვა საზრუნავი შემოსწოლია: ყოველწლიური საჩვენებელი კონცერტია მოსამზადებელი. რუდუნებით გვასწავლის სიმღერას: ,,მოვდივართ ერთად მხნე სიმღერებით,

ხელში გვიჭირავს დროშა დიადი,

ჩვენი მომავლის და გამარჯვების ვართ განთიადი.

პარტიამ მოგვცა ეს მომავალი, ეს ბედნიერი ახალგაზრდობა,

ჩვენ მას ვუმღერით... მისი დიდება... ჩვენი მადლობა!“

,,ასწორებს“, არა?! – აბა, რა?!

საქმე წინ მიდის! იადონას (ასეთი სახელი დავანათლეთ ლანა მასწ.) გადაეკიდა ერთი ბავშვის მშობელი, ლამის ფეხებში ჩაუვარდა, ჩემი შვილი დირიჟორობისთვისაა დაბადებული, ჰარიქა, უშველეთ, აფსუსია ნიჭის უაზროდ დაკარგვა, რამე ილონეთო... იადონა პიანინოს მიუჯდება, აკორდს აიღებს, თავს დააქნევს, ნიჭიერი ხელებს აიქნევს და სიმღერას ვიწყებთ... ჩათვალეთ, რომ გვიხარია, მეცხრე ცაზე ვართ... კონცერტი ახლოვდება... უცებ მოვიწყინე... მემართება ხოლმე: მომეძალება რაღაც ჯანდაბა, არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, აი, ისეთი, თქვენც რომ მოგსვლიათ... ეს ბავშვი კი, ხელებს გაუთავებლად იქნევს. კარაიანი მეზრდება, – ფიქრობს დედამისი, დარბაზიდან უყურებს და მალულად ცრემლს იწმენდს. მღელვარებისგან ხელებით ჩანთას აწვალებს, სადაც იადონასათვის შოკოლადის ბონბონერი განისვენებს. ჰოდა, მომერია რაღაც ჯანდაბა, ჭინკა შემიძვრა სულში და... მარტოობა მომინდა, მინდა გავიქცე. მაპატიე, ლანა მასწ, უნდა დამითხოვოთ, მაგრამ ეს რომ ხმამაღლა გითხრათ, მიპასუხებთ, ვერ მოგართვით, რა დროს ეგეთებიაო. ჰოდა, გადავდივარ ,,ტაქტიკურ-სტრატეგიულ შეტევაზე“, მოწინააღმდეგეს ფსიქიკურად ვუტევ. მთელმა სკოლამ იცის იადონას სუსტი წერტილი – თითი ცხვირში...

– გა-ე-თ-რ-ი-ე-ეე!

თავისუფლება არამზადების ხვედრია, კაციშვილი არაა არც სკოლის დერეფნებში, არც – ეზოში. ღობესთან მივედი, ფიჭვების ძილ-ბურანში. ღობის იქით გზას გავხედე, მიიკლაკნება, კი გავყევი ამ გზას ოცნებით, გავიხედოთ, ისევ აქ ვდგავარ. მეორე მხრიდან სასაფლაო მიყურებს. ხელი ჩავიქნიე უიმედოდ. წამოვედი, სასადილოს ფანჯარაში შევიჭყიტე. მორიგე მოსწავლეები მაგიდებს სავახშმოდ ამზადებენ. სამზარეულოში შეფმზარეული ძია იაშა ფუსფუსებს. დიდი ალუმინის ქვაბებიდან ორთქლი ამოდის... აქ ასეთი წესია: მეექვსე კლასში გადახვალ თუ არა, კვირაში ერთხელ უნდა იმორიგეოს თითო კლასმა. მორიგეს ევალება: დღეში ოთხჯერ მაგიდების გაწყობა ნუგბარით. იატაკს დამლაგებელი წმენდს, ჭურჭელს აქ მომუშავე ქალები რეცხავენ...

როგორც აღვნიშნე, ბავშვების უმეტესობას მამა არ გვყავს. იაშა ძია, ვანო მასწი, დარაჯი ლაზარი, ,,შოფერი“ სედრაქა ძია – ჩვენთვის ესენი არიან არისტოტელესა და პლატონზე უკეთესი დამრიგებლები. სედრაქა ძიას ხელები მუდამ მაზუთით აქვს დასვრილი – ერთთავად დირექტორის ,,მოსკვიჩს“ უჩხიკინებს და როცა მანქანა დაიქოქება, სკოლის ეზოში საყოველთაო სიხარული ისადგურებს. აი, ახლაც, სტარტის გამშვებ-მოსამზადებელი ეტაპის მომსწრენი ვართ, სამი ბიჭი სედრაქას ძალღური ერთგულებით დავტრიალებთ, რომელიც წელამდე, მანქანის ძრავაშია თავჩარგული. დროდადრო გვესმის, როგორ საყვედურობს ჯაბახანას: – ნამუსი სულ დაკარგე, ,,მოსკვიჩი“ გქვია, გაინძერი, ცდას არ გაკლებ, ხმა ამოიღე, ბენზინს კარგად ყლურწავ, მადას, იცოცხლე, არ უჩივი. სედრაქა თავს ამოყოფს: – ბიჭებო, ქანჩი რვა-ათზე. სამივე ვეცემით ყუთს, სადაც იმდენი ხარა-ხურა ყრია, ერთნახევარი ,,მოსკვიჩი“ აეწყობა. მივარბენინებთ ოსტატთან.

ძია სედრაქ, იჩქარე! დარეკეს, რესპუბლიკის ტელევიზია მოდის, გვიღებენ, საღამოს საინფორმაციო გამოშვება ,,მოამბეში“ ვიქნებით. სედრაქა წარბებს შეკრავს, ეს რა მითხარით, აბა, ჩქარა, აბა, ტაში. აალაგეთ ხელსაწყოები. მოამზადეთ ასაფრენი ბილიკი, საპატიო სტუმრებს ვთხოვთ, ლოჟაში დაბრძანდნენ. მიართვით გამაგრილებელი სასმელები და შამპანური. სედრაქა გულდასმით იწმენდს მაზუთით მოთხვრილ ხელებს, ჯდება მანქანაში, იქიდან იძლევა ბრძანებას:

– პირველი იური ადგილზე ვარ, მეორე, მესამე და მეოთხე იურებო, დაიკავეთ ხომალდის ბორტზე ადგილები. ფაცხა-ფუცხით შევცვივდებით მანქანაში, სავარძელში მოვკალათდებით, კარს ისეთი ჟინით ვხურავთ, თითქოს სამუდამოდ მივემგზავრებით. სედრაქა გადმოგვხედავს, თამაშში აყოლილებს, ნებისყოფას გვიმოწმებს, – მზადა ხართ, გაფრინდეთ და აითვისოთ კოსმოსის უკიდეგანო სივრცეები? ღრიალით ვპასუხობთ, მაშ, არადა?! სედრაქამ გასაღები გადაატრიალა, ძრავა ჩაირთო თუხთუხით, დავიძარით, სკოლის სტადიონს საპატიო წრე დავარტყით, ჭიშკრისაკენ გავემართეთ. იმ ადგილს რომ მივუახლოვდით, საიდანაც ჩვენს რომანტიკულ ჰეროიკულ მოგზაურობას ჩაეყარა საფუძველი, ძრავი ჩაქრა, ბოქარი მანქანა ვირივით გაიბოტა. სედრაქა მანქანიდან გადმოდის, დანანებით დახედავს ტექნიკის საოცრებას, ფუი, შენიო, ერთს მამაპაპურად შეიკურთხება. ვიწყებთ თავიდან.

– ეგრეა ძმაო, ვკაარდი უუეკლოდ ვიის მოუწყვეტია, – გულს გვიკეთებს ენაბლუ, მეოთხე იურა...

ვანო შრომის მასწავლებელია – სულ სახელოსნოშია. შრომის გაკვეთილებს გვიტარებს, რომელიც შემდეგში გამოიხატება: თუ სკოლის ფანჯრის შუშა გატყდა, მასწი გამოჭრის, ჩვენ ვუყურებთ, წავა, მივყვებით. მასწი სვამს მინას, ჩვენ ვუყურებთ. სახელოსნოში ხის მასალისგან კარ-ფანჯარას ამზადებს, ისევ ვუყურებთ. ყურებაში მაღალი ნიშნები გვიწერია. სახელოსნოს კუთხეში მიყრილი ნარჩენებისგან ფანერის ნაჭრებს ავიღებთ. „გავშკურკავთ“, მერე მის ზედაპირზე შავი ფანქრით, ქალის პორტრეტს გადმოვხატავთ, უფრო სწორად, კაპიროვკით გადმოვიტანთ ჟურნალიდან, ყვავილებით მოვაგრაფიკებთ, გავარვარებული ლურსმნის წვერით მოვაწახნაგებთ, ზედ წავაწერთ: ძვირფასო დედა, მომილოცია 8 მარტი! ლაკს გადავუსვამთ. ვანო მასწი შეგვაქებს. დედები გაიხარებენ, იტყვიან, არ გადაგვარებულან ჯერ კიდევ კაცებიო. ამ ჩვენს შედევრებს ბარაკებში ნაქირავებ სახლის კედლებზე მიუჩენენ საპატიო ადგილს. სისხამ დილით, ფაბრიკებში სამუშაოდ გასაქცევად გამზადებულები შეხედავენ და იმედიანად გაიხურავენ კარს იმის რწმენით, ჩვენ რომ გავიზრდებით, ავაშენებთ დიდ და ნათელ სახლებს, ფართო ყვავილნარით, დედებს ვეტყვით – გეყოფათ, დაისვენეთ, ბაღში ისეირნეთ, ბანქო ითამაშეთ, ყავა მიირთვით ან კაკაო. ნაყინი მაცივარშია, შოკოლადი – ვაზაში, ჰამაკი – ეზოში...

„ყარაული“ ლაზარი კი, თვალებს ბაყბაყდევივით აბრიალებს, აქეთ-იქით გაფაციცებული იყურება, ეზოში უცხო რომ არ შემოიპაროს, მაგრამ თუ შუბლზე გაწერია, ხიფათი მაინც მოგძებნის და ვერც ლაზარი გიშველის, ვერც – სედრაქა... კიბის სახელურზე მიყვარს სრიალი და... ერთ მშვენიერ დღეს, საავადმყოფოში გავიღვიძე – გადმოვვარდი კიბის საფეხურიდან, ერთი სართული ვიფრინე, თავი იატაკს ,,ვრეხვე“... გაკვეთილების გაცდენა ცუდი არაა, მაგრამ საავადმყოფოში მოხვედრას არავის ვუსურვებ. მირჩევნია, ჯანმრთელი ვიყო და თანახმა ვარ, ქიმიის კაბინეტში, გაკვეთილზე მთელი ორი კვირა გადაბმულად ვიჯდე, თვალში მეჩხირებოდეს მისი უდიდებულესობა ადამიანის ჩონჩხი, იქვე, დაფის კუთხეში მდგარი ქიმიის კორიფე რუსიკო მასწი, რომელიც ისეთი გამხდარია, რომ არა თხელი კანი, სხეულს რომ უფარავს და თეთრი ხალათი, ძნელად გაარჩევდით ერთმანეთისგან.

ისე, სასხვათაშორისოდ, ფიზკულტურის მასწავლებელმა მითხრა, ამდენი წიგნის კითხვა გამოგათაყვანებს, ხადახან ფეხბურთიც ითამაშეო. ჰოდა, ვითამაშე და... გოლი საკუთარ კარში გავიტანე! აფერუმ! არა, ხომ გითხარით არ მიზიდავს ეს უაზრო შეჯიბრი, წამაქციე-წაგაქციე, წამიჯიკავე-წაგიჯიკავე. წააქციე? აჰა, შენ სიგელი. სირბილზე ჭკუას ვკარგავ, გამაგზავნეთ უკვდავების წყალზე, ოღონდაც ზუსტი მისამართი მიუთითეთ, არ დაგზარდებით, ციმციმ მოგირბენინებთ. არ გამაგონოთ ოვაციები, პრესა და ტელევიზია.

სულმოუთქმელად ველოდი ხოლმე ზაფხულის დადგომას. სოფელში, პაპასთან, ვენახში, პატარა სამოთხეში ,,ასწორებს“, მაგრამ ჯერ გაზაფხულია გადასაგორებელი.

შაბათობით, დილით, პიონერული ხაზი ეწყობა. არ ვიცი, რა დატვირთვა აქვს, გვარიანად კი ვერთობით: ჩავმწკრივდებით სტადიონზე. პიონერხელმძღვანელი დასჭექს:

– რაზმო სწორდი! მოემზადეთ დროშის შემოსატანად! შემოიტანეთ დროშა!

ორი-სამი პიონერი ბარაბანზე იწყებს ბრახუნს, მესაყვირე თავის საყვირს აჭყვიტინებს. დიმპიტაურზე დროშა, მედროშიან-მუზიკანტებიანად, ბატებივით მობაჯბაჯებენ, წინ ჩაგვივლიან, მებრძოლ სულს გვიმაღლებენ... მიწყდა ფანფარები, ახლა დროა შეგონებისა. პიონერხელმძღვანელი იწყებს ჩვენს დამოძღვრას:

– ისწავლეთ! ისწავლეთ! ისწავლეთ! – გვიანდერძა ლენინმა. დაიცავით სისუფთავე!.. ლენინს უყვარდა წესრიგი. გაიკაჟეთ სხეულები – ლენინს უყვარდა ვარჯიში. იყავით მოწინავენი, ყოჩაღები, მარდები – ლენინს უყვარდა... – თავისუფლად!

დროშა, ბარაბანი, საყვირი მეორე შაბათამდე პიონერთა ოთახში ბინავდება. სანამ მოვა შაბათი, ლენინის ანდერძს მთელი მონდომებით დავიცავთ და ხორცს შევასხამთ. გული ერთ რამეზე გვეთანაღრება: ლენინივით ვერ მივდივართ ლონდონსა და ვენაში სავარჯიშოდ, არა უშავს, გავიზრდებით და რევოლუციონერები გავხდებით. პარტიული დავალებით გაგვიშვებენ ლონდონსა და ვენაში სასწავლებლად, სავარჯიშოდ და წესრიგის დასამყარებლად...

სკოლის ეზოში პატარა სკვერია, ყვავილები ხარობენ, იასამანი, ნარგიზები, ვარდი. ამ სკვერს ჩვენი კლასი პატრონობს. მაისი დადგა... დღეებს თითებზე ვითვლით – თვის ბოლოს არდადეგები იწყება. სასწავლო პროცესი ისეთი დატვირთული და დაძაბული აღარაა, მასწავლებლებიც დაიღალნენ ჩვენი მწყემსობით. სკოლის შენობაც ემზადება დასასვენებლად – ენა რომ ჰქონდეს, ალბათ, გვეტყვის, წადით, დამასვენეთ თქვენი ღრიანცელისგანო... ფიჭვები და ტირიფებიც თითქოს მოგვძახიან, წადით, დაისვენეთ და ჩვენც დაგვასვენეთო. სულაც დანგრეულა და ნაცარტუტად ქცეულა აქაურობა. ფიჭვების, ტირიფების, სკვერის გამოკლებით, წარბი არ შეგვიტოკდება...

მოკლედ, სოფლისაკენ ჰერი-ჰერი!

დილიდანვე მზადებაში ვარ. არ მძინებია, მთელი ღამე თეთრად გავათენე – ხუმრობა ხომ არაა, სოფელში მივდივარ?! ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ პაპას ვნახავ. ბალახის მოსათიბად ერთად წავალთ სახედარ ,,პაცანა-

გაგრძელება მე-17 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

## გზა ჭაობისაკენ

მე-16 გვერდიდან

სა“ და ძაღლ „ჯეკთან“ ერთად. ტყეში კუნძებსაც შევაგროვებთ... ვენახშიც, პატარა სამოთხეში წავალთ. უჰ, რა კარგია!

პაპა რიგებში დადის, ვაზს მკურნალივით სინჯავს, ზედმეტ ფოთლებს აცლის, მიწას თოხნის, აფხვიერებს... შეწამვლის დრო რომ მოვა, შაბიამანსა და კირს წყალში გააზავებს. შესაწამლ აპარატში ამ გაზავებული წამლის ჩასხმაში ვეხმარები. მერე, აპარატს ზურგზე წამოიკიდებს, ხელს წავაშველებ, უჩემოდაც შეუძლია, რომ აპარატი აიკიდოს, მაგრამ ჩემს გულმოდგინებას ხედავს და ხათრს არ მიტეხს. ხელს რომ ვაშველებ, ვიცი უხარია, თვალები სიხარულით უციმციმებს. ერთი ეგაა: ვერაფრით დავითანხმე, ოცნებად მაქვს გადაქცეული, ვაზი შემაწამლინოს. ჩემს ხვეწნა-მუდარაზე, პაპი, მოდი, მე ავიკიდებ აპარატს-მეთქი, ალერსიანად მიყურებს და მპასუხობს, ჯერ პატარა ხარ, ბალღო! რას იტყვის ხალხი. მოდი, სიმღერაში მომეხმარე, ეგეც არანაკლები საქმეაო...

არ გამოდის გაბუტვა.

შენ ბიჭო ანაგურელო, ანაგურელოო...

მწიფობას, ბავშვები დილიდან მივდივართ მაყვლის დასაკრეფად. ერთ კილოში 40 კაპიკს იძლევიან... ჟრიამულით ვეშვებით ალაზნისკენ. მთელი სოფელი შრომობს, შინ დარჩენილი მოხუცები კი, ეზო-ყურეს უვლიან... მოკლედ, დიდ-პატარა ვენახსა და საზამთროს ბაღებშია გაკრეფილი. პაპანაქებაა, მაგრამ ბავშვები სიცხეს არ ვეპუებით. მაყვლის კრეფა რთულია, ეკალ-ბარდებში გვიწევს ძრომიალი. ერთ მუჭა მაყვალს ვედროში ვყრით, მუჭანახევარს – ვჭამთ. ვინც ცდუნებას გაუძლებს და დაშაქრულ მაყვალს არ მიირთმევს, შეიძლება, ორ-სამ მანეთამდე აიღოს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება... ბავშვებმა მასწავლეს, ვედროში ცოტა წყალი ჩაასხი, წონაში მოიმატებსო. წყალს კი დავამატებ, მაგრამ მიმღებ პუნქტში არიფები არ სხედან და... მზის ქვეშ ჩვენი მთელი დღის შრომა 60-70 კაპიკად შეფასდება. ხურდას მოვიგდებთ თუ არა, ხელს მაგრად მოვკუჭავთ...

კლუბში ინდურ ფილმს აჩვენებენ. ბილეთი 20 კაპიკი ღირს. კლუბი სავსეა. ახალგაზრდები სჭარბობენ. ფილმი იწყება. დარბაზი ფილმში იძირება – გმირებთან ერთად იწყებს ცხოვრებას...

აგვისტო მთავრდება...

პირველ სექტემბერს რთველი და ეს ოხერი სკოლაც იწყება. ჩვენ, ვითომ ქალაქელი ბავშვები, იძულებულნი ვართ, თბილისში წავიდეთ... წელს ქალაქს ხოლერა მოედო, კარანტინი გამოცხადდა. ჰოდა, თბილისში არ გვიშვებენ. მიხარია, რთველი უჩემოდ არ ჩაივლის... ყურძენი დავკრიფე, გოდრებში ჩავყარე... გოდრები ურემზე დააწყვეს, მარნისკენ წაიღეს, მარნის კარი აჭრიალდა... პაპა საგულდაგულოდ მოემზადა – დაიბანა ფეხები, საწნახელში ჩავიდა... ყურძნის წვენი საწნახელიდან წამოვიდა და რაკრაკით ჩაეშვა ქვევრში. პაპამ ჭიქა გაავსო, პირველს მე მაწვდის. პირი ვერ მიბრუნდება, ხოლერა ვადღეგრძელო. პაპი, გაგიმარჯოს შენა, მენა და ყველაი.

– შენი გულისა, კარგია! დო, დო, დოია, დოოო!

ისევ სკოლა, ისევ მელანი, ცარცით დასვრილი ხელები, შარვალი და პიჯაკის ჯიბეები. დედა ყოველ ორშაბათს ათ კაპიკს მაძლევს, ხუთი – მეტროში, ხუთიც – ავტობუსში, ან სამი კაპიკი – ტრამვაიში. ორი კაპიკი მოგება მრჩება... ჩავჯდები მეტროში, დროს ვწელავ: ჩამოვალ ერთ-ერთ სადგურზე, დაველოდები მეორე მატარებელს... ამასობაში გაკვეთილი დაიწყება. დაგვიანების მიზეზს მოვიგონებ, მაგალითად, ავტობუსი გაფუჭდა, მაგრამ ვგრძნობ, ტყუილი არაბუნებრივად გამომდის და გული მკიცხავს...

ავტობუსი გაჭედილია, ცალ ფეხზე ვდგავარ. საავიაციო ქარხანასთან დაიცლება – მგზავრების უმეტესობა ქარხნის მუშა-მოსამსახურეა. სკოლამდე ოთხი-ხუთი გაჩერებაღაა, ავტობუსი თითქმის ცარიელია – ამოირჩიე და სადაც გინდა, იქ დაჯექი. თუ ზამთარია, უკანა სავარძელს რა სჯობია – სკამის ქვეშ ძრავა გუგუნებს და მთელ სხეულს ათბობს... ავტობუსი მიჰქრის, თავი მოგზაური გგონია და ათასჯერ ნანახ სახლებს, ბაღებს, ლიანდაგებსა თუ სასაფლაოს მეათასეჯერ აღმოაჩენ...

სკოლის ალაყაფთან დარაჯს დიდკაცურად ვესალმები. საძინებელი კორპუსი შეუღებავთ, სასადილო და სკოლის შენობაც, როგორც იტყვიან, სიმპატიურად გამოიყურება. ჩვენი კლასის პატარა ბაღში სიმშვიდეა, ფერთა პალიტრა „მევასა“... „მასტიკის“ ნაცნობი სუნი ვიგრძენი... მართალია, კედლები შეღებილია, მაგრამ ვიღაც ბარბაროსის მსახვრალმა ხელმა ვერაფერი დააკლო უცნობი მიჯნურის შემოქმედებას. ნაჩხაპნზე გადასმულა საღებავმა ვერ წაშალა „სასიყვარულო გზავნილი“, უფრო თვალში საცემი გახადა: „გ+მ=შ“... გაკვეთილზე დამაგვიანდა...

– შემოდი, დაჯექი, – მეუბნება კლარა მასწავლებელი, რომელსაც ერთი ზნე სჭირს: კალამს სამელნეში ჩააწობს და მერე თმაზე ისვამს. კლარა მასწავლებელი ბიბლიოთეკარობასაც ითავსებს...

ისტორიაში მამალი ხუთიანები მიწერია, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობიაო და, დაუმსახურებლად: საკმარისია, გაკვეთილის დაწყებამდე დავალებას თვალი გადავავლო და დაფასთან გასული „ვაბულბულებ“.

– ფრიადი, – ამბობს კლარა მასწავლებელი და ყურადღებას არ აქცევს, რომ თარიღებს ვერ ვიმახსოვრებ. წაკითხული გაკვეთილი ქრება ტვინის ხვეულებში. მაქვს კი ტვინი? მიკვირს, კლასელები რატომ უფრთხიან ისტორიას, თავებს მერხებში მალავენ, სირაქლემას პოზაში იმყოფებიან, ოღონდაც კლარა მასწმა არ მოუხმოს დაფასთან გაკვეთილის მოსაყოლად.

აი, გამოვიდა რომეო, დადგა დაფასთან, ენა ჩაუვარდა, ხმას ვერ იღებს. მარინე პირველი მერხიდან ჩურჩულით კარნახობს ჩუდის ტბაზე მომხდარი ბრძოლის პერიპეტიებს... კლარა მასწი მშვენივრად ხედავს, რაც ხდება, თავს იმკვდარუნებს, შეაყარე კედელს ცერცვი, არაფერი გამოდის, რომეო მარინეს ნაკარნახევს ვერ იჭერს, უაზროდ ლუღლუღებს.

– მიეცი, გოგო, წიგნი, წაიკითხე, ბიჭო! კითხვა ხომ იცი?

რომეო იწყებს კითხვას, დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით. ხმა სამარიდან. რომეო თავით-ფეხამდე შეყვარებულია, ჩუდის ტბა კი არა, საკუთარი დაბადების თარიღი არ ახსოვს. ცალი თვალით ზეინაბს უყურებს და ნატრობს, ნეტავ, წიგნი ვიყო, შენი თითები მეხებოდნენო. მასწი მოთმინებიდან გამოდის...

– დაეგდე, ორიანი

რომეო მიდის თავისი მერხისკენ. ორიანი, თორემა გულიც არ გაუსკდეს, აინუნშიაც არ აგდებს. მისთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, ზეიკომ შეხედოს. რომეო დაეჭყანება ზურგშექცეულ კლარა მასწს, ზეიკოს თავმომწონედ ჩაუვლის, თითქოს რომის სამართალს ბდღვირი ადინა. მიბნედილი თვალებით შეხედავს.

– აბა, სტადიონზე, ფეხბურთის თამაშისას მნახე ვინა ვარ, – ლოყაზე ხელს შემოირტყამს, – ვახ მე მიტუასაო და დაეხეთქება თავის ადგილს. მასწი გულისგამგმირავ მზერას გადაავლებს კლასს, შევარდენივით მსხვერპლს ათვალიერებს, ვისი ჯერია, ვის არ გაუმართლა, ვინ ადგა მარცხენა ფეხზე. მოსწავლეებს მღელვარებისგან პულსი ეწევათ. არკადის არ გაუმართლა. მიდის დაფასთან ნირწამხდარი. დარდობს, ჩანთიდან თხილი არ აწაპნონ. ქვეყნის ამ მომავლის იმედსაც ენა უვარდება სტომაქში, კლარა სახეს მანჭავს:

– შე ქვეყნის გლახა, ციყვს რომ გავხარ, დაეგდე, ორიანი.

დგება ჟამი, კლასი გადავარჩინო, ღირსება შევუნარჩუნო. კლარა მასწიც, თავის მხრივ ვალდებულია, დაიცვას თავისი საგნის ღირსება. გამოვდივარ და მე, ლაწირაკი, ვბედავ იმდენს, გაკვეთილი მოვყვე სხაპასხუპით და მივაღწიო იმდენს, რომ კლარა მასწს გული მოულბეს. გაიღიმოს, ორიანები არ დაწეროს. თემასაც გადავახვევინო და მოვაყოლო თავისი ცხოვრებისეული ამბები, რომელიც ომის დროს გადახდა რომელიღაც დამშეულ ქალაქში. კლარა იწყებს თავგადასავლის თხრობას, უფრო უკეთესად, ვიდრე ისტორიის გაკვეთილს გვიხსნის. მყარდება უშუალო ურთიერთობა, გაკვეთილი გაადამიანურდა. ჩვენ ახლა მისი შვილიშვილები ვართ. კაფანდარა მზიას ნუკრის თვალები ცრემლებით ენამება. აღარც რომი გვახსოვს, აღარც – კართაგენი. მით უმეტეს, ჩუდის ტბა (არა, ინტერნატი უნდა დაინგრეს!) ამასობაში ზარიც ირეკება.

– აბა, ბავშვებო, შემდეგი გაკვეთილი... პარაგრაფი თხუთმეტი, მეთოთხმეტის შემდეგი.

მე თითს მიქნევს:

– ჰაიტ, შე ეშმაკო.

ერთი სული მაქვს, ჩქარა დამთავრდეს გაკვეთილები, შევძვრე ბიბლიოთეკაში, ვიბაირამო. შენი გულისა, რა ნეტარებაა ამდენ წიგნში ყოფნა, რომ იცოდეთ, აი, ახლავე ამ სიტყვების წაკითხვისთანავე, დღის ან ღამის რა დროც უნდა იყოს, თვალის დაუხამხამებლად, რასაც უნდა აკეთებდეთ, მიატოვებდით და წახვიდოდით, არა, გაიქცეოდით ბიბლიოთეკაში.

დედასთან შეხვედრისას, კლარა მასწი რჩევას აძლევს:

– კარგი იქნება, თუ თქვენს შვილს ისტორიულზე ჩააბარებინებთ.

იგივეს ურჩევენ სხვა საგნების მეტრები. ბოტანიკის, მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის და ა.შ. პედაგოგები. მე არავინ არაფერს მეკითხება, ვინ მინდა გამოვიდე. ჩემი პასუხი იქნება: არაფერიც არ მინდა.

უ-ს-ა-ქ-მ-ურ-ი!

თავი გამანებეთ.

თავს ზევით ძალა არაა, გავუშინაურდი ინტერნატს, უფრო მართებული იქნება ითქვას, ყოველ ორშაბათს იწყება თავიდან შეჩვევა. ორი დღე შაბათ-კვირა, რომ იცოდეთ, რა კარგია ოჯახში ყოფნა. არ მინდა ამ ოხერში, ძალაა. ჩემი პირველი დამხმარე და კეთილი მშველელია მტირალა ტირიფი. ეს დალოცვილი, მთელი ზაფხულის განმავლობაში იმდენს ტირის, ტირის, ნაწნავები ძირს, დედამიწამდეა დაშვებული. შევალ შიგნით, მის წიაღში, კაციშვილი ვერ მხედავს. ნეტავ, გარეთ გასვლისას, თავი პაპას ვენახში ამოვყო. გამოვდივარ, ინტერნატი – ჩაკეტილი სივრცე, ცოტას გავივლი, ვჩერდები. ვიდრე ჭკუაზე გადავალ, უკან ვბრუნდები, ტირიფის ნაწნავების საბურველში. სიჩუმეა და რაღაც უცნაური მოლოდინის განცდა. ჯადოსნური ხომ ხარ, ტირიფო! მოიღე მოწყალება. რა იქნება, გავიდე შენი კალთიდან, გაზრდილი, დიდი ბიჭი. კაი სანახავი სეირი იქნება, ვერავინ მიცნობს. უცხოს დანახვაზე აფორიაქდებიან.

– ვინ გაბედა და გადმოლახა საზღვარი? ვინ არღვევს მყუდროებას, უცხო პირთა შემოსვლა სასტიკად აკრძალულია!

– იქნებ, მამა ხართ, ბავშვს მოაკითხეთ? გვითხარით, ბატონო, გვარი და სახელი, ახლავე მოგიყვანთ.

– არა, კაცო, ჩემდაუნებურად მოვხვდი აქ.

– მაშინ დატოვეთ აქაურობა სასწრაფოდ, აღარ დაგინახოთ აქ შემოსული.

გიჟივით გადავიხარხარებ. – სიამოვნებით დაგტოვებთ. თქვენი მეგზურობა არ მჭირდება, ხუთი თითივით ვიცი გზა. მივალ ალაყაფთან, აბა, რას მეტყვის დარაჯი ლაზარი, საითო?

ვერ მიცნეს. დიდი კაცი ვარ და მივდივარ, გტოვებთ. დიდი მადლობა, ბატონებო, ყურადღებისთვის. ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ამოვიოხრებ, ამ ამოოხვრას ამოჰყვება ჩემი სულელი დარდი და პატარა სევდა.

დილით ვიღვიძებ, ვიდრე სავარჯიშოდ წავალთ, შემოვირბენ ერთი წამით. სასაუზმოდ მივდივარ თუ გაკვეთილების დაწყებამდე, შევდივარ ტირიფის სახლში, ჩემს კუნძულზე, ჭკუაზე შევიშლები, ანდამატივით მიზიდავს, ენერგიით მავსებს. გგონიათ, ეს სიკეთე დიდხანს გრძელდება? ერთი თვე, გაწი-გამოწი, თვენახევარი. შეეპარება ფოთლებს სიწითლისმაგვარი სიყვითლე, დაეწყება ფოთოლცვენა. განიძარცვება ხე ზნეკეთილი. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როცა კი ჩავუვლი გვერდზე, შევდივარ მის გამეჩხერებულ გუმბათში. გულში სათუთად ვეფერები მძინარეს. ალბათ, ესმის ძილ-ბურანში წასულს ჩემი აბდაუბდა. მომავალ ზაფხულს უფრო მეტად დაიბურება და როცა შევალ მის სამყოფელში, გარეთ აღარ გამიშვებს და დავრჩები მის წიაღში უსასრულოდ, სანამ არ მოვწყინდებით ერთმანეთს. მერე რა, დიდად ვერ მაქცია, მერე რა, რომ არ მიმხელს, რატომ ტირის...

სოლფეჯიო არ ვიცოდი, ვიდრე მაესტროს გავიცნობდი. ჰოდა, გაჩაღდა მუსიკის გაკვეთილები. გასაღები და ნოტები, ნუ ეხუმრებით. მოცარტი და მხიარული მხედარი. აბა, მიპასუხეთ, სოლფეჯიოს რა გვერჩიოს?! პირველ გაკვეთილზე, სკოლის კლუბში შემოვიდა სოლფეჯიოს პედაგოგი. ჩვენზე ასაკით არცთუ ძაან უფროსი, ახალგაზრდა, კოხტა, კეკლუცი რიტა. მოკლე კაბით, დამოკლებული მუხლს ზემოთ, ლამის ჭიპამდე. მკერდი არ მიხსენოთ, თორემ „დავიბრიდე“ და ელეთმელეთი. ამოღებული დეკოლტე. ქათქათა იფქლივით, სურვილი გკლავს, გაექანო და დურთო თავი მის ბაქანზე. თითქოს ქარბორბალა დაგვატყდა, მეცხრე ტალღა დაგვეჯახა. თვალები ფოსოებიდან გადმოგვიცვივდა, პირიდან დორბლი მოგვდის ცოფიანი ძაღლივით. ამებას ციდა ჭკუა მოგვეპოვება, ისიც ხელიდან გვისხლტება. მოგვხედეთ, ხალხი არა ხართ, ქაქი არ გიჭამიათ?! ვეცით ბიჭები სკამებს, – დაბრძანდით, მასწავლებელო, დიდხანს გელოდით. ერთმანეთს ვასწრებთ, სკამებით ვფარიკაობთ. თითოეულ ოყლაყს ჟინი გვკლავს, ჩვენ მიტანილ სკამზე დადოს თავისი ავლადიდება რიტამ. რიტა ყურებამდე გაწითლდა. არ თანხმდება დაჯდომას, მიხვდა, დაჯდება და საკუთარ თავზე პასუხს ჩვენ ვერ ვაგებთ. ხელში სკამებით, რიტა განმანათლებელი შუაში გვყავს მოქცეული, მგლის ხროვას ვგავართ, რომელმაც სისხლი დაინახა, მოთმინების ძაფი საცაა, გაწყდება, მსხვერპლს ვეცემით, ბელადის ბრძანებას ველოდებით, რომელიც არ ჩანს.

და აი, გამოსავალიც გამოჩნდა: ცივი წყალი გადაგვასხა მაესტრო გოგიმ. შემოვიდა, ერთი გადმოგვხედა წარბებს ქვეშიდან, რაღაც თავისთვის ჩაიხვიხვინა (ალბათ, ეგ გოგო ჩემთვის მინდაო), თავი გააქნია ცხენივით, თითქოსდა აღვირი მოიშორაო. მოვჯექით ჩვენ ადგილებზე. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ჩვენი გულის ბაგა-ბუგის ხმას გაიგონებს კაცი. უმწეობისგან კედელზე ჩამოკიდებულ, სამ ვეებერთელა მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულ პროლეტარიატის ბელადების – მარქსის, ენგელსის და ლენინის პორტრეტებს მივაჩერდით, გვიშველეთ, გენიებო, თქვენ არ ამბობდით, მთელი დოვლათი და სიმდიდრე ხალხსაო?! ბელადების სიფათები შორს, მარადისობაში იყურებიან დიდი ხანია დაცლილი ვნებებისგან. მაესტრო გოგი კუთხეში ზის, ხელები მუხლებზე უდევს, სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებს. სოლფეჯიო რიტა მივა როიალთან, სახურავს ახდის, დაჰკრავს კლავიშს ბროლის თითს – დოო, დაჰკრავს მომდევნო კლავიშს. თვითონ აღარ იმეორებს, ბგერის დასახელებას, აბა, რა ნოტია? გვეკითხება. ჩვენც ვპასუხობთ უხალისოდ.

– გადაშალეთ რვეულები, მოიმარჯვეთ ფანქრები, ჩაიწერეთ ნოტები. აბა, ახლა წავიმღეროთ: მი, მა, მე, მო, მუ.

რიტა აშკარად ზეიმობს ჩვენზე გამარჯვებას. მიზანმიმართულად აგრძელებს ჩვენს ტანჯვა-წამებას. კურტუმოს ქნევით გვიახლოვდება, იხედება რვეულში, ვითომ გვამოწმებს. ამ დროს ოდნავ იხრება, მისი მკერდი ლამის მხარს ედება. სახეში გვცემს და გველამუნება მისი თმის სურნელი, რაღაც უცხო ფრანგული სუნამოს არომატი. სხეულში დენი გვირტყამს, გვაკანკალებს, გვაძაგძაგებს, გვაჟრიალებს. ერთი სული გვაქვს, მივყაროთ რვეულები და ფანქრები, თავს დავიმტვრიოთ სკამები, მივლეწ-მოვლეწოთ ფანჯრები, ავყაროთ იატაკი, დავფხრიწოთ ბელადების ოქროსჩარჩოიანი პორტრეტები. მაესტრო გოგი გადავაგდოთ მესამე სართულიდან, ჩვენც გადავყვეთ, ისევ ამოვირბინოთ და ისევ გადავხტეთ...

სკოლასთან გაჩერებაზე მამალი „ბიჩოკები“ ყრია, ბოლო გაჩერებაზეც უხვადაა ეს სიკეთე. დავდივართ პატარა ბალღები, ვეწევით და ჩვენი ჭკუით ამ ცხოვრებას ვაწვებით. აქვე, ახლოსაა ჩემი სამუსიკო სკოლა, სადაც კვირაში ოთხჯერ მოვდივარ. რაღა დაგიმალოთ, მე არ ვეწევი. აი, კლასელები გაგიხარია, უქიშინებენ. სოფელში ყოფნისას მოვწიე, ბესოსთან ერთად. ისიც მთელი პროცედურის გავლით. დიდი ოპერაცია დავგეგმეთ. ბიძაჩემს უჩუმრად ავწაპნე ორი ღერი „პრიმა“, უფილტრო. ბესომ ორი თავი ნიორი გამოიტანა სახლიდან. სოფლის ბოლოში გავედით, შპიონებივით მივიძურწებით, ემანდ, არავინ დაგვინახოს, თავი არ მოგვეჭრას. ჩირგვებში შევინილბეთ, გავაბოლეთ, თუ ამას მოწევა ჰქვია. ლამის დავიხოცენით ხველებით, თვალები დაგვიწითლდა, ცრემლები წამოგვივიდა თვალიდან. უწმაწური სიტყვებით ვიგინებით, თან დიდებს ვბაძავთ და მათ ნალაპარაკევს ვიმეორებთ.

– ამ ოხერ თამბაქოს როგორ ვეკვლევინებით, კაცოო. ფუი, ამის მამგონს, წაიღო ხელფასის ნახევარი. ერთი ეს გადამაგდებინა, მაღარიჩი ჩემზეა...

მაღარიჩად ნიორის თითო კბილი მივატანეთ. მიზანი ერთია: პირიდან თამბაქოს სუნი არ ამოგვივიდეს, უფროსებთან არ დავიწვათ. ეგ იყო და ეგა. სულაც არ მეპიტნავება მოწევა. აი, რომეო კი უქიშინებს, რამდენიმე ბიჭთან ერთად. ეს მასწავლებლები „კაგებეშნიკები“ არიან თუ რა, არ ვიცი. არ არის გამორიცხული, ვინმე მუდოც იყოს კლასში, მაღალი ნიშნებისთვის ჩაუშვას ბიჭები. ძნელი დასაჯერებელია იმიტომ, რომ უმაღლესში არავინ აპირებს ჩაბარებას. მუშათა კლასს შევავსებთ, მეტი რა გინდათ ჩვენგან. თქვენ დაყრილ ნაგავს გავიტანთ სააშკარაოდან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 31 (295)
5 – 11 აგვისტო 2015

ქართული იგავი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

### დიანა ღურწკაია ახალ ალბომზე მუშაობს

რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია, როგორც თვითონ განაცხადა, 6 თვეა, ახალ ალბომზე მუშაობს. მისივე თქმით, ახალი ალბომი თბილისში, მომღერალ დათო კენჭიაშვილის სტუდიაში იწერება.

ალბომში 15 ფოლკლორული სიმღერა შევა, მათ შორის, დიანასა და დათო კენჭიაშვილის დუეტიც.

„მე, როგორც მომღერალი ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია, ჩემს ხალხს სიმღერებით მოვეფერო “, — განაცხადა ღურწკაიამ.

მომღერლის ახალი ალბომის პრეზენტაცია სექტემბერში გაიმართება.

### იტალიელმა მებაჟეებმა სნუპ დოგი დააკავეს

სამხრეთ იტალიაში, კერძოდ, ქალაქ კალაბრიის აეროპორტში, საბაჟოს თანამშრომლებმა ცნობილი რეპერი სნუპ დოგი დააკავეს. დაკავების მიზეზი რეპერის ჩანთაში დიდი რაოდენობით თანხის — 385 ათასი ევროს აღმოჩენა გახდა. მებაჟეებმა სნუპ დოგს ბრალი სადეკლარაციო წესების დარღვევაში დასდეს.

რეპერი მას შემდეგ გაუშვეს, რაც ფულის ნახევარი ჩამოართვეს.

### 2 წლის ბიჭი ცოცხლად დაწვეს

იორდანიის პალესტინურ სოფელში ხანძარს ორი წლის ბიჭი ემსხვერპლა, მისი ოთხი წლის ძმა და მშობლები კი, დაშავდნენ. „ევრონიუსის“ ცნობით, სახლს ხანძარი განგებ გაუჩინეს. ისრაელის პოლიცია ეჭვობს, რომ თავდასხმა ნაციონალისტური მოტივით მოხდა.

ადგილობრივთა თქმით, დამწვარი სახლის კედლებზე ებრაული წარწერა აღმოაჩინეს, რომელიც შურისძიებისკენ მოწოდებას შეიცავს.

### პუტინის პრეს-მდივანმა ცოლი მოიყვანა

დიმიტრი პესკოვის რჩეული ფიგურულ სრიალში ოლიმპიური ჩემპიონი ტატიანა ნავკაა.

წყვილმა საქორწინო ცერემონია სოჭში გამართა, თუმცა უცნობია ქორწილში პუტინი იმყოფებოდა თუ არა.

შეგახსენებთ: პესკოვისთვის ეს მესამე, ნავკასთვის კი, მეორე ქორწინებაა.

### უკრაინამ ჟერარ დეპარდიეს „წითელი აუნთო“

უკრაინული მედიის ცნობით, რუსეთზე შეყვარებულ ფრანგ მსახიობს, ჟერარ დეპარდიეს უკრაინაში შესვლა ხუთი წლით აეკრძალა. როგორც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის პრესსპიკერმა, ელენა გიტლიანსკაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი გადაწყვეტილება კულტურის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე იქნა მიღებული.

საერთოდ, უკრაინის კულტურის სამინისტრომ ქვეყანაში შესვლა ყველა იმ მსახიობს, მუსიკოსსა და კულტურის სფეროს წარმომადგენელს აუკრძალა, რომელმაც მხარი 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას დაუჭირა. ამ მხრივ 66 წლის ჟერარ დეპარდიე გამორჩეულია — ის რუსეთს „უდიდეს დემოკრატიულ ქვეყანას“ უწოდებს. 2013 წელს, დეპარდიემ სამშობლო მაღალი გადასახადების გამო დატოვა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

### ფრანც ბეკენბაუერს შვილი გარდაეცვალა

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელის, ფრანც ბეკენბაუერის შვილი, 46 წლის სტეფანი გარდაიცვალა.

გერმანული გამოცემების ინფორმაციით, ბეკენბაუერის ვაჟი ავადმყოფობას დიდხანს ებრძოდა.

სტეფან ბეკენბაუერი ბაიერნის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო.



ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
5 – 11 აგვისტო 2015
№ 31 (295)


„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



## „ფეისბუქის“ „მამა“ მარკ ცუკერბერგი ბიოლოგიურ შვილს ელოდება

სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ დამაარსებელს უშვილო არც აქამდე ეთქმოდა – „ფეისბუქს“, მართლაც, შვილივით ზრდის და უვლის. ახლა კი, მარკ ცუკერბერგი პირველ ბიოლოგიურ შვილს ელოდება.

„მე და პრისცილას ამაღელვებელი ახალი ამბავი გვაქვს: ბავშვს ველოდებით! ეს იქნება ახალი ფურცელი ჩვენს ცხოვრებაში. აქამდეც გვქონდა ბედნიერება, მსოფლიოს ირგვლივ ადამიანებს შევხვედროდით, ჩემი მეუღლე პრისცილა როგორც ექიმი და მასწავლებელი, მე კი ამ კომუნის და ფილანთროპიის საშუალებით. ახლა ვეცდებით, სამყარო უკეთესი გავხადოთ ჩვენი შვილისთვის და შემდეგი თაობისთვის.

დასაწყისისთვის გვინდა, ჩვენი გამოცდილება გაგიზიაროთ. უკვე მრავალი წელია, ვცდილობთ ბავშვის გაჩენას, მაგრამ სცილას მუცელი სამჯერ მოეშალა. როდესაც იგებ, რომ ბავშვი უნდა გეყოლოს, იმედით ივსები, იწყებ იმაზე ფიქრს, ვინ გაიზრდება შენი შვილი და წარმოიდგენ მის მომავალს. იწყებ გეგმების დაწყობას და უცებ, ყველაფერი ქრება, ეს ძალიან მძიმე განსაცდელია. ძირითადად, ხალხი მუცლის მოშლაზე ღიად არ საუბრობს და ამ ტრაგედიასთან გამკლავებას მარტო ცდილობს.

დღევანდელ ღია მსოფლიოში მსგავსი საკითხების განხილვა გვაერთიანებს. ის წარმოშობს თანაგრძნობას, ურთიერთგაგებას და იმედს გაძლევს. როცა მეგობრებთან ამ საკითხზე საუბარი დავიწყეთ, დავინახეთ, რომ მსგავსი პრობლემა უამრავ ადამიანს აქვს, ზოგს კი, შვილი საერთოდ არ უჩნდება.

ჩვენი გამოცდილების გაზიარებით იმედს, ალბათ, უფრო მეტ ხალხს მივცემთ და ამ საკითხზე საუბრისას თავს კომფორტულად უფრო მეტი ადამიანი იგრძნობს“, – წერს ცუკერბერგი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

## სილვიო ბერლუსკონი „მილანს“ ყიდის

იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონმა ბიზნესმენ ბი ტეჩაუბოლუასთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც საფეხბურთო კლუბ „მილანის“ გაყიდვას ეხება.

„30 სექტემბერი უკანასკნელი დღეა, როცა მყიდველმა 480 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს“, – ნათქვამია განცხადებაში.

საფეხბურთო კლუბი ბერლუსკონის Fininvest-ს ეკუთვნის, რომელიც ასევე, იტალიურ ტელეკომპანია Mediaset-ს და საგამომცემლო სახლ Mondadori-საც ფლობს.

„ფორბსის“ მონაცემებით, 2015 წლის მაისის შედეგებით, კლუბი „მილანი“ 775 მილიონ ევროდ იყო შეფასებული.

## მაიკლ ჯექსონის მამამ მხედველობა დაკარგა

ბრაზილიაში, კერძოდ, სან-პაულოში, სადაც მაიკლ ჯექსონის მამის, ჯო ჯექსონის დაბადებიდან 87 წლისთავს აღნიშნავდნენ, იუბილარი შეუძლოდ გახდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ტვინში სისხლის მიმოქცევის ნაკლებობის გამო, ჯექსონის მამამ მხედველობა დაკარგა. ექიმები ავადმყოფს ტესტებს უტარებენ, რითიც დადგინდება, მოხუცის სამკურნალოდ აშშ-ში გადაყვანა შესაძლებელია თუ არა.

ცნობისთვის: 1960-იან წლებში, ჯო ჯექსონი მუსიკალური ჯგუფის მენეჯერი იყო. ჯგუფის წევრები კი, მისი შვილები გახლდნენ.

მაიკლ ჯექსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მამის სიმკაცრემ მის კარიერაში გარკვეული როლი ითამაშა.

მაიკლ ჯექსონს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მამა არ უხსენებია. ის, ასევე, არაა ნახსენები ანდერძში, რომლის თანახმადაც, მაიკლის მთელი ქონება დედას, შვილებს და რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას დარჩა.



ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ჯანსულის სიცილნათელები

**რიტას!**
იშვიათი ვინმე არის
შენისთანა,
საყურეებს იკეთებ და
გშვენის თანაც.
დაიბადე
ამ ოჯახის ფავორიტად,
ბრავო, რიტა,
ბრავო, რიტა!

**უტვინო**
ვინც აგაყვავათ უცრემლოდ,
ნეტა, ვინ გყავდათ სხვა, ვინა,
ჰიტლერისაგან, რუსებო,
გადაგარჩინათ სტალინმა.
იყო და არა იყო რა,
სათავეში გყავთ უტვინო,
დღეს გორი გინდათ დაიპყროთ?
რამ გაგაგიჟა, პუტინო?!

**მერი**
რა ვქნათ, ცხოვრება მკაცრია,
აღარ გვყავს თავის დამხრელი,
ქალაქის მერი კაცია
და ჰქვია ქალის სახელი.

**კანიბალი**
სუყველას გულში
არსებობ ეჭვად,
შენს ყველა სიტყვას
ადევს ემბარგო,
კანიბალი ხარ,
მაგრამ კაცს ვერ ჭამ
და რასაც შენ ჭამ,
ღმერთმა შეგარგოს!

**ნარმანია**
რად ებრძვიან
ნარმანიას?
იმიტომ, რომ
„ნარმალნია“.

**მიშა**
მიშა, შენ ხარ
მოხალისე,
წახველ, ველარ
მოხვალ ისევ.




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით